

კამლეთ ჩხენკელი, **ვაჟა ჩხენკელი**, ფლორა ჩხენკელი

# ქართული ანდაზები

(ბრძნული გამონათქვამები)



გამომცემლობა  
„საქართველოს მაცნე“

თბილისი

© **ჰამლეტ ჩხენკელი**

რედაქტორი — **ჰამლეტ ჩხენკელი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ლაშა ჩხენკელი,**  
**მარიაკა მიქელაძე,**  
**ეკა წიქარიშვილი.**

**ISBN 978-9941-0-1857-2**

## წინათქმა

კარგა ხნით ადრე, ქართული ანდაზების ხელახალი შეგროვების იდეა, შეიღებს, დედამ მოგვაწოდა. იმ დროიდან მოყოლებული, შეძლების-დაგეარად ვირჯებოდით, მით უფრო, რომ ანდაზებისა და ბრძნული გამონათქვამების, მათ შორის ლიტერატურული წყაროებიდან, მოძიებისა და ორიგინალური ინტერპრეტაციის მაგალითებს თავად დიდი დედა და დიასახლისი – **ფლორა ჩხენკელი** გვაძლევდა...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დროც დიდი გამოიხდა. ადრე დაქვრივებულმა და დღეს უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა, ყოვლად უდანაშაულო ვაჟიშვილის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლევლობის სიმწარეც იწვინა და სევდამწარებულმა, ზეპირი სიტყვიერების ამ უმდიდრეს მადანში ჩაკარგული ხალხური სიბრძნის მარგალიტები, აწ გარდაცვლილი შვილის მიერ აღქმული და გააზრებული ანდაზების შინაარსის ანარეკლიც თავისებური პეწითა და ლაზათით დააგემოვნა, განსაკუთრებული, დედაშვილური სიყვარულითა და რუდუნებით დაფერა, გააკრიალა და პირველყოფილი ელვარებით გამოაბრწყინა...

მე კი, სხვა რაღა დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ ეს ყველაფერი შემეცნოსო, დამელაგებინა და მკითხველისათვის ისე შემეთავაზებინა, როგორც ხალხში მიმოფანტული, მისხალ-მისხალ გამოკრეფილი და ახლა უკვე გამოსამწეურებლად გამზადებული ფასდაუდებელი რამ განძი.

ქართული ანდაზების (ბრძნული გამონათქვამები) ამ კრებულის გამოცემას ვუძღვნი მრავალთათვის ძვირფასი, სათაყვანებელი ადამიანისა და ჩემთვის – დაუვიწყარი ძმის, ალტერნატიული მედიცინის ერთ-ერთი აღიარებული წარმომადგენლის, სახალხო მკურნალის, ცნობილი ექსტრასენსისა და ბიოენერგოთერაპევტის, ტელეპათიური მკურნალობის პიონერის – **გაჟა ჩხენკელის** ხსოვნას, მით უფრო, რომ ამ ახალი გამოცემისათვის, პირადად, ბევრი ანდაზა და ბრძნული გამონათქვამი მოიძია და ბევრი ახლის იდეაც დააფიქსირა. ამ თვალსაზრისით, **გაჟა** საკმაოდ შრომატევადი სამუშაო შეასრულა, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა წინამდებარე კრებულში.

დაბოლოს, საჭიროა აღინიშნოს, რომ კრებულში მოწოდებული მასალა ოდენ უმნიშვნელო ნაწილია იმ უზარმაზარი განძისა, რომელსაც სახელად ხალხური სიბრძნე ჰქვია და რომ შემდგენლებს არც გვქონია პრეტენზია სრული სახითა და უნაკლოდ შესრულებული ნაშრომი წარმოგვედგინა, მით უფრო, რომ ხალხური შემოქმედება ამოუწურავი სიმდიდრეა, ლამის ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ნიადაგ განიცდის სრულყოფას, ეხმიანება გარე სინამდვილეს, მახვილგონიერულად აფიქსირებს ცხოვრებისეულ შექჩრდილებს („არს ცხოვრებისა შხირე“), და გამორჩეული მხატვრული ოსტატობით ასახავს მათ, ყურადღებას მიაპყრობს დროში მიმდინარე ცვლილებებს და სათანადოდ რეაგირებს მათზე სახეცვლილი ანდაზებისა და ბრძნული გამონათქვამების სახით.

**ჰამლეტ ჩხენკელი**, რედაქტორი

## ს

- ააბრიალა და ველარ ჩააქროო.
- ააბრიალე კოცონი მეგობრობის და ძმობისა, დაბლა დაეცი კარავი ღალატისა და მტრობისა.
- აასვენა და აღარ დაასვენაო.
- ააფრინე ალალიო, რაც არ არი — არ არიო.
- აბაზის დამწუნებელსა ჯიბეში ორი აბაზი მაინც უნდა გედოსო.
- აბდალაჟ, თოვლი მოდისო, და — აკი ვდგავარ და ვძივძივებო.
- ა, ბატონო, ბაწარიო — დავით მეფეს გასწავლიო.
- აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი.
- აბრა სხვაა, საქმე სხვაა.
- აბრიალებულ სიყვარულს ვერა ძალა ვერ ჩააქრობს და ვერ მოერევაო.
- აგანგალა განაგალაო, ჭალას კატა მამკვდარაო.
- აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა.
- აგორებული ქვა მსუბუქიაო.
- აგორებული ქვა ხავსს არ მოიკიდებსო.
- აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყაო.
- აგრე როდი წირავს ჩვენი მღვდელიო.
- აგური ლალს შეადარეს, აქაო და წითელიაო.
- ა, დათვი და ა, კვალი.
- ადათია და წესია, ფეტვი ადგილზე თესია.
- ადათის ამოწვევტას, გვარის ამოწვევტა სჯობიაო.
- ადამიანი ადამიანის წამალიაო.
- ადამიანი გახვეებული სინდისით არ იბადებაო.
- ადამიანი ერთი ფეხით წინაც წავა და უკანაც დარჩებაო.
- ადამიანს სიკვდილი ყურს უკან უზისო.
- ადამიანის დაბადება პირველი დღეა, ქორწინება — მეორე და სიკვდილი — მესამეო.
- ადამიანის ენას ქვაც გაუხეთქავსო.
- ადამიანის მოკვდინება დიდი ცოდვააო.
- ადამიანის პანდური ვირის წიხლზე უარესიაო.
- ადამის ძის მოკვდინება არავის შერჩენიაო.
- ადანდალი დანდალიო, ჩემი ოქროს შანდალიო.
- ადგილის კურდღელს, ადგილის მწვეარი დაიჭერსო.
- ადე, დაბრუნდი, წისქვილო, იკმარე რაც გაქვს, ისიცო.
- ადე, ნახე ჭირიო, დაჯე, ნახე ლხინიო.

- ადე, პაპა, თხლე ჭამეო და თხლიგულითვინა, შვილოო?
- ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაქწევა მწვეარი.
- ადრე ამდგომი — შორს წაგა.
- ადრე ამდგომი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა კი — თვალეხსაო.
- ადრე ადგომა მეტი სიცოცხლეაო.
- ადრე ამდგარსა ყმაწვილსა, დედა უშზადებს სადილსა.
- ადრე ამდგომს უხაროდეს, გვიან — მოსადილესაო.
- ადრე მოფრენილ მერცხალსა, სუსხი სცემს და ყინვა აზრობს.
- აჟად შეჭფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება.
- აჟადმყოფობა ბევრია, ჯანმრთელობა — ერთი.
- აჟადმყოფობა ფუთობით შემოდის და მისხლობით გადის.
- აჟადმყოფობა ურმით შემოდის და მისხალ-მისხალ გადის.
- აჟადმყოფს ჰკითხავენ, ჭამა გინდა თუ არაო.
- აჟადმყოფის პატრონი აჟადმყოფზე უარესიაო.
- აჟადობას თუ დაუწევი, იქით დაგაწვებაო.
- აჟადობას ჯანი მიაქვს, ჯანის წასვლას — სიცოცხლეო.
- აჟაფურთხე — უღვაშს მოხვდა, დაჟაფურთხე — წვერებსაო.
- აჟ დროში ცოლი შეირთე, კარგ დროში გამოჟადგებაო.
- აჟ მოჟალეს ნაცარი გამოართვი და თვალეხში შეაყარეო.
- აჟ კაცს მეზობლის წიწილა ბატი ეგონაო.
- აჟთა მამათა ნაქნარი შვილებსაც მოეკითხება.
- აჟი დასაჭერი ცხენი აჟ დამჭერს მოძებნისო.
- აჟი დიაცი ნადირთა დაპყრობად უძნელესიაო.
- აჟი გასახედნი მოზვერი კარგი ხარი დადგებაო.
- აჟი თვალი ბოროტი გულის სარკმელიაო.
- აჟი იქნება — თავისთვის იქნება, კარგი იქნება — თავისთვის იქნებაო.
- აჟი კაცი აქე და ერიდეო.
- აჟი კაცი აღდგომასაც ავიაო.
- აჟი კაცი თავის თავის მტერიაო.
- აჟი კაცი ცხვრის ქურქში ყოფნას დიდხანს ვერ შეძლებს, ერთიც იქნება და, სისხლიან თვალეხს დააბრიალებსო.
- აჟი კაცის ლუკმას ძაღლიც არ შეჭამსო.
- აჟი მაყარი ლხინსაც დააკლდა და ჭირსაცო.
- აჟი მაყარი — ძილსაც მოცდა და ლხინსაცო.
- აჟი მეზობელი ამომჟალი მზეა, კარგი რაღა იქნებაო.
- აჟი მეზობელი გერჩინოს, კეთილ ნათესაუსო.
- აჟი მეზობლისაგან ღმერთმა ყველა დაიფაროსო.
- აჟი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდაო.

- ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რამე ასეცხეო.
- ავი პაპა იყავიო, ავი ჭამაც გიყავიო.
- ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.
- ავი შემნახველი ქურდზე უარესიაო.
- ავი ცოლის ყოლას, ავი ძაღლის ყოლა სჯობიაო.
- ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო.
- ავი ძაღლი პატრონსაც კბენსო.
- ავია თუ კარგია, ქალო, შენი ქმარია.
- ავის მეტსა ვერას მომკის უსარგებლო მოღვინარი.
- ავმა მოვალემ რაც მოგცეს, გამოართვიო.
- ავისა კარგი ნუ გინდა, ნურც მისი მოსაგებელიო.
- ავისმდომელი მოკეთისაგან შორს ყოფნა გერჩივნოსო.
- ავმა სახლმა, ავმა კარმა — ავად გამადედაკაცა; კარგმა სახლმა, კარგმა კარმა — კარგად გამადედაკაცა.
- ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს.
- ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა გულსა.
- ავს არ მაკადრიანო და კარგს არ მაღირსიანო.
- ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?
- ავს ნუ იზამ და ავისა ნუ გეშინია.
- ავჭალაში ქორწილია, მცხეთაში დოღს უკრავენო.
- ავხორცი არც კაცი ვარგა და არც ქალიო.
- აზნაური მჭადს არა სჭამს, თუ მოშივდა — ჭირსაც მომჭამს.
- აზნაურისა ქებასა, მე მოგიყვები ყველასა: ცოლი შიმშილმა მოუკლა, გადააბრალა სნებასა.
- აზნაურის ბზე კარგია, გლეჯი კაცის — პურიო.
- აზრნი შენნი შენვე გგვანან, მტყუანსა და შენ აგეთსა.
- ათასმა დააფასა, ერთმა უმტრო; იმ ერთისა გავიდა, ათასისა — არაო.
- ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად — ზრდილობა.
- ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად — ზრდილობა, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ძნელია გვარიშვილობა.
- ათას ცოცხალსა ბევრჯერა ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია.
- ათასი მტერი სჯობია, ერთ უგვანო მოყვარესა.
- ათმა კაცმა მე მიჩივლა, ერთმა — შენო.
- ალისუბანს ქალი მოკვდა, რუსეთს მარგლის ბოსტანსაო, ნუ ენდობი დედაკაცსა, ნურც მკვდარსა, ნურც ცოცხალსაო.
- ერთხელ ხსენებას ერთხელ დაპატიჟება სჯობიაო.
- აკიდებულსა ვირსაო, ყველანი წაჰკერენ წიხლსაო.
- აკრძალული ხილი ტკბილია.

- ალვის ხე ცამდის ასული, ჭინჭველას წაუქცევია.
- ალიას დარდი ფლაჟია.
- ალექსი და აქლემიო, შევეჯდები და გაუქრებიო.
- ამადლებულნი დამდაბლდნენ, ამადლდენ დამდაბლებულნი.
- ამაყი ქალის დამცირება შეიძლება, გატყუვა — არაო.
- ამირან გულში მღეროდა, მებანევ — ბანი, ბანიო.
- ამისთანა ბედნიერი, არის კიდევ სადმე ერი?
- ამოდებული ხმალი პურ-მარილმა ჩააგოო.
- ამქვეყნად, სიკეთის ფასი არაფერია.
- შენი წასვლა დასანანი მხოლოდ მაშინ გახდებაო, როცა ბევრი დაგიტირებს, ბევრსაც გული დაწყდებაო.
- ამპარტავანი შეილი თავსაც დალუპავს და ოჯახსაცო.
- ამღვრეულ წყალში თევზს ადვილად იჭერენო.
- ამყოლს აპყვევი, დამყოლს დაპყვევიო.
- ამ ჩემმა ღორმა მუცელმა, ცეცხლზე დამისხა წყალიო.
- ამხანაგს ნუ უდალატებ, სხვის ოფლს ნუ მიეტანები.
- ამხანაგის ყოლა, ბატონის ყოლას უდრისო.
- ამხანაგი — ნუ გძულსო, ნაშოვარი — ნუ გშურსო.
- ანაბარი მგელმაც იცისო.
- ან არ ვარგა ნაგში ჯდომა, ანდა მენაუესთან ბრძოლა.
- ანაკლიას, ერთ კაცს, შემწვარი თევზი მიჰქონდაო.
- ანაღვლე ბრმას სანთლის გაძვირებაო.
- ანგარიში მტრულიო და მეგობრობა ძმურიო.
- ანდერძი კაცს არ მოკლაუსო.
- ან ვირი გახდი, ან — ვირის პატრონიო.
- ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო.
- ან ზღვაზე უნდა იდგე კაცი, ან მთაზეო.
- ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატე.
- ან ღვინო უნდა იყო, ან წყალი.
- ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს გახედე.
- ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუაზე შლისო.
- ანწლი არ მოგცემს ყურძენსო.
- აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო.
- არა გიშავს თუთარაო, თუკი არა გიჩანს რაო.
- არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.
- არა გშია ზაქარია, თორემ მჭადიც შაქარია.
- არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდაგ ხდია.
- არავენ ისე მამაცურად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი.



- არამი ფულით ნაყიდი განძი ვის შერჩენიაო.
- არა მიშავს რა, თუ არა მიჩანს რა.
- არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
- არაჟინ გეკითხება — ბარი ათ შაურად და თოხი ორ აბაზადო.
- არაჟინ იცის, ზვალ და ზეგ, რა მოვა და რა იქნება.
- არამკითხე მეამბეო — მიტყვიპე და მიაგდეო.
- არა მწამს რა დიაცისა, არცა მოწმენდილი ცისა.
- არა მწამს ქინძი ქონდრადა, არც მწვანე კიტრი — გოგრადა.
- არ გავაზაროთ მტერი ჩვენზედა.
- არას გარგებს სიმძიმელი, უსაგებლო ცრუმლთა დენა.
- არას გარგებს შეჭირვება: რომ სჭმუნვიდე რა გერგების?
- არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწვეს ღმრთისა ძალი.
- არას ვუზამ უგემურსა, არაოდეს გაგამწარებ, რაცა ჩემგან ეამების, ვაამებ და შევიყვარებ.
- არასოდეს არ გახმება, წყალთა შიგა, ხეთა ძირი.
- არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურაძვირი.
- არასოდეს არ გახმება, წყალთა შიგა, ხეთა ძირი, არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურაძვირი, თუ უშვილო ცხონდებოდეს, სამოთხეში შევა ვირი.
- არა უშავს რა წისქვილსა, დატრიალდება წყლის პირსა.
- არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
- არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა.
- არაკუნე კედელიო, დაარიგე რეგვინიო.
- არ ამოეწყდეო, მტერთა ჩვენთა ზრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ.
- არ აშენდა ზუროს სახლი, არცა მონადირისაო; სამი დღით ადრე დაიგსო სახლი მებადურისაო.
- არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.
- არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა.
- არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა.
- არ გამოდგა ყვავი ქორად, არც უგვარო — გვარის სწორად.
- არ დაგინდობს ბედი, მკვლელო, გაგიკრთება ძილი ღამით, თვალს დაგვიხსებს საკუთარი სისხლიანი ცოდვა-ბრალი.
- არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.
- არ ეშინია ბაადურს ბაკაკაურის ხმლისაო.
- არ ვარგა კაცი უმტერო და არცა მტერმორეული.
- არ ვარგა კაცი უმტერო, კარგია მუდამ მტრიანი.
- არ ვარგა ქალი მეჭორე, სოფლად — ვაჟკაცი მკვეზარი: გაუჭირდება, შადგება, როგორც უღელში მჭლე ხარი.
- არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

- არ ვიცი დანა მრუდება, არ ვიცი — დანის ტარია, არ ვიცი ქალი არ ვარება, არ ვიცი — ქალის ქმარია.
- არ ვიცი ერთია და ვიცი — ათასიო.
- არვიცის დედა იცინოდა, ვიცის დედა ტიროდაო.
- არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან?
- არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?
- არმინდა — ჯიბეში ჩამიდევო.
- არ მინდა შენი შრეშიო, ოღონდ ნუ შემომხვნიეშიო.
- არმინდამ ცხრა ჯამი დო შეჭამაო.
- არმინდამა არ ჭამაო, ცხრა ხინკალი შეჭამაო.
- არ მოკვდება არასოდეს, ვინც არ დაიბადებაო.
- არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს.
- არ მსმენია ბერი ცხენის ჭრული ლაგამ-უნაგირი.
- არსაიღამ ხმა, არსით ძახილი.
- არსასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა.
- არ უნდა ჭირში გადრეკა, თუ კაცი გონიერია; წაუ და ყველგან დარჩება, — სოფელი ღონიერია.
- არ უწერია ტურასა ერწო-თიანეთს ღმუილი.
- არჩიმედს ბანაობა რომ ჰყვარებოდა, თავის კანონს უფრო ადრე აღმოაჩენდა.
- არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა.
- არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.
- არზრუმს ვირი კიტრად ღირდა, ჯორი — საგზლად უნდოდაო.
- არმად ნაშოხნი — არმადვე შეგერება.
- არმინდამ — ყველაზე მეტი შეჭამა.
- არძინბა და ბალაფში — შავ მიწაში, შავ ქვაში.
- არც კაცი ვარება, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.
- არცა დაეღვე წყალსა, არც შევირთავ ქალსა.
- არცა ვიყავ რძალი კარგი, არცა შემხვდა ქმარი ვარგი.
- არცა ვქნა და არცა ვთქვაო?
- არცა ხნავდნენ, არც აცხოვდნენო.
- არც არას მოგცემ, ყბასაც მოგტებ.
- არც არავის ეხიდება, არც არავის არგია, ზარმაცი და უსაქმური წუთისოფლის ბარგია.
- არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია; ძველი ღვინო, ძველი პური წლით-წლობამდე გამყოლია.
- არც არა ვიცი-რა, არც არას ვიტყვი-რა.
- არც გავიქცევი, არც წავიქცევიო.

- არც დაგეკარგება და არც მოგეცემო.
- არც ღედაა, არც ღედინაცვალიო.
- არც ვიყავი რძალი ვარგი, არცა შემხვდა ქმარი კარგი.
- არც თავისთვის უქნია ღმერთს და არც სხვისთვისაო.
- არც ისე წვიმს, როგორც ქუხსო.
- არც მარტმა დამაყარა კარგი ღღე, არც — აპრილმაო.
- არც მარტმა მარგო და არც აპრილმაო.
- არც მიწა გასკდება და არც ცა ჩამოიქცევსო.
- არც მწვადი დასწვა, არც შამფურიო.
- არც შენ შეგრჩება ერთი ღრო, დაიცა, გიწვევს სიბერე.
- არც ცისაა და არც მიწის.
- არც წყალია, არც ღვინოო.
- არცოდნა არცოდვაო.
- ას კაცს ერთი ცხვარი უხაროდო.
- ასკილი და ბუნებო, კაცია და გუნებო.
- ას მექოთნეს ერთმა მტეხელმა აჯობო.
- ას ძმას ასი ცხვარი ბევრი ეკონაო.
- ასი დამკარ, ერთი მათქმევიეო.
- ასი კაცი ერთი ცხვრით ხარობდო.
- ასი კაცი ცხენს კანძავდა — ვაი უკაცობასაო.
- ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა.
- ასი წლის ღედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.
- ასი წლის ღედალს, ასი წლის მამალი სჯობსო.
- ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.
- ასეთი პატარა და ასეთი მავნეო.
- ასმა კაცმა ასი კაცი იტიაო.
- ასმა კაცმა ასი ცხვარი შეჭამო.
- ასტყდები, აღარ დადგები, ოხერ ზენა ქარივითა.
- ასწიე — ღონესა ჰქვია, დასწიე — უღონობასა.
- ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი.
- ასჯერ გაზომო, გაზსოვდეს, ვიდრემდე გასჭრი ერთხელა.
- აფრინდებიან ქორები, აიფოლებენ ძერასა, კაცი ვერ დაემალება თავისა ბედიწერასა.
- აფხაზიც და ოსიც, თურმე, რუსის ნათქვამს იჯერებსო, მერე ნახონ, როცა რუსი, ოპოპოიას იმღერებსო.
- აქაო და რბილიაო, ყლაპე, ჩემო ნინიაო.
- აქ დაბადებული, იქ კვდებაო.
- აქ ვინც იბადება, იქ კვდებაო.
- აქე და ერიდე.

- აქეთ მოვცდი ყოფასა, იქით — ქორწილობასა.
- აქლემი ახლოს ძოვს და შორს იხედებაო.
- აქლემი დაბერდა და კოზაკობა დაიწყოო.
- აქლემი თავის კუდს ვერ ხედავსო.
- აქლემი თავის კუნს ვერ ხედავსო.
- აქლემი ისე არ დაუარდება, ვირის ტვირთი არ აიკიდოსო.
- აქლემი კლდეზე გადაიჩეხა, ვირმა ბლავილი მორთო: ჩემი ამოსაყვანი გახდებაო.
- აქლემის და ნემსის ქურდი — ორივენი ერთიაო.
- აქლემის კუნტრუში — აღმართზე გამოჩნდება.
- აქლემის შუშპარი — ხიდზე გამოჩნდება.
- აქლემმა თქვა: ორმოცი კოზაკი გაუზარდუ, მაგრამ ტვირთი არც ერთმა არ ჩამომხადაო.
- აქლემმა თქვა: რომ არ დამაჩოქებდნენ, მთელ ქვეყანას ავიკიდებდიო.
- აქლემს არაბული ცხენი უჩვენეს და, კუზი რომ ჰქონოდა, უკეთესი იქნებოდაო.
- აქლემს უთხრეს: კისერი გაქვს მრუდო და სხვა რა მაქვს სწორიო.
- აქლემს ქოქოლა დააყარეს: ჰაი, შე კუზიანოო.
- აქლემს ჭედდნენ და კურდღელი გარბოდაო.
- აქლემების ჭიდილში კოზაკი გაიჭყლიტაო.
- აღარ გათენდება ღამე საზიზღარი, რომელი საათია, რომელი საათია?
- აღარა ვარ იმ კილოსა, ლურჯამ ჩაიკინკილოსა.
- აღარც მღვდელი უნდა, აღარც დიაკვანიო.
- აღდგომაა დარიანი, ამაღლება — ნამიანი.
- აღდგომა და ხვალეო.
- აღდგომა შხესაც უხარია, ისიც კი თამაშობსო.
- აღდგომას მომტყუებელი, მეტს იზამს ამაღლებასო.
- აღზრდამ გაზრდას ტოლი არ დაუდოო.
- აღმა — ქარისა, დაღმა — წყალისა.
- აღმა-დაღმა სირბილს, შენება სჯობიაო.
- აღმართი და დაღმართი, არც ერთია წაღმართი.
- აღმართმა თქვა: ვაჟკაცი მე მოვლალე და ბერიკაცმა — მეო.
- აღმართს, ვაჟკაცის მომღლეოსა, დავას უწყებდა ბერიო: შენ არა, ის მე მოვლალე, ხედავ, კვერს მიკრავს ერიო.
- აღმართს დაღმართიც მოსდევსო.
- აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო და შენც ქართველო, სწავლითა, სამშობლო გაახარეო.

- აშენება მითხარ, თორუმ დანგრევა იოლიაო.
- აშენება თქვი, ძმობილო, დანგრევა ადვილიაო.
- აყოლას, დაყოლა სჯობიაო.
- აჩქარებითა სოფელი, არავის მოუჭამია.
- აჩქარებითა სოფელი, არავის უშენებია.
- აცე, ვირო, გაზაფხულზე იონჯა მოვა და ჭამეო.
- აწ ამას ვლონობ, არ ვიცი, ქვესკნად წაგალ თუ მე ცადა.
- აწ დაეკარგე, რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რუტად?
- აწ იგი აქა არ არის, რას მარგებს მისი ხსენება.
- აწლა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახიო.
- აწყინოს ქერმა ლურჯასა.
- ა, ხუცესო, კორკოტო, შენ ამისთვის მორბოდიო.
- ახალი ტყუილი მირჩევნია ძველ მართალსაო.
- ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასო.
- ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ, გამოდით, თქვენი ჭირიმე.
- ახალ კიტრს და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიაფდებაო.
- ახალ საფლავს ცრემლი ნამავს, ძველი მიაქვს ჭანგასაო, ღმერთო, ყველა დაიფარე, ნუ დააკლებ ამავსაო.
- ახალსა გუთნისდედასა, ხარი დაუდის ნებასა.
- ახალსოფელს ქინძარაო, გინდ ყოფილა, გინდ არაო.
- ახლა იწყება წიფის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?
- ახლა კი დროა, სოლომონ რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა.
- ახლოს ვარ და წვერებსა მგლეჯე, გამშორდები, რა იქნები.
- ახლოს ვიყავ, არა მნახე, შორით მომესალამეო.
- ახლოს იყავ — არ გიყვარდი, შორით — შენი ჭირიმეო.
- ახალწელიწად დღესაო — ქაქუნა ჩხრეკდა ბზესაო.
- აჰა, მღვდელი, კორკოტო, შენ ამისთვის მორბოდიო.
- აჰა, ღორო, ქერიო და ჩემთვის არაფერიო.
- აჰა, შენი ფარიო — ჩახმახი მაქვს ჩქარიო.

## ბ

- ბაბუას შვილიშვილი ხენა-თესვას ასწავლიდაო.
- ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს კბილი მოჰკვეთაო.
- ბადრიჯანს რომ ფრთები ესხას, მერცხალი იქნებოდაო.
- ბავშვი აკვანშივე იცნობაო.

- ბავშვი დასაქმე და უკან მიჰყვებიო.
- ბავშვი თუ არ იტირებს, ძუძუს არ მოაწოვებენო.
- ბავშვი ნაბან წყალს არ უნდა გადააყოლოო.
- ბავშვი ოჯახის სარკეაო.
- ბავშვი რათა ტირისო — გასდის და იმიტომაო.
- ბავშვი — ტირილისა, გოჭი — ჭყვიილისაო.
- ბავშვი ტირილში იზრდებაო.
- ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო.
- ბავშვმა ჩასველება იცოდა, წამალი უყვეს და ჩასვრაც დაიწყოო.
- ბავშვს თუ დაპირდები, კიდევაც შეუსრულე.
- ბავშვს არ გაუცინო, თავზე წაგაჯდებაო.
- ბავშვს გაუცინებ და მუშტს გიჩვენებსო.
- ბავშვისაგან გაიგებ ოჯახის აუსაცა და კარგსაცაო.
- ბავშვის პირით სიმართლე მოწინწკარებსო.
- ბავშვის პირით დედ-მამის დაფარული ხმოვანობსო.
- ბალი წვერში გამწარდების.
- ბალი წვერში მწარდება და ტყემალი — ძირშიო.
- ბალს ქერქი მაშინ გააძრე, როდესაც გაეცლებაო.
- ბამბის მპენტავს თეთრი ძალლი ეჯაგრებოდაო.
- ბარი — ბარში, თოხი — ტარში.
- ბარში რომ ჭკუა გაქრება, მთაში მოიძიებენო.
- ბატის პატრონს ქათამი არ დაეჭირება.
- ბატკანი ერთი ბლაოდა, ძუძუ ყველას უნდოდაო.
- ბატონი გადაგიდგეს — თემს შეეხვეწე, თემი გადაგიდგეს — მთის იქით გადაიხვეწე.
- ბატონი კაცის მუცელი ადლი და ნახევარია, საწყალი კაცის მუცელი არც იმის ნახევარია.
- ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ — მისსა ყმობასა.
- ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ — მოახლესაო.
- ბატონი რომ ყმას უწყრება, იმეღიაო.
- ბატონი ცხენსა ჩუქნიდა, მეჯინიბე კი წყრებოდა.
- ბატონი ცხენზე შეჯდომას ვერ ახერხებდა და მეჯინიბეს უწყრებოდაო.
- ბატონისა ჯაურობაო, ნუ გგონია ჯვარობაო.
- ბატონის კაცს თუ გალახავ, ისე გალახე, რომ სიკვდილის პირას ჩაგარდეს.
- ბატონის ნახვა თუ გინდა, ჯერ მისი კარისკაცი უნდა ნახო.
- ბატონის ნება არ არის, აღმა იზამს ფეხებს თუ დაღმა.
- ბატონის საყვარელი გველი, ყმისაგან უბეში ჩასმას მოეღლისო.

- ბატონის სურვილი ყმისათვის კანონია.
- ბატონს ყმა უყვარდა უსმელ-უჭმელი, ტან-ფეხ ჩაუცმელი.
- ბატონმა რომ თქვას — მუხას ვაშლი ასხიავ, უნდა დაუჯერო.
- ბატონმა რომ თქვას — მუხას ვაშლი ასხიავ, უნდა უთხრა, მწიფს-თქო.
- ბატონმა მოურავს დააუღალა, იმან კიდევ — მოსამსახურესაო.
- ბატონო, ჩხიკვი მომიკვდა და, მე მისი დაბადებაც არ გამიგიაო.
- ბაღლინჯოს საკუთარი სუნი არ აწუხებსო.
- ბაყაყი — გუბეში, ვაშლი — უბეში.
- ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუბა და ისევ გუბეში ჩახტაო.
- ბაძვა სჯობია შურსაო.
- ბახმაროს ქარი საითაც დაუბერავს, იქით გადავიხრებიო.
- ბებერი კაცი ბაღლსა ჰგავს.
- ბებერი კაცი ყმაწვილს ჰგავს.
- ბებერი ლომი ვირმა ჩაწინლაო.
- ბებერი რომ დაგლახდება, მიუჯდება კერასაო, ნატყვ პურს რომ ველარ შესჭამს, მთელს დაუწყებს ცქერასაო.
- ბებერი — მოგონებითა, ჯგელი — მოლოდინითაო.
- ბებერი ხარისა — რქანიცა ხნავენო.
- ბებერმა თქვა: მე მოგაკვლები, ქალმა თქვა: მე გაეთხოვდები, არც ბებერი მომკვდარა და არც ქალი გათხოვილაო.
- ბებერმა თქვა: ხარჯს ეწვეით, ბარემ მეც დამაქორწინეთო.
- ბებერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.
- ბებერმა კვერცხი თავთით დაიდო, ვინძლო აღდგომა მალე გამი-თენდესო.
- ბებერს შენი ხველაო.
- ბებერსა სასძლოდ მორთულსა — უფრთხილდი, მოერიდო.
- ბებიაჩემის გამომცხვარმა ხაჭაპურმა, ცხრა მთას იქით ყელი დამ-წვა.
- ბებოს გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.
- ბელაურ ცხენს გაკრეჭილ კვიცს არ შეაჯიბრებენო.
- ბელაური მათრახს არ დაიკრავსო.
- ბელაურის მოგებულს ვირი შესჭამსო.
- ბელაურნი დაიხოცნენ — ვირებს დარჩათ მაიდანო.
- ბელაურებსა სჭედდნენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო.
- ბელაურიდან ჩამოვარდნილი, ვირმაც არ შეიჯინაო.
- ბელაურიდან ჩამოვხტი და ვირზე შევჯექიო.
- ბელი მას ჰქვიან, რომ კარზე მოგადგეს უშრომელადო.
- ბელი მომეც და სანებვეზე დამაგდო.

- ბედი სამჯერ მოგიკაკუნებს, თუ კარს არ გაუღებ, სხვაგან მივაო.
- ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგ ხვდების.
- ბედი ხნავს და ბედი სთესავს, ბედი მოიყვანს ყანასო.
- ბედის მორჩილი — მონობაში მოკვდებაო.
- ბედმა თქვა: ვინც მომიხმარს, წელიწადში ერთხელ, ყველას კარზე შემოუჯდებაო.
- ბედნიერება თუ მოგჭარბდა, ცოლი შეირთო.
- ბედნიერების საღამოს გაადილაუებს ზენაო.
- ბედნიერი კაცისა მამალიც კვერცხსა სდებს, უბედურის კი — ქათამიც არაო.
- ბედნიერსა თმა ეზრდება, უბედურსა — არცა ფრჩხილი.
- ბედნიერსა ნუ გგონია, მუდმივია სიკეთეო, ვინძლო არა შეგეშალოს, საქმე გამოიკეთო.
- ბედნიერმა მიწა მოხნა, მოფოცხა და მოჰყვა წვიმა.
- ბევრი ბოდვის მოხდას — ბევრი თავის დაკვრა უნდაო.
- ბევრი გამზრდელის ხელში ბავშვი უზრდელი გამოდისო.
- ბევრი ვეცადე შენთვისო, გამომივიდა ჩემთვისო.
- ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი.
- ბევრი ყოყმანი კაცს წახედენსო.
- ბევრი შეშისა დამწველი, ტყეში მალიმალ გარბოდა.
- ბევრი შეილი ჭირიაო, ცეცხლიც არის, ვერცხლიცაო.
- ბევრი შეილის პატრონსაო, ღმერთი ულექს კალოსაო.
- ბევრი ცემითა, რკინაც გაიდრიკებაო.
- ბევრი ხალხისა — ტალახიც კარგიაო.
- ბევრი ხელი ჯაფაშიო — ცოტა პირი ჭამაშიო.
- ბევრი ხელის ჭირიმე — ერთი პირისაო.
- ბევრი ჰოი-ჰოი ხარს უკუღმა წაიყვანსო.
- ბევრს ნუ იჯაერებ, მალე დაბერდებაო.
- ბევრმა ჭამამ კაცი მოკლა, ცოტამ — გადაარჩინაო.
- ბევრის აზრმა იმარჯვაო.
- ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო.
- ბევრის მსურველს ცოტაც არ ერგო.
- ბევრის მოლაპარაკეს ცოტას მთქმელმა აჯობაო.
- ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებაო.
- ბევრის მჭამელი კაცის მოსამსახურე და ძაღლი მშვიერი რჩებიანო.
- ბევრის მჭამელმა, ცოტაც ვეღარ შეჭამაო.
- ბევრის მჭამელსა, ცოტას მჭამელმა აჯობაო.
- ბევრჯერ ვნახავ ივანესო, კარზე შემომჩივანესო.
- ბერდებოდე, ბედს ელოდე.



- ბერეკაცი ბერდებოდა, ცხენს უკუღმა შეჯდებოდა.
- ბერეკაცმა თქვა: ნურც მაჭმევ, ნურც მასმევ — ცეცხლზე გამათბეო.
- ბერმა ლამაზი იშოვა და მიზეზი მოუძებნაო.
- ბერს ბერობა შეშვენის და ერს — ერობა.
- ბელურას — ზარბაზანს არ ესვრიანო.
- ბზეს დრონი გაჰყიდიანო.
- ბზობასა და აღდგომას ერთნაირი ამინდი იცისო.
- ბიუჯეტის ქისას ფული სულ უფრო ემატებაო, ხელისუფალს პენსიისთვის თეთრიც არ ემეტებაო.
- ბიჭს რომ დედა მოუკვდება, მამაც მამინაცვლდებაო.
- ბიჭობა გამორთმევა კი არა — შეთავაზებაა.
- ბნელში ფუტუროც ანათებსო.
- ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაყიდიდნენო.
- ბოზი და საყვარელი ერთი და იგივე არ არისო.
- ბოზი და საყვარელი რამ გაყოო.
- ბოზი ვინ ნახე ბოროტი, კაცისა ძვლების მკენეტელი.
- ბოზი ნაზია დიაცი, ყმაწვილთა გულის მჰყრობელი.
- ბოზი სახლში შეუშვი, კარი ღია გაუშვი.
- ბოზი ყველა კეთილიაო.
- ბოზს ბოზობა არ დასცალდა, მაჭანკლობას მიჰყო ხელი.
- ბოზს ვინ მოჰკითხა ნებაო.
- ბოლო უსინდისოს წილიაო.
- ბოლოდ ღმერთი გაუძარჯვებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა.
- ბოლოკს უთქვამს: ვინც გამფცქენის ვირია და ვინც არა — ძვირიო.
- ბოლოკის ძირი თხელი სჯობიაო.
- ბოლოკმა თქვა: თავს თუ არ მომჭრი, ერთ ჭირ თავჭირს მოვკლავო.
- ბოლოკმა თქვა — უკადრისმა გამთალა და მსუნაგმა გამფხიკაო.
- ბორიოს მოტანილს ბორიო წაიდებსო.
- ბოროტი და ავის მდომი არასოდეს დაცხრებაო.
- ბოროტი და ბოღმა კაცი სუფრის თავში არ დასვაო.
- ბოროტი და ავის მდომი ცოლყოფილი ხარობდაო, მტრად გაზრდილი შვილის ხელით მამა სხვაგან გარბოდაო.
- ბოროტი და ავის მქმნელი, სხვისი ჭირთ ისე დატკბა, ჭირისუფლის გამწარება ვერ შენიშნა, ვერ დალანდა.
- ბოროტი და ავის მქმნელი, შვილიც ძერას წაუღია.
- ბოროტი შვილის დედასა რა მონაშორებს სევდასა.
- ბოროტი მკვლელის დედასა ვერ მონაშორებ სევდასა.

- ბოროტი ცოლ-ქმარი სხვისი ჭირით ტკბებოდნენო.
- ბოროტება მანამ გასტანს, სანამ ცოდვილს მადლი სტანჯავს.
- ბოროტება უთუოდ დაისჯებაო.
- ბოროტებას კიდე-განი არ გააჩნიაო.
- ბოროტებას საზღვარი არა აქვსო.
- ბოროტებას საზღვრებში ვერ მოაქცევო.
- ბოროტია ისიც, ვინც თავისთვისაა მხოლოდ კეთილი.
- ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელაო.
- ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო.
- ბოსელში ისე ვერ შეზვალ, ავი სუნი არ გეცესო.
- ბოსტანშია ქინძარაო, გინდ იყოს და გინდ არაო.
- ბოშას მეფობა უბოძეს და პირველად თავისი დედა შესვა ვირზეო.
- ბრალი მისი, ვინც მოკვდა, თორემ ცოცხალს არა უშავს რაო.
- ბრალი ქოთნის მუცლისაო, თორემ ძირს რა უჭირსაო.
- ბრეყვია და ნაგავია, ბოროტია იმისთანა, რომ მოყვარე არ დაინდო, გაწირა და ურტყა დანა.
- ბრეყვი თვალეებში გიშხერს და უსირცხვილოდ ცრუობს, ჰგონია ტყუულები.
- ბრეყვი კაცი წამოწვების, ღამით კარსაც არ მისჯარავს.
- ბრეყვი კაცისა სიცოცხლე, სიკვდილზე უარესია.
- ბრეყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.
- ბრეყვი რის ბრეყვია, თუ ჭკვიანი არ დაამცირაო.
- ბრეყვი ცხენზე შეჯდებაო, ღმერთი დააუიწყდებაო, ცხენიდან რომ ჩამოხტება, ცხენი დააუიწყდებაო.
- ბრეყვმა შვილმა ოჯახის ამბებით ქალაქი მორწყაო.
- ბრეყვთან კამათს აზრი არა აქვს.
- ბრეყვს ბრძენთან მეგობრობა არ გამოსდის, მალე ბეზრდებაო.
- ბრეყვს ჭკუა თვალეებში აქვს და არა თავშიო.
- ბრეყვ სიძეს სიდედრ-სიმაძრის ქონება თავისი ეგონაო.
- ბრეყვის საგზალი მალე დაილევაო.
- ბრეყვულ ტყუილებს რეკვენი სიმართლედ ასალებდაო.
- ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა.
- ბრძენიც ვერას გააგონებს ბრეყვებსა და უტვინოთა.
- ბოროტისაგან კეთილი — შურით ვერ გამარჩიესო.
- ბრმა ვერა ხედავს, მაგრამ გრძნობსო.
- ბრმა თვალმა ერთი ცრემლი რომ ჩამოაგდოს, ისიც ტირილში ჩაეთვლებაო.
- ბრმა — თვალხილულს ატყუებდაო.
- ბრმა რას ჩიოდა და თავის ორთავ თვალსაო.

- ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაეღვევაო.
- ბრმა სიძულვილი ვერაფერი იარაღიაო.
- ბრმა ქათამს ასე ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო.
- ბრმა ქორწილში წააბრძანეს, კოჭლი — სანადიროდაო.
- ბრმა ყვავს ღმერთი აუგებს ბუდესო.
- ბრმა ღობეს მიადგა და შენს იქით გზა არა მაქვსო.
- ბრმათა შორის ცალთვალიო, არს პირველი სარდალიო.
- ბრმამ ბრმას შეუძახა — ჰაიბ, შე ბრუციანოო.
- ბრმამ და კოჭლმა ქვეყანა ამოაგდოო.
- ბრმას ცოლი მოუკვდა და როგორ გაგაგებინოთო — გვერდით რომ აღარავინ მიუწვება, მაშინაც ვერ გაიგებსო?
- ბრუციანმა ბრუციანს შეუძახა: ჰაიბ, შე ბრუტიანოო.
- ბრძენი დედა, მამის მიმართ, შვილსა მტრულად არ გაზრდისო.
- ბრძენი — გულით, უმეცარი კი თვალთ ხედავს.
- ბრძენი სადაც არს დარჩების, საუნჯე თან ექნებისა.
- ბრძენი სინათლეში დადის და უგუნური — ბნელშიო.
- ბრძენი სიტყვა ითქვა და — ბრძენო ყურო, სადა ხარო.
- ბრძენი სიფრთხილით წახდებაო.
- ბრძენთან ბრიყვი რა სახსენებელიაო.
- ბუზანკალი ბედაურსაც და ჩოჩორსაც ერთნაირად უძვრება კულის ძირშიო.
- ბუზი ყველა ბზუისო, — ფუტკართან ყველა ტყუისო.
- ბუზსა ჰკითხეს: რათა ბზუიო? — როცა ჩუმაღ ვარ, მადლიერი არავინ არისო.
- ბუზის კბენა სპილოს რას უზამსო.
- ბულბულმა კარგი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგაო.
- ბუმბულს სანამ ქარი დაუბერავდეს, თავი მძიმე ჰგონიაო.
- ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა.
- ბუნებამ დაიჩილა — ზოგი ჩვენს გატყვევებას ცდილობს და ზოგი — გატყვევებასაო.
- ბურთი და მოედანი მამაცს დარჩებაო.
- ბუტიას შეუჭამენ, მძინარეს შეუნახავენო.
- ბუტიას წილი ტკბილიაო.
- ბუხარი და ორი კაცი; თუ გაჭირდა — სამი კაცი, თუ მეოთხე მოგემატოს, მასპინძელი, კარში გადი.

## ბ

- გაათმაგე მცდელობა სიყვარულის და ძმობისა, სიკეთე თესე, უარპყავ მდომი ნგრევის და გმობისა.
- გაბედვამდის ასი მოკვდა, გაბედეს და არცერთიო.
- გაბრაზებული ბასაო დააფრინდება ქვასაო.
- გაგონილს ნანახი სჯობიაო.
- გადადებული საქმე ეშმაკისააო.
- გადარეულისათვის ნიადაგ ღზინიაო.
- გადი ბოლოსა, გაჭმევ ღოლოსა.
- გადი-გამოდი ბოლოსა, გაჭმევ ფლაგსა და ღოლოსა.
- გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტაჲ, ბანი უთხარო.
- გადმომიგდე იტრიაო, ვითომ ერთი კიტრიაო.
- გავბრიყვდი და შევჯექ ვირსა, იტლინკა და დამცა ძირსა.
- გავიქეცი — გიჟი მერქვა, დავდექი და — დაბდურაო.
- გავიქეცი და — ლაჯიანოო, დავდექი და — ქაჯიანოო.
- გავიხედე ოლოსაო, ღორი სძოვდა ღოლოსაო.
- გაზაფხული არ დადგება, სანამ გურჯი ძვალს არ გასტეხს.
- გაზაფხულის მზე ჩემს რძალსო, შემოდგომისა — ჩემს ქალსო.
- გაიაღმასე განწყობა, მტერს შეუტეე ჯიქურად.
- გაიკითხე ოქროს ქათმიანიო.
- გამარჯვებულმა გუთანმა სამოცი კვალი მოხნაო, ან ხარმა როგორ შეიძლო, ან გუთნისდედამ რა ჰქნაო.
- გამარჯობა არაყო, მშვიდობით, ჭკუაო.
- გამბედავს ნურაფრის შეემინდებაო.
- გამგები გაიგებსო.
- გამდიდრდები, — გაწუწუკდებიო.
- გამოსაშვები სისხლი დროზე უნდა გამოვიდესო.
- გამოუდექ სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო.
- გამოუცდეღ ანგელოზს გამოცდილი ეშმაკები სჯობიაო.
- გამრჯე კაცისათვის უსაქმობა დიდი სასჯელიაო.
- გამრჯე ხარს ალო არ მოაკლდებაო.
- გამქცევ-მიმწევი — ორივე, მაღალ ღმერთს ეხვეწებაო.
- გამშველებელს მეტი მოხვდებაო.
- გამძვინვარებულ მკვლელს სამართალი ფეხებზე ჰკივდიაო.
- გამხიარულდი ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო.
- განა ბებერი ცხენი ქერს არა ჭამს?
- განადგურებული სიცოცხლე მკვლელმა სრულად უნდა ზღოსო.
- განათლება ბნელეთის მოციქულთა მმუსვრელიაო.

- განა იერუსალიმში ძაღლები არ ყფენ?
- განა მაგას გაბარებდა ბიძაშენი ტარიელი, შენი ვირი სხვას მიეცი, შინ კი მოდი ცარიელი?
- განა ყველა ჩვენია, რაც ღმერთს გაუჩნია.
- განგებაა, სწორად მოჰკლაუს, ერთი იყოს, თუნდა ასი.
- განგებასა ვერვინ შესცვლის, არსაქმნელი არ იქმნება.
- განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დარიდებია.
- განგებითა მოვლენილსა ასცილდების ვერვინ ვერა.
- განუყრელთ ვერავინ გაჰყრისო.
- განქორწინების პირველმიზეზი — ქორწინებაა.
- გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო.
- გარეთ გასული კაცი მაგარიაო.
- გარეთ მოვცდი ქორწილსაო, შინ კი — სადილობასაო.
- გარეთ მტერსა სთხრის თვალსაო, შიგნით კი — თავის თავსაო.
- გარეთ მტერს უბრძავებს თვალსა, შინ კი — მოყვარესო.
- გარეულმა კატამ შინაური გააგდოო.
- გარეულსა ოქროსანსა, შინაური წვივდამწვარი გერჩივნოსო.
- გარჯილობასა მოჰქონდა საწუთრო დაულეველი.
- გასათხოვარი მღერის, გათხოვდება და ტირისო.
- გასაჭირი ბრძენზე ბრძენიაო.
- გასაჭირმა პატარძალთან დამაწვინაო.
- გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ღბილისა.
- გასწიე, ხარო, ნისლაო, სხვაგანაც გინდა მისვლაო.
- გატეხილი პური აღარ გამრთელდებაო.
- გაუგია აღია მომკვდარაო და თავი საითა აქვს, არ იცისო.
- გაუთლელი სჯობს აღმასი, გათლილსა, ფირუხოვანსა.
- გაუსინჯაუთა საქმეთა, ბოლოს შეექმნათ ზღვევანი.
- გაუსინჯაუსა სიტყვასა, ტურის ჩხავილი სჯობიაო.
- გაუსვი და გამოუსვი, ვითომ ჭიანურიო.
- გაუჭირვებლად ვინ გაიჭირვაო.
- გაქცეულს არ გამოუდგე, სირცხვილი არ გამოგიდგეს.
- გაქცეულს ერთი გზა აქვს, მღვარს — ათასიო.
- გაქცეულს კვალზე მიჰყევო, დამდგარს წინ დაუდექიო.
- გაღმა გაედავე და გამოღმა დაგრჩებაო.
- გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვეყავს ბორანი.
- გაღმა-გამოღმა ხრეთი, ახლა იწყება ქეიფი.
- გაყიდა მამული, იყიდა ხრამული.
- გაყიდა ხარი — ითხოვა ქალი.
- გაცემულ სიკეთეს არ იფიწყებენო.

- გაცრილი ფქვილი და გაპენტილი ბამბა, კაცს ბვერი ვგონაო.
- გაძლომას ძროხაც მიხვდებო.
- გაწყდეს, სადაც წვრილიაო.
- გაწყვეტას გაწვდენა სჯობიაო.
- გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.
- გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო.
- გაჭირვებამ სტაგრა-დიბა მაცვეთინაო.
- გაჭირვებამ ფარჩის კაბა მაცვეთინაო.
- გაჭირვებაში ჭინჭრაქა ქვის ღობეს შეეხიზნაო.
- გაჭირვებული კაცი ზღვაში გაუაო.
- გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო.
- გაჭირვებულ კაცს ცამ გაულო პირიო.
- გაჭირვებული მუდამ გაჭირვებული იქნებაო.
- გახედნილი, ცხენიც კარგია და ყურიცო.
- გახედნილ ყურს არაფერი გამოეპარებაო.
- გახელეული წისქვილი დღეში ჩანახსა ფქვეგდაო, გახარებული პატრონი თუნგნახეყარსა სავამდაო.
- გახიე და გაფხრიწე — ორივე ერთიაო.
- გახსოვდეს, კოვზსა პაწიას დიდი ზღვა დაუღვეია.
- გდიე და ვერ დაგეწიე, დაეჯექ და დაგიცადეო.
- გებრალეობოდეს, ნუ პრისხავ, კაცს შენზედ შურიით მწვედომსაო.
- გეგუთს ძაღლი გალახეს და მოწამეთას ტიროდაო.
- გემი ისე როგორ დაიღუპება, ერთი ნაფოტი არ დარჩესო.
- გემის მკეთებელს ფეხსაცმლის შეკერვა გაუკვირდაო.
- გემრიელ საჭმელს თან ახლავს, კბილისა მოსაკვეთელი.
- გესმოდეს, თარო-კედელო, კარიდან მაყურებელოო.
- გეუბნები კედელოო, გაიგონე რეგვენოო.
- გეშინოდეს იმისა, ვისაც შენი ეშინიაო.
- გვარია, განა მწვარიაო.
- გვარის ამოწყვეტა სჯობია, ადათის ამოწყვეტასო.
- გველი გარედანაა ჭრელი, კაცი კი — შიგნიდანო.
- გველი მოვიდა ანკარა, თავით ბოლომდე გაგვეყარა.
- გველი წვიდა მრუდობით, ეგონა გადარჩებოდა.
- გველს უთქვამს: მე ადამიანის სიყვარულით ვერ ვძლები და ადამიანი — ჩემი მტრობითო.
- გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი.
- გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული ისევე გველისა შერჩაო.
- გველმა კბენა არ იცოდა, კაცმა მასაც ასწავლაო.
- გვერდსისხლიანსა, გვერდტალახიანი სჯობიაო.

- გვირგვინოსანს ის სჯობია, ვინც ღირსია გვირგვინისა.
- გვრიტის ნანახი კანაფი მარცვალს არ გაიკეთებსო.
- გვეყავს — არ ვაფასებთ, დაგკარგავთ და — ვტირით.
- გზა გაუსინჯე საქმესა, თუ გინდა რომ არ წახდესა.
- გზა რამ დაღალა და ბერიკაცმაო.
- გზა კეთილისა კაცისა, ნიადაგ გქონდეს საგლად.
- გზა სიარულმა დალია, სალი კლდე — წყალთა დენამა.
- გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა — წყალთა დენამა, ლამაზი გოგო და ბიჭი — ერთმანეთისა ცქერამა.
- გზის არჩევა იოლია, მასზე გავლა კი — ძნელიო.
- გზის მცოდნე ფეხს არ წაიკრავსო.
- გზირს სოფელში არ უშვებდნენ და ფარ-ხმალი მამასახლისისას დაძიკიდეთო.
- გინდ დანით დაგიკლაფარ, გინდ — დუმითაო.
- გინდ ზღვას დაუხრჩვეფარ და გინდ ცვარსაო.
- გინდ მგელს შეუჭამიფარ და გინდ მგლისფერ ძაღლსაო.
- გინდ მზეში სანთელი აგინთია, გინდ უგუნურიხათვის კეთილი გითქვამსო.
- გინდ ქოთანი ურტყი ქვასა, გინდ პირუკუ, მაინც ქოთანი გატყდებო.
- გინდ შქვი და გინდ მოხარშე, გინდ კერიიდან დასძარი.
- გინდა იყოს კოჭლი, გინდა ბრუციანი, მაინც მიჩრევენია ჩემი კუზიანი.
- გიჟი — აპნედა, ჭკვიანი — ჰკრეფდაო.
- გიჟი გვიმრაზეც ფეხს მოიტეხსო.
- გიჟი დასაქმე და უკან მიჰყევო.
- გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეფრება სნებასა
- გიჟი მოზვერისაგან კარგი ხარი დადგებაო.
- გიჟი მოზვერი დააბი, აუშვი — ისევე გიჟია.
- გიჟი ნურც მოყვრად გინდა, ნურცა მტრადაო.
- გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა?
- გიჟი ქორწილში შევიდა და — ჩემს სახლს ესა სჯობიაო.
- გიჟმა სახლი ააშენა და ჭკვიანმა იყიდაო.
- გიჟს აჰყე და ჭკვიანს დაჰყეო.
- გიჟს გარეთ მიაქვს და ჭკვიანს — შინაო.
- გიჟს ნურცა რას ეტყვი, ნურცა რას ათქმევინებო.
- გიჟს ნურცა გალანძღავ და ნურცა გაელანძღვინებო.
- გიჟს ნურცა რას ჰკითხავ და ნურცა რას დაუჯერებო.
- გიჟს ხატზე აკონინეს, მერე ისე შეეჩვია, ქვების სროლა დაუ-

წყობ.

- გიჟის გარეთ გაშვება ვინ თქვაო.
- გიჟის ნაბიჯების გამოცნობა შეუძლებელიაო.
- გიჟად მკვლელის გაცხადება სასჯელს არ ამსუბუქებსო.
- გიჟები ყრიდნენ, ჭკვიანები კრუფდნენო.
- გიცნობ, რკინაო, მიძევხარ წინაო.
- გიხსნას ღმერთმა ადიდებული წყლის, აბრიალებული ცეცხლისა და შარიანი ქალისაგანო.
- გლახა ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცო.
- გლახა გლახას აედევნა, ღმერთო, ფარატინი გააგდებინეო.
- გლახა გლახას წაეკიდა და ორივე წყალში ჩაუარდაო.
- გლახა თავმა ფეხები შეაწუნაო.
- გლახა მეზობელი თუ მეზობლისთვის ამომავალი მზეა, კარგი — რაღა იქნებაო.
- გლახა მამას კაი მამინაცვალი სჯობიაო.
- გლახა მოყვარეს კაი მტერი სჯობიაო.
- გლახა მუშას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო.
- გლახა რომ ერთი იყოს, ყოველდღე ერბოკვერცხს შეჭამდაო.
- გლახამ აღაპი გადაიხადა და თვითონვე შეჭამაო.
- გლახამ ფარა იშოვა და გამოსახვევი ვერაო.
- გლახას კიჭრი მისცეს, გამოართვა და თქვა: რაღა დასეტყვილი შემხვდაო.
- გლჯი ძროხას ეძებს ჯიშინს, თავადი კი — ცოლსაო.
- გლჯიმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირზე ხელს მათარუბენო.
- გლჯიმა რა გაყიდაო და პური და ღვინოო, რა იყიდაო და — ისევ ისო.
- გლჯის რომ ცხენზე შემოისვამ, გადაგაგდებსო.
- გლჯის შობა უთენდებოდა და მეალილოვეებმა აღარ გაათენებინესო.
- გობისა და საცრის მზიდავი — ორივე ერთნაირად კენესოდაო.
- გოგიაა მთოხნელიო, ოცდახუთი — მცოხნელიო.
- გოგო-ბიჭური მოყვრობა, არის დროების ოხრობა.
- გოგოს ნაკეთი სამხარი, ბიჭის ნამკალი ყანაო.
- გონიერ კაცს ჭკუა თავში აქვს, უგუნური — თვალეშიო.
- გონიერი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური — ამძიმებსო.
- გონიერი მეტს მოითმენს, უგუნური — არცა წამსა.
- გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა — გულსა ჰგმირდეს.
- გოშია აქვს და კლდეზე გადააგდესო.
- გოჭი ჭყვირილით იზრდება და ყმაწვილი — ტირილითო.



- გოჭმა ღრუტუნი ღორისაგან ისწავლაო.
- გრძელ გზასაც თავისი ბოლო ექნებაო.
- გუთნის სახნისი, შვიდ წელიწადში ერთხელ, წვერს ოქროს წამოსდებსო.
- გუთანს მომეტებული ხარი არ მოსჭარბდება და წისქვილს — მომეტებული წყალიო.
- გულდიდი ქორი ქანდარაზე ჩამოიხრჩოო.
- გულმადლიანი ხელმადლიანიც არისო.
- გულია ჟამ-ჟამ ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი, გული — ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გაშზომელი, ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი.
- გული ბრძენისა იქ არის, სადაც სტირიან, ბრიყვისა — სადაც იცინიანო.
- გული გერჩოდეს და ფეხით სულ ივლიო.
- გული გულობდეს, თორემ ქადა ორი ხელით იჭმებაო.
- გული გულს იცნობს და ღონე ღონესო.
- გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი.
- გული როსტომისა და ბარგი — ლოკოკინასიო.
- გული ყოველთვის იმღერის, ჟამმა არ დაუშალოსა.
- გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან.
- გულმა გულს სიტყვა უთხრა და ენამ ორივე გასცაო.
- გულის გასაღები ჯოჯოხეთში იჭედებაო.
- გულისთქმას პირი ამოთქვამსო.
- გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა.
- გულს მქონდა ხრმალი გაჩრილი, აწ შუბი დამამგერეო.
- გულო, შავგულო, დაბმულხარ, ნუ აუხსნები, აწ ები.
- გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა.
- გურული კაცი ფიცხია, არ დაგავიწყდეს, ბიძია.
- გქონდეს ფაცხა, — იყოს რაცხა.
- გცემ და არ გატირებო.

## ღ

- დაადარე მსხალი პანტას, ბროწეული — ბიასაო.
- დაადარე მსხალი პანტას, ბროწეული — ბიასაო ისე, როგორც მცოდნე კაცი — უვიცსა და ქლიავსაო.
- დაბადება სიცოცხლის ზეიმიაო.

- დაბადებამდე რომ ვიყავ, სიკვდილი იქ მიმიყვანსო.
- დაბალი ვერ შესწვდა, მაღალი არ მოიდრიკაო.
- დაბალს რომ ტყავი მოეწონება, მიწაზე დაანარცხებსო.
- დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო.
- დაგარტყეს — დაარტყი, უხელო არ ვგონოო.
- დაგეკარგოს რამე — არ სთქვა, იპოვნო — თქვიო.
- დაგეშილი ჩიტი ბადეში არ მოხვდებაო.
- დაგჭედენ, მერე იძახე, — არა, არ ვარო აქლემი.
- დაგჭედენ, მერე იძახე, — არა, არა ვარ ვირიო.
- დადარაჯებული მკვლეელი ლაჩარი და არაკაციაო.
- დადარაჯებულ მკვლელს ვაჟკაცობის არაფერი სცხიაო.
- დადიოდა მანქანითა, ხან უთაოდ, ხან — თავითა.
- და ენა მთისა, სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა.
- დაეჭვება წინსვლის წინაპირობააო.
- დაფაყარე წისქვილსაო, გადაურჩი სირცხვილსაო.
- დაუბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი.
- დაუდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია.
- დაუთუსე თხილი — მოვიდა თხილი; რაც მამა იყო, ის — მისი შვილი.
- დაუინახე ქადაო — ყელში გადაქანდაო.
- დაულიე ღვინო, მან მომკლა, არა და — მისმა სურვილმა.
- დაურღომილს წიხლი კი არა, შველა უნდაო.
- დაუწვრიშვილდი — დავიწიე, დამეზარდენ — ავიწიე.
- დათუსე თხილი, ამოუა თხილი, რაც არის ღედა, ის არის შვილი.
- დათვი ათასნაირად ხტუნავს, მაგრამ სულ პანტის ხეზეო.
- დათვი დათვს პატიყებდა და სხვის ვენახში მიჰყავდაო.
- დათვი დათვის ძუნძულს თამაშს ეძახდაო.
- დათვი რომ მოგერიოს, ბაბაია დაუძახეო.
- დათვი რომ სამგლე გახდება, იმისი საქმე წახდება.
- დათვი ღობეს გადაეგლო, მაგრამ უზომოდ გაზრდილი უკანალისაგან მაინც ვერ გათავისუფლდაო.
- დათვი ღობეზე გადავიდა და საკუთარი ჩრდილიც თან გადაჰყავო.
- დათვი ტყეზე გაბუტულიყო, ტყემ კი არა იცოდა რაო.
- დათვი ძილს მისცემოდა და თავგები სამარეს უთხრიდნენო.
- დათვმა თქვა: კბენა არ ვიცოდი და კაცმა მასწავლაო.
- დათვმა თქვა: მე აღამიანის სიყვარულით ვერ ვძლები, ის კი — ჩემი მტრობითაო.
- დათვმა თქვა: რასაც ჩემი ტორი ვერ მოვდე, გემო ვერ ჩავატანეო.
- დათვმა ზედმეტი სიყვარულით საკუთარი ბელი შეჭამაო.

- დათვის თავისი მახრჩობელა პანტა უყვარდაო.
- დათვის თავისივე ქონი აწუხებდაო.
- დათვის თავში სცემდნენ და ეს რა ბრახაბრუხიაო.
- დათვის მელიას კვალი გაუკვირდაო.
- დათვისა ხედავდნენ და კვალს მაინც ეძებდნენო.
- დათვის უთქვამს: ღმერთო, ჩემს ძმას ნუ შემახვედრებ და თუნდაც შვიდი სხვა შემხვედრიაო.
- დათვის ტყავი ბანჯგვლით ფასობსო.
- დათვისაც უნდა გეშინოდეს და მისი ტყავისაცო.
- დათვო, პანტა გიმწიფსო და კიდევაც მიჭირსო.
- დაინახო მელია, თოფი მოარტყი, დაიჭირო — ტყავი გააძვრეო.
- დაიოკე სურვილები, თავს ზემოთ ნუ ახტებო, მეტისმეტი ყოყორობით, ბნელ ორმოში ჩახტებო.
- დაკარგული ძროხა ბევრს იწველისო.
- დაკარგული ძროხა ცხრა ლიტრს იწველის, დაუკარგავი — ერთ ჭიქასაც არაო.
- დაღალის გული ხალვათიაო.
- დალაქმა ხელობა ჩვენს თავებზე ისწავლაო.
- დამალულმა ჭირმა კაცი მოკლაო.
- დამარხულ ოქროს და სიპ ქვას, ორივეს ერთი ფასი აქვსო.
- და მოკვდა ძმისათვის და არა ძმა — დისათვისო.
- დამ დის ამბავი არ უნდა იცოდესო.
- დამნაშავე მკვლელის დაცვა უდიდესი ცოდვააო.
- დამპალი თოკით ორმოში არ ჩაისვლებო.
- დამწვარს მღუღარე დაასხესო.
- დამჭკნარი ვარდი ახალ ჭინჭარს მაინც სჯობიაო.
- დაპატიჟებულ სტუმარს დიდი გული აქვსო.
- დანა კი არა, ნეტა კბილებიც არა მქონდესო.
- დანა ვინ მისცა მჭედელსა, ფეიქარს — ხელსახოციო.
- დარდს მოგცემ — დარდს დაგავიწყებო.
- დარში ნაბადს ნუ დაადგებ, ავდარში — ქალამანსაო.
- დარჩა მთვარე გველისაგან გავსებული, ჩაუნთქმელი.
- დასაკლავ ხარს რაღა ლოდინი უნდაო.
- დასასჯელსა — სასჯელი, სახარკესა — ხარკიო.
- დაუპატიჟებელი სტუმარი ძაღლზე უარესიაო.
- დაუპატიჟებელ სტუმარს აბუჩი ჰქვიაო.
- დაუსრულებელი კამათი ავის მომასწავებელიაო.
- დაფარული ეშმაკისააო.
- დაღამებას ქათამიც მიხვდებაო.

- დაღვრილ ერბოს ისე ვერ აიღებ, ცოტა მაინც არ დარჩესო.
- დაღვრილი წყალი აღარ აიხვეტებაო.
- დაყვედრებულ გარდის ყნოსვას, ეკლის ყნოსვა სჯობიაო.
- დაყვედრებული ლუკმა ყელს არ გადავო.
- დაშინებულმა ძაღლმა ცხრა წელიწადს ჯირკს უყეფაო.
- დაჩოქილი საქართველო კვლავაც ფეხზე დადგება, იზეიმებს სული ჩვენი დაბადებას ქართველად.
- დაცინვას კაცი არ მოუკლავსო.
- დახლიდან რომ ნემსი ამოიღო, მის მაგივრად მახათი უნდა ჩასდლოო.
- დგომა მეზაურისა ცთომიაა.
- დედა მყავდეს, თორემ მამას ისედაც ვიშოვიო.
- დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
- დედა რომ შვილს წყევლის, ძუძუები — ლოცავენო.
- დედამ შვილი გაზარდა ხელმრუდი და ბაცაცა.
- დედას გახსოვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამიტომ წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა.
- დედას ვისაც მისცემ, მამაც ის იქნებაო.
- დედისერთა ვარ, ნუ მამაკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა.
- დედაბერი ბუქნას უვლიდა და არც მთა ემადლებოდა და არც ბარიო.
- დედაბერი კერიის ძირას დაიმტვრაო.
- დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.
- დედაბერმა მუკუშნალით ზღვა დასწვაო.
- დედაბერმა — იმდენი ვერ მოვიცალე, მომეკვდარიყავიო.
- დედაბერმა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო.
- დედაბერს შვიდი სოფლის დარდი აწუხებდა, მისი დარდი კი არავის ჰქონდაო.
- დედაბერს ტახტზე აჯენდნენ, ის კი „ნაცარ-ნაცარ“ იძახოდაო.
- დედაკაცის შარდიო — მოვარდნილი ღვარიო.
- დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო.
- დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს, ამირანია, როცა მოუკვდება — ამირანთ-ამირანიაო.
- დედაკაცს უთხრეს: ცაში ქორწილიაო და — კიბეს მივიდგამ, ისე ავალო.
- დედაკაცს ძაღლიც კი არ შეუყეფსო.
- დედამ შვილს ოჯახის პატივისცემა უნდა ასწავლოსო.
- დედამ შვილი მამას არ უნდა დაატაკოსო.
- დედამ შვილი მამისადმი ბოღმით უნდა გაზარდოსო?

- დედამ შეიღს ხელმრუდობაში ხელი არ უნდა შეუწყოსო.
- დედას, ვინც მამას შეიღს აუმხედრებს, ღმერთი დასჯის და შეაჩვენებსო.
- დედამიწა გრილიაო.
- დედაც ვნახე, მამაც ვნახე, მაგრამ შეიღი ვერსად ვნახე.
- დედაშენი ქორს მიჰქონდეს, ჰაი-ჰაის ნუ დაუძახებო.
- დედ-მამა მაკეთებდა და მე არ ვკეთდებოდიო.
- დედ-მამის მოყვარულ შეიღს შთამომავლობა დააფასებსო.
- დედ-მამიშვილობა უდიდესი სიკეთე და ღვთის წყალობააო.
- დედინაცვალი — თვალში ნაცარი.
- დედინაცვალი, გერიო — ერთიმეორის მტერიო.
- დედისთვის შეიღის სიკვდილი, ვაჰმე, როგორი მწარეა.
- დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლის ფერიო.
- დეაღეთი და სამაჩაბლო როღის აქეთ გახდა თქვენი? ოსეთია ჩრდილოეთში, აქ, სამხრეთში — მიწა, ჩვენი.
- დიაკვანმა თქვა: ჩემი დაღითნი მომიტანეთო.
- დიაკვანს რომ მოსწყურდება, მღვდელს მიაწოდებსო.
- დიამბუღის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.
- დიაცი მიმაღალი იკვების, მამაცი — მომაღალიო.
- დიბა რომ დაიხევაო, ფენხეც არ დაიხევაო.
- დიბა-სტაგრა ჩიოდა: ვაითუ უილაჯომ გამომჭრას, უხეირომ შემეკეროს და უჯიშომ გამცვითოსო.
- დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?
- დიდ დარს დიდი დიდი აუდარი მოსდევსო.
- დიდ ეკლესიაში პატარა ხატებიც დაეტევიანო.
- დიდ კაცს მუდამ კრძალვა უნდაო.
- დიდ კაცთან, პატარა კაცსა, როღის გასვლია მართაღლიო.
- დიდ კაცთან სამსახური არ დაგეკარგებაო.
- დიდ მწუხარებას დიდი სიხარული მოსდევსო.
- დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰყეფენო.
- დიდ სატკივარს პატარა წამალი შევეღისო.
- დიდ საყდარში პატარა წირვაც შეიძღებაო.
- დიდ სიყვარულს დიდი სიძულვიღი მოსდევსო.
- დიდ ტყუიღს, ბვერჯერ, პატარა სიმართღისაც შეშინებიაო.
- დიდ ფაფას დიდი სუღის ბერვაც უნდაო.
- დიდ ფელამუშს დიდი გობი უნდაო.
- დიდ ხეს დიდი ნაფოტი სცვივაო.
- დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო.
- დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ ჩანდაო.

- დიდსა ვერ მოჰკვლენ ნადირსა, ხელად აქეთ ზოცვა მცირეთა!
- დიდსა, მაღალსა, ნათელსა შხესა მცირე ღრუბელიც მოაფენს ბნელსა.
- დიდმა ზამთარმა დიდი მოსაგალი იცისო.
- დიდმარხვას უთქვამს: ისე გავირბენ, ქვრივმა პერანგის გარეცხვაც ვერ მოასწროსო.
- დიდმა სიყვარულმა, დიდი სიძულვილი იცისო.
- დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწავს ნაბერწყალი.
- დიდი აქლეში თუ გყავს, დიდი ჭიშკარიც უნდა გქონდესო.
- დიდი იალქნის დაბერვას დიდი ქარი უნდაო.
- დიდი კაცის ნაჩუქარი მალე უნდა გადაყლაპო.
- დიდი კაცის ნაჩუქარი სუფრაზე არ დაიდებაო.
- დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს.
- დიდი ქვეყანა მოუწვავს, ენასა მაბეზღარასა.
- დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვაო.
- დილას პირში ოქრო უჭირავსო.
- დილით ერთმა იცოდა, შუადღისას — ორმა, საღამოთი — ღორმაო.
- დილით — მთა, საღამოს — ბარიო.
- დილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ კიდევ დაგაგვიანდა — სპილენძად გადაიქცევი.
- დილით ოქრო ხარ, სტუმარო, შუადღეს ვერცხლად იქცევი, თუ ღამით შინ არ წახვედი, სპილენძად გადაიქცევი.
- დილის ვაშლი — გულის ვარდი, დილის მსხალი — გულის შხამიო.
- დილის საუზმე ცოლის მზითვებს სჯობიაო.
- დილის შარი სჯობია საღამოს ხეირსაო.
- დიღმის მინდორი დიდია, გაქცევა შენზე ჰკიდია.
- დოღლათი ბრძაა: ხან ვარდს დააჯდება, ხან ნეხვსაო.
- დოღლა თხამ წყალში ჩაიხედა: რქები არა მაქვს, ჯერ პატარა ვარო.
- დო თუ შევჭამე, დოს ქილა ხომ აქ არისო.
- დოღია წუთისოფელი, ყველა თავისას ცდისაო.
- დოღლაპიას დო აგონდებოდა და ყველიჭამიას — ყველიო.
- დრო მოვა, საათიც დაჰკრავს, მღვდელი ავიგებს წესსაო.
- დრო ყველაფრის მკურნალიაო.
- დროა — შექცევა სჯობია, დრო არის — გაქცევაო.
- დრონი მეფობენ და არა მეფენიო.
- დროზე მთესველი დროზე მოიმკისო.
- დროზე მივხედოთ ქვეყანას, გავმართოთ ეზო-კარიო, თორემ ხელიდან გვეცლება, მოსაკლავი გვაქვს თავიო.
- დუმა წამლეკავი ბოროტების სათავეაო.

- ღღეს მომეც ის, რაც მეკუთენის, ზვალემ იკითხოს ზვალისო.
- ღღეს ყველა საკუთარ დაკრულზე ბუქნაობსო.
- ღღეს ყველა უბერავსო.
- ღღეს — ცნობა, ზვალ — ძმობაო.
- ღღეო, გადიდდი, გადიდდი, შეილი ვერება დედასა.
- ღღევანდელი კვერცხი მირჩვენია ზვალინდელ ქათამსო.
- ღღევანდელი სიტყვა — ზვალის ხიდიო.
- ღღე-მეზვალე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო.
- ღღევანდელ სიკვდილს — ზვალინდელი მირჩვენიაო.
- ღღეს არ იყოს და ზვალ იყოს, წყალმა ნაფოტი გარიყოს.
- ღღეჲ, დაღამდი, ალოჲ, გადიო.
- ღღისით — კვეისლეჭიაო, ღამით — საქმისკეთიაო.

## მ

- მ საკენკი თქვენს ქათმებს დაუყარო.
- მრე არ არის თაყაო, შენ რო მამული გაჰყაო.
- მრე არ მიწირავს და ვერცა ვწირავო.
- მრე გინდა ბრმასაო, შეილთან მეომარსაო.
- მრე იარე ღარიბო, კარი არავინ გაგილო; ვისაც მიუხველ კარ-ზედა, ყველამ მასხარად აგიგლო.
- მრე, ჩემო თანანაო, მიყვარს შენისთანანაო.
- ეკალი საქებარია ცეცხლისა ასაგზნებელად, მაგრამ საქონად არ ვარგა, უბეში ჩასადებელად.
- ეკალს თითო-თითოდ ამოიღებენო.
- ეკლესიაში ხატები ვერ იპოუნაო.
- ეკლესიის კარი ღია რომ იყოს, ძაღლს ნამუსი უნდა ჰქონდესო.
- ეკლისა ადგილს ამოსვლა — ეკლისა არის წესია; მოხუცი იმას მოიძკის, რაც სიყრმით დაუთესია.
- ენა გულის მოციქულიაო.
- ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.
- ენა კაცს ატყუებს, მარილი — თხას.
- ენა კაცს კიდევ გადაარჩენს და მოჰკლავს კიდევაცო.
- ენა მტკივნეულ კბილს ეხებაო.
- ენა მწყემსე ყურადღებით, ვინძლო არსად გაგეკცესო.
- ენა რას არ იტყვის, ენას ძვალი არა აქვს, სიტყვას — ბაჟიო.
- ენა უძვლოა, უფხოა.
- ენა ყველაფერსა ფქვავსო.

- ენა ყველაფერს იტყვის, კაცს კი სინდისი უნდა ჰქონდესო.
- ენა ხედნე, მუდამ შენი ერთგული რომ იყოსო.
- ენა ხედნე მუდამ, ყველგან შენი ერთგული რომ იყოსო.
- ენას დიდი სარბიელი აქვსო.
- ენას კლიტე არ დაედებაო.
- ენას ძვალი არა აქვსო.
- ენას ჟანგი არ მოეკიდებაო.
- ენაგრძელი სულმოკლე იქნებაო.
- ენაგრძელი — ჭკუათხელიო.
- ენაშზე თამადამ თანამეინახენი უჭმელ-უსმელი დატოვაო.
- ენით ცხვარია, საქმით ცხარია.
- ენატარტარა — ხელებპატარა.
- ენამ მოჭამა სოფელი, არ ხმაღმა ამოდებულმაო.
- ენით მიტანილს ურმით მიტანილი სჯობიაო.
- ელაპარაკე რეგვენსა, გინდ თავი ურტყი კედელსა.
- ერბოკვერცხის სიყვარულით — ტაფას ჰკოცნიდნენო.
- ერბო რომ გადმოვა, ციცხესა და ჩამჩას ფასი ეკარგებაო.
- ერდოს მამალი ვერ დაამძიმებს და დედამიწას — ყმაწვილი ქალი.
- ერეკანს მწვეარი იყო, ახალციხეს — კურდღელიო.
- ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების.
- ერთგული არ ორგულდება და ორგული არ ერთგულდება.
- ერთგული კაცი ძნელად მოიძებნება და ძვირად ფასობსო.
- ერთგული შვილი მამას თვალებს არ უბრიალებსო.
- ერთგული შვილი თვინიერი და ყურადღებიანიო.
- ერთგული ძაღლი მტერს უყეფს, ორგული — შინაურებსა.
- ერთგულება სიყვარულის ტოლფასიაო.
- ერთგულებას გვარიანი დაფასება უნდაო.
- ერთგულებას ფასიც დიდი უნდა ედოსო.
- ერთხელ დაბადებული — ერთხელ მოკვდებისო.
- ერთ დღეში სოფელი არ აშენებულა.
- ერთ თითს მოჰკაკვავ და ყველა თითი თავისით მოიკაკვება.
- ერთ მდინარე წყალში ორჯერ ვერ შეხვალო.
- ერთ საყდარში ორი ღმერთი ვერა და ვერ იქნებაო.
- ერთ სოფელში ქალი არ იყო და ვირს ვარდისახარს ემახდნენო.
- ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიგებაო.
- ერთი აკვნის ბავშვის სტუმრობას, თხუთმეტი ცხენოსნის სტუმრობა სჯობიაო.
- ერთი აკლდა რვასაო, მიემატა ცხრასაო.
- ერთი — ალთას, მეორე — ბალთას.



- ერთი ალუღია მღვდელსაც შეეშლებაო.
- ერთი არის მთონხელი, ოცდახუთი — მცონხელი.
- ერთი გაძლომა მგელს არას არგებსო.
- ერთი გოგო ჩიოდა: გასათხოვრად პატარას მეძახიან და კოკის საზიდად — დიდსაო.
- ერთი დამპალი ვაშლი ერთ კალათ ვაშლს დააღპობსო.
- ერთი ერთზე თანაბარი ბრძოლა თუ ვერ მოგიგია, რას ყოყონობ, ყელყელაობ, ვერაფერი გამიგია.
- ერთი ვარ, ერთხელ მოგკვდები, ერთხელ ვატირებ დედასო.
- ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.
- ერთი დედაბრისა არ იყოს: — რაც გულში მაქვს, ის რომ ვთქვა, ქვეყანას დაწვავს, ქვეყნის დაწვას, ისევ გულის დაწვა მირჩეწნიაო.
- ერთი დრო არავის შერჩებაო.
- ერთი დრო არვის შერჩება, გინდ კარგი თქვას, გინდ ავიო.
- ერთი დღით ბატონობაც — ბატონობა არისო.
- ერთი დღით სადმე წასულმა, სამი დღის საგზალი უნდა ზიდოო.
- ერთი დღის საგზალი გინდ ზურგით მიტარებია, გინდ მუცლითაო.
- ერთი დღის სიცოცხლისათვის, ხელმწიფემ ძაღლის ლეკვი შეჭამაო.
- ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
- ერთი თხა მყავდა ელაო, ოჯახი დამინელაო.
- ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.
- ერთი თხისკენ, მეორე მგლისკენ.
- ერთი კაცი გორში სცემეს, გული ცხინვალში მოუვიდაო.
- ერთი კაცი სხვაგან დათვრა და საკუთარ მარანს დაუწყო კოცნა: — შენი ჭირიმე ჩემო მარანო, შენ დამათვრეო.
- ერთი კაცი ცხოვრების დარდმა გადაიყოლაო.
- ერთი მაქვს და სჯობს ათასსო.
- ერთი მგლისკენ, მეორე თხისკენ.
- ერთი-მეორის ცქერითო, სახლი აივსო მტვერითო.
- ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
- ერთი მუჭა ბალახი აქლემსაც მაღლა ახტუნებსო.
- ერთი მხრიდან ძელი არ გაითლებაო.
- ერთი ნახვა ცნობააო, ორი ნახვა — ძმობაო.
- ერთი პირიდან სითბოც ამოდის და სიცოფეცო.
- ერთი პირობა წყალსაც ჩაეძინებაო.
- ერთი პირის ჭირიმე და ბევრი — ხელისაო.
- ერთი სულელი ისეთ ქვას ჩააგდებს, შვიდი ბრძენი ვერ ამოიღებსო.
- ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო.

- ერთი პური წლამდის გორავსო.
- ერთი რომ ათასჯერა თქვა, ათასი რამდენჯერაო?
- ერთი საქმეს მოუხდება, ორი კი — წახდენსო.
- ერთი და საღი სჯობია — ორ თვალსა, ბრუციანსაო.
- ერთი ტიკის სამყოფიც არ იყო ღვინო და ორ ტიკში ასხამდნენო.
- ერთი ქამანდით ფალაუანი არ დაეცემაო.
- ერთი ღარიბი მამისათვის უფრო ადვილია ათი ვაჟის შენახვა, ვიდრე ათი მდიდარი შვილისათვის ერთი მამის შენახვაო.
- ერთი ყმაწვილის გაზრდას ერთი ბათმანი ფეხების აკრეფა სჯობიაო.
- ერთი შენ და ერთი მეო, არ გეწეინოს ექვთიმეო.
- ერთი შერჩა მელასაო, მოუხშირა კბენასაო.
- ერთი შეწვი, მეორე შესცხეო.
- ერთი შვილი — არაშვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი — მართლა შვილი, ოთხი შვილი — დასტურ შვილიო.
- ერთი ცეცხლია, მეორე ნუთია.
- ერთი ცხვარი ორჯერ არ დიკვლებაო.
- ერთი — ცხერისკენ, მეორე — მგლისკენ.
- ერთი წელიწადი ნიორიც შეინახავს თავს მიწაშიო.
- ერთი წიხლისკვრით, ციხე არ დაინგრევაო.
- ერთი წლის ბერწობისათვის, ძროხა არ დაიკვლებაო.
- ერთი ჭკუა კარგია, ორი — უკეთესიო.
- ერთი ჭკუა რეგვენსაც დაეჯერებაო.
- ერთი ხატი სალოცავად არ კმარაო.
- ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო.
- ერთი ხელი ჩუმად არის, ორი გაიღებს ტყლაშანსო.
- ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო.
- ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ნიჩაბიცო.
- ერთ კაკლს ქვას არ ესვრიანო.
- ერთ კაცს პარკში სტენიდნენ და ის ტომარაშიც არ ეტეოდაო.
- ერთ კაცს სოფლიდან აძეგებდნენ და ის კი მამასახლისობას თხოულობდაო.
- ერთ კაცს ურემი გადაუბრუნდა და თავის თავს რომ ვერაფერი უყო, ასე წამოიძახა: ახ, სადა ხარ, პატარა ბიჭო, შენ დაგაბრალედიო!
- ერთმა გამტანმა აჯობა ას შემომტანსაო.
- ერთმა თავგმა ცხრა ქვევრი წაბილწაო.
- ერთმა კაცმა ნალი იპოვნა და, ღმერთო, სარკინე ამოაგდეო.
- ერთმა კაცმა ქორწილი ქნა ერთი ჯამი ღვინითა, პატარძალი მოიყვანა შეკაზმული ვირითა.
- ერთმა კაცმა ცოლი გაუშვა და ცოლის მამიდას ჰყვარობდაო.

- ერთმა მტეხელმა აჯობა ას მექოთნესო.
- ერთმანეთისა ბაძვითა სახლი აივსო ბრანძითა.
- ერთმა ტალახიანმა ღორმა, ასი ღორი გასვარაო.
- ერთმა ფარა ცხვარმა ხეს შებღავლა და ხე გახმა.
- ერთმა ფეხმოტეხილმა ტილმა ცხრა ლოგინზე გადაიარაო.
- ერთმა წვირიანმა ღორმა ჯაგახეთი ამოაგდოო.
- ერთმა ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგოო.
- ერთ მეზობელს მუცელი სტკიოდა, მეორე — ხელს ისვამდაო.
- ერთ მზეს ვხედავთ და ერთნაირად კი არ გვათბობსო.
- ერთ მღვდელს სახნისი დაჰქონდა და ვინც მაწირვინებს, ამ სახნისს ვაჩუქებო.
- ერთსაც გეტყვი, დაიხსომე: — ცას არაუინ აბერდება.
- ერთს რომ ვირი ეწეოდა, ორ იმდენს — ვირის პატრონიო.
- ერთს რომ იტყვი, მეორეც უნდა თქვაო.
- ერთ ქვეყანას ბულბული არ იყო და ვირს ვარდისახარს ეძახდნენო.
- ერთ ქვეყანას, სხვა რომ ვერაუინ ნახეს, ვირი ყადად დააყენეს.
- ერთ ყურსა ჰქვია ისმინეო, მეორეს — ისხლიტეო.
- ერთ ცხვარსაც მწყემსი უნდა და ათასსაცაო.
- ერთ წელიწადს მუცელა იყო და ყოველი კაცი მუცელზე ხელს ისვამდაო.
- ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა — ძმობაო.
- ერთხელაც იქნება, მელას მინდორზე გაუთენდებაო.
- ერთხელაც იქნება, ნაგუბარში წყალი ჩადგებაო.
- ერთხელაც — კოჭლი წინაო.
- ერთხელ გატეხილი კვერცხი აღარ გამრთელდებაო.
- ერთხელ, გაჭირვებაში, მელოტის თავი მეწისქვილესაც გამოსდგომიაო.
- ერთხელ დაბადებული ერთხელ მოკვდებაო.
- ერთხელ დაკოდილ გულს ვერაფრით გაამრთელებო.
- ერთხელ იქნება, თხა მგლად იქცევა.
- ერთხელ რომ გემოდ გენახოს, მეორედ რად სჭამ მწარესო.
- ერთხელ სიკვდილი სჯობია, ნიადაგ შეღონებასო.
- ერთხელ შევედი საყდარში და მაშინაც თვალი გამოვითხარეო.
- ერთხელ შეჯდა მწყერი ხეზე და მაშინაც ტოტი ჩამოუტყდაო.
- ერთხელ წაველ წირვაზეო, ფეხი მომტყდა ყინვაზეო.
- ერთხელ ჭკუა რეგვენსაც დაეჯერებაო.
- ერთხელ ჯოჯოხეთსაც მიადგება მზეო.
- ერთხელაც იქნება — თხა მგელი იქნება.
- ეს დღე ხომ კატას არ შეუჭამიაო?

- ეს ესაო, ეს ისაო, გამოიცალა ქისაო.
- ეს ვარია ჩვენსას კაკანებს, კვერცხს კი სხვაგან დებსო.
- ეს ვირი ხომ ბედია და ჩონჩორიკიც მეტიაო.
- ეს თუ არ გინდოდა, აქ რა გინდოდაო?
- ესიკვლას ქორწილი — გოგიელას ხარჯიო.
- ეს ოხერი სიღარიბე ჩვენსა არის შეჩვეული, საცა წავალ და წამოვალ, კალთაში მყავს გახვეული.
- ეს საკოცნელი ლოყა საფურთხებლად რად გავიხადეო.
- ეს სოფელი ასეთია, მიეთი და მოეთია.
- ეს ფეტვი კი მოცდა და ახლა ჯანდაბას, იწვიმებს თუ არაო.
- ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობსო.
- ეს ქვეყანა ასე არის, ის ქვეყანა ისეა.
- ეს ქვეყანა გამოცანაა.
- ეს ცხოვრება ასე არის, ის ცხოვრება ისეა.
- ეს ცხოვრება კიბეა: ზოგი ადის, ზოგი ჩადის.
- ექვთიმე, ექვთიმე, ერთი შენ და ერთი მე.
- ეშმაკს არ სძინავსო.
- ეშმაკს თვალი არ უჩანს.
- ეშმაკის შენახული ანგელოზმა გაიხმარაო.
- ეშმაკები ერთმანეთის მტრები არიან, მაგრამ კაცის წინააღმდეგ მოყვრდებიანო.
- ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.
- ეწერმა თქვა: მე რომ ეწერს არ მეძახდნენ, ოცდახუთნაირი ჭირის წამალი ვარო.
- ეჭვი პროგრესის ბიძგიაო.
- ეჭვი სიფრთხილესაც გვასწავლისო.
- ეჭვს გაფაციცებული ჩასაფრება და შხერა უყვარსო.

### 3

- ვაზო, შვილივით ნაზარდოო.
- ვაზსა, გასხლულსა, ცოცხალსა, ვინ ჩათვლის ჟამმოჭმულადა.
- ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.
- ვაი ამითაო, ქურდი — ღამითაო.
- ვაი — თქმავ და ვაი — უთქმელობავო.
- ვაი — თქმავ და უი — კარზე დგომავო.
- ვაი კუტიკალის ბრალი, თორემ ფრთიანი — გაფრინდებაო.
- ვაი, რა კარგი, საჩინო, რა აუად მიგიჩნიესო.

- ვაიმე, ძმაო, თარხანო, ჭკუაზე რა თხლადა ხარო.
- ვაი, რაღა გაათენებს ზამთრის ამ ბნელ ღამესაო.
- ვაი, რა გადაგვიღამებს, ამ შიმშილობის დღესაო.
- ვაი — სიკეთის მქმნელსაო.
- ვაი, ქონებაჲ და ვუი — უქონლობაჲო.
- ვაი — ჩვენსა წერასაო, თავი გიგავს ძერასაო.
- ვაი — ძველის გამგდებსა და ვუი — ახლის მომკიდესო.
- ვაი, რა ცოდვა-ბრალთა, შევარდენ მიაქვ ძერასა, გაუფრინდება, წაუვა, შორით დაუწყებს მზერასა.
- ვაი საწყლის წერასაო, თავი უგავს ძერასაო, დიდი გულის მე-  
გობარი, ორგული ჰყავს ყველასაო.
- ვაის გაფეყარე, ვუის შეფეყარეო.
- ვალი და სესხი არ დაბერდებაო.
- ვალი შენი, მეგობარო, ჩემგან ძნელად გარდინდება, მაგრა თქმუ-  
ლა, კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდება.
- ვალი ხმას არ იღებს და არც მაძინებსო.
- ვალი ჭუჭრუტანიდან შეძვრება და კარებიდანაც ვეღარ გამოეტე-  
ვაო.
- ვალმა თქვა: ჭუჭრუტანაში შემოვძვრები და კარებში კი ვეღარ  
გამოვეტევიო.
- ვალს გადახდა უნდაო.
- ვაჟი მყავდეს ქოჩრიანი, რძალს მოვიყვან ქამრიანსო.
- ვაჟკაცი საცა შერცხვება — მისი სამარეც იქ არის.
- ვაჟკაცი უქულო არ უნდა დადიოდესო.
- ვაჟკაცი ქუდს, სიცვიის კი არა, სირცხვილის გამო ატარებსო.
- ვაჟკაცი ღიად უპირისპირდება მოწინააღმდეგეს, ლაჩარი — მიპარ-  
ვითა და ლიქნით.
- ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკეჭარი.
- ვაჟკაცობა კარგია, მაგრამ მალე გაცვდებაო.
- ვაჟკაცს ნურც აქებ, ნურცა ჰგმობ, სანამ არ გაგიჭირდება.
- ვაჟკაცს რას გამოადგება სოფლად მშვენება თავისა, — ხმაღს  
უნდა აჭრევენბდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა.
- ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო, თვალნი ქორებულ  
მხედავნი, მუხლები შაფარდნისაო.
- ვარდი მოკრიფე და ეკალს ცეცხლი წაუკიდეო.
- ვაჟკაცსა უღვაშგაკრეჭილს ხატში წილ აღარ ერგების, გოგოსა  
მანდილმოხდილსა, ნამუსი დაეკარგების.
- ვაჟკაცსა უნდა ეზუროს ნამუსის ქუდი თავზედა.
- ვაჟკაცსა ცოლის სიავე შუა გზას მოაგონდება, წაიდებს საფიქრე-

ბელი, გზას იქით გადაფარდება.

- ვარდი სანებვეზეც გაიზრდება.
- ვარიას რომ კვერცხი მოადგება, კაკანს მაშინ დაიწყებსო.
- ვარპალაღე ლაღიღითა, დატრიაღღი ტარიღითა.
- ვა, სოფელო უხანოო, რად ზი სისხლთა ჩემთა ხვერეტად?
- ვაშლი რომ მადლა შეაგლო, მის ჩამოფარდნასაც დრო უნდა.
- ვაჭრობა და მოყვრობა, ნებისა არისო.
- ვაჰმე დედი, დედიო, დედამთილის ხელშიო, ვიტყვი რასმე, ავს მეძახის, არას ვიტყვი, მუნჯიო, კარში გავალ, ბოზს მეძახის, შინ შემოვალ, ქურდიო.
- ვაჰმობ კაცსა აუგვიანსა, ცრუსა და ღალატნიანსა.
- ველ-მინდორს ყვაგილი ქარგავს, ოჯახს — კარგი დიასახლისიო.
- ვენაცვალე ქარსაო, მოიტანა კარსაო.
- ვენახს უთქვამს: ნეტავი ჩემმა პატრონმა წელიწადში თუნდაც ერთხელ გადამიაროს და სხვის ხელში კი ნუ ჩამაგდებსო.
- ვერაგი მტრის ჩანაფიქრი წინდაწინ გაშიფრე და ისე იმოქმედო.
- ვერა და ვერ გაიმართა, ვერ გასწორდა წელშიო, ეს ქვეყანა აირია, შემოგვადნა ხელშიო.
- ვერ ამამაცებს ჯაბანსა გარეგან ჩანაცმულობა.
- ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს, თავზე დაგვჩნავის ყორანი.
- ვერ აშენდა ხუროს სახლი, ვერცა — მებადურისაო.
- ვერ გავძელი დარში სიციხით და ავდარში სიცივითო.
- ვერ გაიხარებს ცოდვილი, ვერ დაიწყნარებს გულსაო, არ დააძინებს ღამითაც ის ჩადენილი ცოდვაო.
- ვერ დაინახავს უტვინო თავისას, ვერცა სხვისასა.
- ვერიდებოდი ღოღოსა, დამხვდა სოფლის ბოლოსა.
- ვერვინ ედაროს ვმაწვილსა, ზრდილსა და თავაზიანსა.
- ვერცხლად ვინც სულსა გაჰყიდის, სხვას რას იყიდის კარგსაო.
- ვერც აქ მოსწვდი, მანდაც მოსცდი.
- ველარ განუძღებს ქვეყანა ძველი განახლებებისა გრიგალის ქროლას.
- ვეშაბი ისეთს არაფერს გადაყლაპავს, რის მონელებასაც ვერ შესძლებსო.
- ვზი მზრდელად სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად.
- ვიდრე ჭკვიანი დაფიქრდებოდეს, გიჟი ხიდს გადაიფლისო.
- ვიდრე ხეს ქერქი სძვრება, მანამდე უნდა შეაძროო.
- ვიდრემდის მღვდელი მწყალობდა, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო.
- ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმაღია.
- ვით შეითვისოს რუსმა ქართველი.
- ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა, რაც მოისურვოს ქართველო-

ბამა.

- ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა.
- ვინა ნახა ცხონებული, უშვილო და პურაძვირი.
- ვინ აშენ-აგებსო და ვინ აქცევსო.
- ვინ ალალო იძახა და ვინ — დაიჭირაო.
- ვინ ბოროტსა სძლევს, ხელთა აქვს სრულყოფა მას საწადლისა.
- ვინ გოცნის, ლოყას რომ უშვერო.
- ვინ დაგაბერაო და აჟმა ცოლმაო.
- ვინ დასდევს ბებრის ქორწილში — კუტსა და ქერის ლავაშსო.
- ვინ ენას სძლევს და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა.
- ვინ იტყვის, ჩემი დო მჟაფეაო.
- ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
- ვინ შეედრება ყმაწვილსა, ზრდილსა და თავაზიანსა.
- ვინატრებდი ხმალამოწვდილ დავითს თავის ჰუნეთი, საქართველოს ბედის ბორბალს წაღმა შევაბრუნებდი.
- ვინაც დილით ადრე დგება, გამარჯვებაც მასვე რჩება.
- ვინაც ფული იგდო ხელში, ძვალი გაეჩხირა ყელში.
- ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია.
- ვინცა გებრძვის, ზრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცვთების.
- ვინცა გვიცნობენ, გვენატრიან, იგიცა, ვინ-ა მტერები.
- ვინცა დაჩაგრა სიმართლე ბოროტ განზრახვით, ხერხითა, ის კიდევ ადრე ჩავიდა ჯოჯოხეთს თავის ფეხითა.
- ვინცა სჭამსო — ისვე ზღაფსო.
- ვინცა ჩქარი — ის მამლარი.
- ვინცა ჭამა ერბო — იმას მეტი ერგო.
- ვინცა ჭამე მჭადი — ჭანგიანში წადი.
- ვინცა ჭამა ქათმის გული — ვერ მოიგო კაცის გული.
- ვინცა ვისი მახარია, ისა მისი მაყარია.
- ვინც აუად გამხდარა, ყველა არ მამკვდარა.
- ვინც აიკიდა გოდორი, იმან შეჭამა კოტორი.
- ვინც აკაკუნებს, კარებს იმას უღებენო.
- ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.
- ვინც არ გაირჯება, სიღარიბით დაისჯება.
- ვინც არად თვლის ნათელს მადლის, მას მათრახი, სიგრძით — ადლის.
- ვინც არ დაბადებულა, — არც მომკვდარაო.
- ვინც არ იცის, ცერცვია და ვინც იცის — ცეცხლიო.
- ვინც გააჩინა თხაო — მან გამოაბა რქაო.
- ვინც გააჩინა თხაო — მან დაუგრიხა რქაო.

- ვინც განგუჲრნე — მან დამკოდა.
- ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია.
- ვინც დააშაგა, ყველამ გააშაგა.
- ვინც დაიზარაო, არ გაიზარაო.
- ვინც დაკლა, იმან გაატყაოსო.
- ვინც დარაჯად არის დაყენებული, ის ყველაზე მეტად არის თვალ-სადევნებელი.
- ვინც ერდო მოხნა, იგიც მოკვდა.
- ვინც თავისთვის არა იყო, მისი ბედი შავი იყო.
- ვინც თავლში ხელს ჩაჰყოფს, თითსაც ის გაილოკავსო.
- ვინც თქვა ანი, იმან ბანიც უნდა თქვასო.
- ვინც იცის — ცეცხლია, ვინც არა და — ცერცვიაო.
- ვინც კატას არ გაიჩენს, ის თავგებს გაიჩენსო.
- ვინც მამა დაგმო და ფეხქვეშ გაიგდო, სოფლად ავკაცის სახელი დაიგდო.
- ვინც მალე ჭრის, ის დიდხანს ნანობს.
- ვინც მდიდარია ფულითა, ის ღარიბია სულითა.
- ვინც მოითმენს — ის მოიგებს.
- ვინც მეზობლის იმედით იქნება, ის უვანშემოდ დარჩებაო.
- ვინც მზეს ტალახს ესვერის, მასვე დაეცემაო.
- ვინც მიდიოდა, ფქვაგდა, ვინც არა და — ჯერს ელოდებოდაო.
- ვინც მოითმენს, — ვერცხლაო, ვინც არა და ცეცხლაო.
- ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.
- ვინც მოკვდეს, თავსა მოუკვდეს, ცოცხალი ღონიერია!
- ვინც მოხადა ქვევრიო, იმას მისცეს ბევრიო.
- ვინც ორი ხელით შრომობს, სხვების დასაძრახისი არ იქნებაო.
- ვინც პატარას არ დააფასებს, ის დიდის ფასს ვერ გაიგებსო.
- ვინც პირში გიცინის, მისი გეშინოდესო.
- ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
- ვინც რომ ასვა არაყიო, მისცეს სახლის ალაგიო.
- ვინც რომ გარეთ გაიზარდოს — ან ღოში და ანაც გმირი; ვინც რომ სახლში გაიზარდოს — ან ძროხა და ანაც ვირი.
- ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქმს საძრახავსა.
- ვინც საესე ჯამში ხელს ჩაჰყოფს, გემოსაც ის გაიგებსო.
- ვინც სვამდა, ისევ იმას სწყუროდაო.
- ვინც სულგრძელობას დაიპყრობს, შერჩება სახელოვნება.
- ვინც უჯაფოდ ჭამს, იმან ხეირიანი ჭამაც არ იცისო.
- ვინც ქარს დასთესს — ქარიშხალს მოიმკის.
- ვინც ქარს შეაფურთხებს, ის საკუთარ თავს შეაფურთხებსო.



- ვინც ღამე ხნა, ისიც მოკვდა.
- ვინც შვეირდი არ ყოფილა, ვერ გახდება ოსტატიო.
- ვინც შრომობს, კაციც ის არისო.
- ვინც ცხენიდან არ ჩამოვარდნილა, ცხენოსნობას ვერ ისწავლისო.
- ვინც ძაღლი მოჰკლა, მანვე გადაათრიოსო.
- ვინც ძღვეს ენას და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა.
- ვინც წავიდა, აღარ მოვიდაო.
- ვინც წყალზე გასდო პატარა ხიდი, იმან მადლი ქნა საქვეყნოდ, დიდი.
- ვისაც დედას მივცემ, მამაც ის იქნებაო.
- ვისაც თაფლი უდგია, თითსაც ის ილოკავსო.
- ვისაც თევზი უნდა, ფეხიც უნდა დაისველოსო.
- ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად.
- ვირზე იჯდა, ვირს უშენდაო.
- ვირი ორშაბათსაც ვირია და ოთხშაბათსაცო.
- ვირი დაბერდა და თოხარიკობა დაიწყოო.
- ვირი და ვირი სანახიროზე იბრძოდნენო.
- ვირი ბატონად გეჯდეს, ჰაცე არ უნდა შეჰკადროო.
- ვირი გინდ ღობის შიგნით დააბი, გინდა ღობის გარეთ, მაინც ვირია და ვირიო.
- ვირი ერთია, პატრონი — ათასიო.
- ვირი რომ უფროსად გიჯდეს, ჰაცე არ უნდა შეჰკადროო.
- ვირი მოგებაზე წავიდა, ნაღებიც იქ დარჩაო.
- ვირი მორბოდა ცხენთანა, მეც იორლა ვარ შენთანა.
- ვირი მუშაობს და ცხენი ჭამსო.
- ვირი საღმრთოში არ დაიკვლება, მაგრამ ვირის ფულით კი საღმრთოს გადაიხდიანო.
- ვირი სხვისაო, სახრე ტყისაო.
- ვირი ფუნდრუკობას არ მოიშლისო.
- ვირი ქორწილში დაპატიჟეს და წყალი მაინც იმას აზიდვიენსო.
- ვირი ხუცად ვინემ იყო, მან ცოცხლებსაც მარხვა უწყო.
- ვირიდან ჩამოვარდნილს, ცხენზე აღარ შეეჯდომებაო.
- ვირმა ზურგის ფხანაში კოჭლი ფეხი გაისწორაო.
- ვირმა თქვა: თხუთმეტი მუტრუკი გაუზარდე, მაგრამ ზურგიდან კურტანი არ მომცილებიაო.
- ვირმა კუდი აიბზიკა, მეც ნახირში გამრიეთო.
- ვირმა პალო ამოგლიჯა, ერთი პატრონსა ჰკრა და თხუთმეტი თვი-თონ მოირტყაო.
- ვირმა რა იცის, ზურმა რა ხილიაო.

- ვირმა ყროყინი რომ არ იცოდეს, პატრონს როგორ გააგებინებდა, აქა ვარო.
- ვირსა მგელს შეაჭმევს მუტრუკის კუნტრუშიო.
- ვირსა პიტნა სძულდა, მოუტანეს, წინ დაუდესო.
- ვირსა სჭედდნენ, ის კი წიხლებს ისროდაო.
- ვირს და მის ყროყინს ფასი რომ ჰქონოდა, რუსთ ხელმწიფე ბაჟს დაადებდაო.
- ვირს თუ კურტანი ახადე, ვირზე უარესიაო.
- ვირს თუ ფეხის მოტეხვა არ უნდა, რკინას ფეხი არ უნდა ესროლო-სო.
- ვირს კურტანს არ მოხდიან, აქაო და უხდებაო.
- ვირს რასაც აჰკიდებენ, განა სულ თვითონვე შეაჭმევნო.
- ვირს რას ჰკითხავენ საქმისას, მელას რას დაუჯერებენ?
- ვირს რომ ზურგი მოეფხანება, წისქვილის კარებს მოადგებაო.
- ვირს რომ საპალნე მოენატრება, წისქვილში შეიხედავსო.
- ვირს რქა არ ამოუვიდა და თავი პატარა ვგონაო.
- ვირს რქები არ ამოუვიდა და ხბორებში გაერიაო.
- ვირს უთქვამს: წინა ფეხებისა რომ არ მეშინოდეს, მთელ ქვეყანას ავიკიდებდით.
- ვირს ყროყინს ნუ გააჯაგრებ, თორემ ვირის ყურები გამოგებმისო.
- ვირს პიტნა ეჯაგრებოდა და პირში ატენიდნენო.
- ვირს რომ ხტომა არ სცოდნოდა, როგორ შეიკუნტრუშებდაო.
- ვირზე შეჯდომა ერთი სირცხვილია და ჩამოვარდნა — მეორეო.
- ვირის ზურგს ვირის კურტანი მოუხდებაო.
- ვირის თოფრამ თვირანი მოიარაო და ისევ თოფრად დარჩაო.
- ვირის მადევარი ვირის ტლინკებსაც უნდა უძლებდესო.
- ვირისგან წიხლი მეტკინება, არ მეწყინებაო.
- ვირო, აღმართი, დაღმართი — შენთვის არ არის წაღმართი.
- ვირო, გაზაფხულამდე ნუ მოკვდები და იონჯაც მოვაო.
- ვირო, ვერ იცან მამალი? — თავს ხერხი, ბოლო ნამგალი.
- ვის უნახავს ბებრის ბუქნა?
- ვის უჩივი? — ბატონსაო, ვისთან ჩივი? — ბატონთანო.
- ვისაც არ ეწვის, არ სტკივაო.
- ვისაც არაუინ მოსწონს, თავად არ იქნება მოსაწონიო.
- ვისაც არ უნდა, რიყეზე ქვას არ დაინახავსო.
- ვისაც აღმართზე ავლა გაუჭირდება, იმას დაღმართზე ჩასვლაც გაუკვირდებაო.
- ვისაც ახალგაზრდობაში არ ვუნახივარ, სიბერეში ნუ დამძრახავსო.
- ვისაც ბარგი ჰკიდია, ჩამოხადეთ, მადლია.

- ვისაც გული არ სტკივაო, იმას ცრემლი არ სცვივაო.
- ვისაც დედა ცოცხალი ჰყავს, ახლა კია სადილობა.
- ვისაც ვენდუ გულითა, მომკლა სინანულითა.
- ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არისო.
- ვისაც თაფლი უდგია, თითსაც ის ილოკავსო.
- ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო.
- ვისაც თორნე ცხელი ჰქონდეს, იმას პურიც ბევრი ჰქონდეს.
- ვისაც მოზვერი ეზრდებოდეს, იმას ხარს ნუ დაუკავებო.
- ვისაც მოუკლაგს, ის მოჰკლაგს, ნადირსა შავის მთისასა.
- ვისაც მტერი არა ჰყავს, კაციც ის არისო.
- ვისაც ნემსის დაკარგვა არ დაენანება, იმას არც აქლემის დაკარგვა დაენანებაო.
- ვისაც არა ეჭერება, მისთვის ყველა ცუდიაო.
- ვისაც რახარუხი ეჯავრება, მჭედლის დუქანში ნუ შევაო.
- ვისაც საღმრთო უნდოდა, ცხვარს იძახდა, ვისაც გაძლომა და — კამეჩსაო.
- ვისაც სახლი არ აუშენებია, მას დედაბოძი მიწიდან ჰგონია ამოსულიო.
- ვისაც სხვისი ბედნიერება შურს, ის ვერც თავისას შეიმშენებსო.
- ვისაც სხვისი მუშტი არ უფერდნია, იმას თავისი მუშტი ბათმანი ჰგონიაო.
- ვისაც უფროსის არ ესმის, იმას არც ოჯახისა გაეგება რაო.
- ვისაც ღმერთი სწყალობს, ის სიბ ქვაზეც დასხლდებაო.
- ვისაც ღმერთი სწყალობს, იმას ეშმაკიც ვერას დააკლებსო.
- ვისაც ღმერთი სწყალობს, ღომი ბლომად მოუვაო.
- ვისაც ღმერთი სწყალობს, ის შეუძლებელსაც შეძლებსო.
- ვისაც ღმერთის გეშინია, მიენდუ, მისი ნუ შეგეშინდებაო.
- ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, შვილის სიკვდილს ნუ შესწივლებო.
- ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთმა ნურც ჩემი სიბერე აჩვენოსო.
- ვისაც ცრემლი არ სცვივოდა, იმას გულიც არ სტკიოდაო.
- ვისაც ცხენის ყიდვა უნდა თავლა მოინახულოსო.
- ვისაც ცხვარი არა ჰყავს, იმას დანა მჭრელი ექნებაო.
- ვისაც წინაკა უჭამია, პირიც იმას დაეწვისო.
- ვისაც ჭირი უნახავს, წამალიც იმას ჰკითხეო.
- ვისგანაც კარგს მოველოდი, მისგან მოვიღე წყენაო.
- ვის გაუგონია ღვინი უტირალი და ჭირი — უცინარიაო.
- ვის გამოუცხვეს და ვინ შეჭამაო.
- ვისი ენაც ჭარტალია, მისი ყველა მართალია.

- ვისი ერდოც მაღალიო, მეც იმისი მაყარო.
- ვისი რა საქმეა — ვისი მზე ვის თვალშია.
- ვისი ტიკი-ტომარა ხარო.
- ვისი ტყე, ვისი ხარები, ვისი რა საბურველია.
- ვისიც შიში, ხათრიც მისი.
- ვის მოსწყენია თავი მეფედ, ცოლი — დედოფლადო.
- ვის პურსაც სჭამდე, იმისივე ხმალი მოიქნივეო.
- ვის უნდა განა, ორთავ თვალთ ბრმა იყვესო?
- ვის უჩივი და — ბატონსაო, ვისთან ჩივი და — ბატონთანო.
- ვიცის დედა ტიროდა, არვიცისა — იცინოდაო.
- ვინა თქვა შენი გარდაცვალება, შენ უკვდავების ხარ ბინადარი.
- ვკოცნი, ვკოცნი მე შენს ბაგეს, მაგრამ რა მეკოცნება.
- ვრჩები ოტელო უღებდემონოდ მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი.
- ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი.
- ვჭამე, ვჭამე, შემეჭამაო.

## ზ

- ზამთარი გაზაფხულის მუშააო.
- ზამთარი ისე გაიპარა, რომ პერანგის შეკერვა ვერ მოვასწარიო.
- ზამთარი მოუა და ზოგს ხელს მოსწყავს და ზოგს ფეხსაო.
- ზამთარი შემოტეული სჯობიაო.
- ზამთარს ეკონკე, ზაფხულს ეკოხტეო.
- ზამთარში დედაბერმა მარწყვი ინატრაო.
- ზამთარში დედაბერმა ნემსი დაიბნია — გამათბობსო.
- ზამთარში ნაქები ცხენი, ლაშქარში გამოჩნდებაო.
- ზამთრის მზე მოსაგალს ვერ მოიყვანსო.
- ზამთრის მზე ყვავილს ვერ ამოიყვანსო.
- ზარალი წიწაკაზე მწარეაო.
- ზარალს ზარალი მოჰყვებაო.
- ზარმაცი ადგა და სახლი დასწვაო.
- ზარმაცი და აყვია, განა ვინმეს არგია?
- ზარმაცი და აყვია, წუთისოფლის ბარგია.
- ზარმაცი და უსაქმური შვილი ბედს ვერ ეწვეაო.
- ზარმაცი ჭამის ღროს კარგად არის და მუშაობისას — ავადო.
- ზარმაცმა და უსაქმურმა არც ნამგალი ალესა, არც გუთანს გამართა, არც მოხნა და დათუსა.
- ზარმაცმა ვერც ყანა მოხნა და ვერც პური მოიყვანაო.

- ზარმაც კაცს საკუთარი ხელ-ფეხი ნათხოვარი ვგონაო.
- ზარმაც მწყემსს საქონლის მობრუნება შორიდან ურჩევნიაო.
- ზარმაც მჭედელს მაინცა და მაინც კვირადღეს მოუნდება მჭედლობაო.
- ზარმაც ცხენს დეზი უნდა ჰკრაო.
- ზარმაც ხარს ზედა და ქვედა ნახნავი — ორივე თავისი ვგონაო.
- ზარმაცი და ბრიყვი შვილი მამას ეჯობებოდაო.
- ზარმაცისთვის სულ უქმეაო.
- ხარს ერთხელ დარეკავენო.
- ზაფხული ზამთრის მუშააო.
- ზაფხულში გველის შეშინებულს, ზამთარში საბნის ეშინოდაო.
- ზაფხულში დათესილი ღომი თოხის პირს ამოჰყვესო.
- ზაფხულში დაფხენილი, ზამთარში გამოდგებაო.
- ზაფხულში მთესავი, ზამთარში მცოხნავიო.
- ზაფხულში შემონახული, ზამთარში ცფი ქვაც თბილიაო.
- ზაფხულში ძაღლად მაქცია, ზამთარში — კატადო.
- ზაქარია ციციშვილი — რაც მამაა, ისიც შვილი.
- ზედმეტი სიტყვა კაცს თავსა სტკენს და მეტი ჭამა — კუჭსო.
- ზვიდან ზიზია, ქვეშიდან ქიქიაო.
- ზევით ზიზილ-პიპილიო, ქვევით ტანი შიშველიო.
- ზემოთ მოვრჩი ქორწილსაო, ქვემოთ — სადილობასაო.
- ზეცას წერო მიფრინავდა, ძირსა თლიდნენ შამფურსაო.
- ზიარი ძროხა მგელმა შეჭამაო.
- ზნეკეთილი ადვოკატი მკვლელს არ წაეშველება.
- ზოგან ტიკით, ზოგან ხრიკით, საქმე წაუა თოხარკით.
- ზოგი დედა ბრიყვია და შვილსაც ბრიყვულად ზრდისო.
- ზოგი დედა შვილს აქეზებს, შვილიც ნებას დაჰყვებაო: საბოლოოდ მოგებული ისევე სხვა დარჩებაო.
- ზოგი დედა შვილს ქურდად ზრდის, სხვისის პარვას ასწავლისო, შვილი მასაც გაამწარებს, ბოლოს მასაც ასწაპნისო.
- ზოგი კაცი ბედით ცხოვრობს ზოგიც — უბედობითაო.
- ზოგი კაცი დუმას არ მიირთმევს — უკანიდან აბიაო.
- ზოგი თავს ირჩენს ბედითა, ზოგი — ვერც მომჭირნებთა.
- ზოგი მკვდარი ცოცხალს სჯობიაო.
- ზოგი რჩებოდა ბედითა, ზოგი — ვერც შეჭირვებთა.
- ზოგი ქალი ვერცხლის თასია, ზოგიც ხიდი, შარაზე გადებულიო.
- ზოგს რძალი ტყუოდა, ზოგს — დედამთილიო.
- ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა — კაკალიც არაო.
- ზოგისას კატას სტიროდნენ, ზოგისას — კაცსაც არაო.

- ზოგი ფულის ბატონია, ზოგიც — ფულის ყმაო.
- ზოგი ჭირი მარგებელიაო.
- ზოგ კაცს ანგარიშისა რცხვენია და ჩხუბისა არაო.
- ზოგ კაცს კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო.
- ზოგ კაცს რიყე რომ მიაძახო, ქვებს შევიჭამსო.
- ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა — კაცუნაო; ზოგსა ქალსა — დედაკაცი, ზოგსაც — დედაკაცუნაო.
- ზოგს რომ ჰგონია — ერბო ქონია, ერბო — ერბოა, ქონი — ქონია.
- ზოგჯერ ბრიყვსაც დაეჯერებაო.
- ზოგჯერ გაქცევაც კაი ბიჭობაა.
- ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.
- ზომიერი ჭირიც ასატანია და ლხინიცო.
- ზომიერება მწუხარებასაც უხდებაო.
- ზრდილობა კაცს წარმოაჩენს ერთსა ათად, სხვათა თვალში.
- ზრდილობა მადლია, წყალობა ღვთიური.
- ზრდილი ქალი ვისიაო, ვინც აირჩევს, მისიაო.
- ზუზუნ-წუწუნი ქვრივისა და ბუზისა, ორივე ერთიაო.
- ზურგგაღლელი ცხენი ზეცას კაჭკაჭს დაინახავსო.
- ზურგსუკან მეფესაც შეაგინებენო.
- ზურგწამხდარ ცხენსა, ზეცაში, კაჭკაჭნი ელანდებიან.
- ზღვა ისე არ დაშრება, რომ გუბის ტოლა არ დარჩესო.
- ზღვა კი არ ახრჩობს კაცს, — გუბეო.
- ზღვა კოვზით დაილიაო.
- ზღვა ლოცვით ბრუნავს, ხომალდი ლოცვით დადისო.
- ზღვა მაწვნად გადაიქცა და უბედურს კოვზიც არა ჰქონდაო.
- ზღვა ფაფად იდგა და უბედურ კაცს კოვზიც არ ერგოო.
- ზღვას გადაურჩა, ცვარმა დაახრჩოო.
- ზღვას ქვიშა აკლიაო.
- ზღვას ძირი არ უჩანდა და — უძირაო.
- ზღვაში ღელი გახმა, რაკი ცის ნამი არ მოხვდაო.
- ზღვაში ხნავს და ზღვაში სთესავსო.

## თ

- თაგვები ცხრა-ცხრასა ყრიან და ერთსაც ვერ უვლიანო.
- თაგვი ბელელში შიმშილით არ მოკვდებაო.
- თაგვი ზვინის ქვეშ არ მოკვდებაო.
- თაგვი სოროში ჩაძვრა და კუდზე გოგრას იბამდაო.

- თავი სულ წისქვილშია, მაგრამ მწწისქვილე არ არისო.
- თავი ქვევრში ჩაფარდა, დათვრა და კაცს ბრძოლაში იწვევდაო.
- თავმა თქვა: კატაზე ძლიერი ნადირი ბუნებაში არავინ არისო.
- თავმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.
- თავს ბუმბულში აწვენიდნენ, ის კი ისევ სოროში მიძვრებოდაო.
- თავის სოროში ლომს ქორწილში ეპატიჟებოდნენო.
- თავის ფსელმა წისქვილის ქვა დაატრიალაო.
- თავის ცრემლი კატასაც არ შერჩაო.
- თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო.
- თავადიშვილის ყმობითა, ფქვილი ვერ ჩავდგი გობითაო.
- თავაშვებული ცხოვრება არავის არგიაო.
- თავაწეული — ჭკუაცარიელიო.
- თავმდები ხელით ჰკიდიაო.
- თავმდებს ხელი ჯიბეში უნდა ჰქონდესო.
- თავი აგიგდია, ვერა გაგიგია.
- თავი არა თქვა და ბოლო არ იყოო.
- თავი ვინ მოგჭრა და მკვიდრმა ძმამაო.
- თავი ვინ მომჭრა და, ჩემმა ენამო.
- თავი კუდს არ უცდისო.
- თავი მოკვდეს, სიტყვა დარჩებაო.
- თავი ფეხებს არაფერს ეკითხებაო.
- თავიდან, კაცის სიკვდილი, კაცთაგან მოგონილია.
- თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს.
- თავს ზევით ძალა არ არისო.
- თავს ისე გრძნობს, როგორც ბატონი სამარეშიო.
- თავს ისე გრძნობს, როგორც ლურსმანი ფიცარშიო.
- თავს იქით რად გინდა რამეო.
- თავს მოგჭრი განა ხმლითა — ენითაო.
- თავს სინანული სჯობია, ბოლოჟამს დანანებასა.
- თავზე აფსამდნენ და, — რა თბილი წვიმა მოდისო.
- თავის აგდებას — ტანის აგდება სჯობიაო.
- თავის ბედს კაცი ვერსად დაემალებაო.
- თავის ბინაზე მხდალიც ლომეულიაო.
- თავის დამკარგავი თმებს დასტიროდაო.
- თავის დროზე დალეული, შხამიც ტკბილიაო.
- თავის დროზე დალეული, შხამიც წამალიაო.
- თავის ეზოში ძაღლსაც დიდი გული აქვსო.
- თავის გაჭირვებისა ყველამ თავად უკეთ იცისო.

- თავის სიმჩატე ფეხების სიმძიმეაო.
- თავის უბედური სტამბოლს გაჰყიდესო.
- თავის ქალი ვინ აქო, — და წირპლიანმა დედამაო.
- თავის ქება — თავის ტეხვაო.
- თავის ქება კიტრადა ღირს, კიტრი — თუთრიც არაო.
- თავის ქება კიტრადა ღირს, სხვის აუგი — არც იმადო.
- თავის ქება კიტრადაც არა ღირსო.
- თავის ქება, შაურადაც არა ღირსო.
- თავისით არაფერი მოვაო.
- თავისივე ქონით თვალებსა სთხრიანო.
- თავო, ჩემო, ბედი არ გიწერიაო.
- თავკერძაა, ცრუ და ავი და არაფრის მაქნისი, არც მოხნა და არც დათესა, დააჟანგა სახნისი.
- თავმდაბალი ზრდილიც არის და თავაზიანიცო.
- თავმდაბლობამ წელში მომდრიკაო.
- თავმდაბლობამ ყოფა მიტირაო.
- თავმდაბლობა თავმდაბლებში ჭრის, სხვებთან არაო.
- თავმოყვარე არის ისი, ვინაც იცის ფასი თვისი.
- თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა რა ერთად მოსატანიაო.
- თავმოყვარეობა დვთაებრივი ჯილდოა და ზნეობრივი ფენომენიო.
- თავმომწონე კაცია თუ ქონებიდან დაგარდა, მალეც მოკვდებაო.
- თაღლითი და თითლიბაზი შეფარული საფრთხეაო.
- თავწყაღდასხმულსა თავს ლაფი ესხმოდაო.
- თათარმა თქვა: მძიმედ იყავ, წონაში მეტი მოხვალო.
- თათარმა თქვა: ცოლის ავადმყოფობას ჩემი ავადმყოფობა მირჩვენია და ჩემს სიკვდილს — ცოლის სიკვდილიო.
- თათარმა უთხრა თათარსა: შენც ალა დამიძახე, მეც ალას დაგიძახებ და ორივე ალა ვიქნებითო.
- თამაშობას ხერხი უნდა, თორემ დათვმაც იცის მუნძულიო.
- თანხმობა კედელზე უმაგრესიაო.
- თაფლი თუ შეჭამა, ქოთანი ხომ ისევ არისო.
- თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო.
- თაფლი კარგია, მაგრამ ცოტა კუპრი ურეფიაო.
- თაფლი კარგია, მაგრამ ძაღლის გუდაშია ნადებო.
- თაფლი რომ წინ გედოს, თითი უნდა გაილოკო.
- თაფლის მჭამელსა დათვისაო, ბუზი დაბზუის თავსაო.
- თბილა და ცივა — ორივე მტკივა.
- თევზი თავიდან ყარსო.
- თევზი — მარხვაში, ცხენი — აღმართში.



- თევზის ნდომითა, ბაყაყი არაუის შეუჭამია.
- თევზი წყალში არ დაფასდებო.
- თევზმა თევზს უთხრა: ცოტა იქით მიიწიეო; საით მივიწიო, ვერა ხედავ, ორივენი ერთ ტაფაში ვიწვითო?
- თევზმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს და პირი წყლითა მაქვს საუსეო.
- თევზს ბოლოთი ვერ დაიჭერო.
- თებერვალში დღეს იმდენი ემატება, რამდენსაც ბატკანი გადაახტებო.
- თეთრ თხასა, შავსა თიკანსა შორს შეეტყობა ვაცობა.
- თეთრი თხა მყიდველს მსუქანი ეგონაო.
- თეთრი თხისა ხარ ციკანო, შორით გეტყობა ვაცობა, დღეს ღვინო გალაპარაკებს, ხვალ ვნახოთ შენი კაცობა.
- თეთრი კბილი, შავი გული მტრისთვის არა მშურებია.
- თეთრი კბილი, შავი კბილი სიცილის დროს გამოჩნდებო.
- თეთრი ტრაკი, შავი ტრაკი, აბანოში გამოჩნდება.
- თეთრი ფრაკი, შავი ფრაკი მასკარადზე გამოჩნდებო.
- თეთრი ცხვარი შიგნიდანაც თეთრი ეგონათო.
- თეთრისა თხისა ციკანსა შორს შეეტყობა ვაცობა, ისევ შენ გამოგადგება ეგ შენი კაი კაცობა.
- თეოზე ცეცხლი დაჟანთე, ზედ დაუყარე დეკაო, კაცი რომ იხარჯებოდეს, რილასთვინ უნდა დრეკაო.
- თელას ტყავი როცა სძვრებოდეს, მაშინ გააძვრეო.
- თემიდა მისხალ-მისხალ იკვლევს და მერე სჯისო.
- თვალთმაქცი და თითლიბაზი არც ლარი ღირს არც აბაზი.
- თვალთმაქცსა და ფარისეველს სათავეში რა უნდაო.
- თვალი გულის სარკეაო.
- თვალი თვალის მტერიაო.
- თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ.
- თვალი თვალს თუ მოშორდება, გული გადასხვაფერდება.
- თვალუბით ბრმა სჯობია, გონებით ბრმასაო.
- თვალუბს ცხვირი რომ არ ჰყოფდეს, ერთმანეთს შეჭამდნენო.
- თვალით ველარას ვხედავ, გული მოელის დანას, რისთვის გამზარდა დედამ, რისთვის მეტყოდა ნანას?
- თვალით უსინათლო სჯობია, თავით უგუნურსაო.
- თვალი რამ გამოგთხარა და ჩემმა სიკეთემო.
- თვალი სარკეა კაცისა, შიგაც ბევრი რამ ხატიაო.
- თვალი — ყველგან იყურებო.
- თვალი ცქერით არ გაძლება და გული ნდომითაო.

- თვალი თუ არ ხედავს, გულს სულ არ ენადვლეუბაო.
- თვალი ძვალს გაზომავს და ისე ჩაყლაპავსო.
- თვალი ჭამს და თვალი სვამსო.
- თვალისა ჭამს საჭმელსაო.
- თვალს თვალისა რცხვენია და პირს — პირისაო.
- თვალში რა მჩხვლეტს და ჩემივე წამწამიო.
- თვე არის — ერთ დღესა ჰკვებავს, დღე არის — ერთ თვესა ჰკვე-ბავსო.
- თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს.
- თვითონ სახლში არ უშვებდნენ, ძაღლიც მოიყვანაო.
- თვითონ ჭრის და თვითონვე ჰკერავსო.
- თიბათვეში სად გინახავს მაყარი და მაყრის ცხენი?
- თივა მთისა სჯობს, ძმობილო, პური და ღვინო — ბარისა.
- თივასთან ცეცხლი არ მიიტანებაო.
- თივაში ცეცხლი არ დაიძალებაო.
- თითებით სამარე არ გამითხარონო.
- თითისტარო, რთიო, მახლო, გამიქრიო.
- თითის ტკივილს გული გრძნობს და გულის ტკივილს — არავინო.
- თითო გობი ლაფი ყველგან დგასო, მაგრამ ჩემსას — ათვანაო.
- თითო თავიდან თითო ჭკუა გამოდისო.
- თითო კაცსა თითო რამის შნო აქვსო.
- თითო ხელი ტანსაცმელი ცოცხალსაც უნდა და მკვდარსაცო.
- თითო ჭიაკოკონა ყველა ოჯახში ანთიაო.
- თიკან-კრავი — მარტისაო; ხბო სჯობს თებერვალისაო; თუ სადმე გაიზრდებოდეს, ტახი — იანვარისაო.
- თოვლი თუმიც თეთრია, მის წასვლას ყველა ნატრობსო.
- თოვლი თუმიც თეთრია, სიცივე კი ძნელი სჭირსო.
- თოვლი კარგია, მაგრამ დიდი სიცივე იცისო.
- თოვლი ძაღლების მამიდააო.
- თოვლის წყლით გამავსე და ბარაქით აგავსებო.
- თოკი გრძელია კარგი, სიტყვა კი — მოკლეო.
- თორმეტ კბილს რომ სიტყვა გამოსცდება, თორმეტ მთას გადაიფ-ლისო.
- თორნეს უთქვამს: ფიჩხი ბევრი ჩამოყარე — პური ბევრი ამოყა-როო.
- თორნისა პირსა მჯდომარე, გაძლება პურის ცქერიოთა.
- თმაგრძელი და ჭკუათხელიო.
- თოფი — მეთოფეს და მეთოფე — სოფელსო.
- თოფს მსროლელი უნდაო.

- თოხი მიწას არ დაშორდებაო.
- თუ არას ჩამახევ, არას ჩამაკერებო.
- თუ არ გვეყოფა — ჩვენ ვეყოფითო.
- თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.
- თუ არ გინდა მოახლეო თავი მოიმოახლეო.
- თუ არ დაეხმარები, ხელს მაინც ნუ შეუშლიო.
- თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა.
- თუ არ იწვიმა, დაქუხებით ხომ მაინც დაიქუხაო.
- თუ ბედი მწყალობს, არ ვნაღვლობ, ბატონის ჩემის წყრომასო.
- თუ გინდა ვიყოთ ნაკრები — მეზე ვიფიქროთ ნაკლები.
- თუ გინდ მოკალი ხორციტა, ოღონდ ნუ წამწყემდ სულითა.
- თუ გინდ უკუღმა დაჯექი, ოღონდ სწორად კი თქვიო.
- თუ გინდოდეს თავის ჭირი, მოიყვანე ქალი ქვრივიო.
- თუ გინდოდეს ჭირიო, თვალში იკარ ჩხირიო.
- თუ გსურს გლოცავდეს უფალი, მტერს არ დაუთმო გუთანო.
- თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო.
- თუ დაგვაცდით სამ-ოთხ დღეს, ავიშენებთ — სამოთხეს.
- თუ დათმობა არ არის, ძმობაც არ ყოფილაო.
- თუ დამაცდი მახარა ვარ და თუ არა — მასხარაო.
- თუ დედაენით შეილებს არა ზრდი, თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.
- თუ დღედაღამ იმას ცდილობ, მკვლელს სასჯელი ააცილო, აუკაცი ხარ, უსულგულო, ლაჩარი და სასაცილო.
- თუ ერთი არ მოკვდება, მეორეს ადგილი არ მიეცემაო.
- თუ ვალი არა გაქვს, სხვას თავმდებად დაუდექიო.
- თუ ვერ იშოვნო ველური, შინ დაჰკალ, ბიჭო, ყვერული.
- თუ ზღვასა წყალი არ შესდის, იგიც დაშრების ძირამდის.
- თუ თავად ბოროტი არა ხარ, ბოროტისა ნუ გეშინიაო.
- თუ თავში ჭკვა არ გვერება, ჭირი ჭირზედ შეგვერება.
- თუ თვალით ვერ დაინახო, ყურით გაგონილს ნუ დასდევო.
- თუ იარაღიანს უიარაღომ ხმარებამდე დაასწრო, მერე იარაღი ზარალიაო.
- თუ იყიდე რაც არ გჭირია, მალე გაჰყიდი რაც გჭირია.
- თუ იყოს იყოსო, თუ არა და წყალმა რიყოსო.
- თუ კაი ცოლი გყავს, მექორწილის სახლში რა გინდაო.
- თუ კატა მკვირცხლია, არც თავგია დონდლოო.
- თუ კაცი არ გახლდეს, კერას გამოელაპარაკეო.
- თუ კაცმა არ გაიფხაკურა, ისე ვერ იცხოვრებსო.
- თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაეღვეაო.

- თუ კაცსა მტერი არა ჰყავს, მოყვარე დაუმტერდებაო.
- თუ კაცსა ცოდნა არა აქვს გასტანჯავს წუთისოფელი.
- თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო.
- თუ კაცს ბელი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო.
- თუ კაცს ღმერთი სწყალობს — ეშმაკები ვერას დააკლებენო.
- თუკი მე მაქვს ფული დიდი, რას მიქვია მარადიდი.
- თუ ლაშქრის მოხმობა გსურს, ბუკს უნდა დაჰკრაო.
- თუ ლაშქრის შეკრება გინდა, ბუკი უნდა დაუკრაო.
- თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა.
- თუმანს ცხრა მანეთი აკლიაო.
- თუ მასპინძელი არ ილხენს, სტუმარსაც მოწყენების.
- თუ მადლსა შერები, მარილიც მოაყარეო.
- თუ მალალი არ მოიხარა, დაბალი როგორღა შესწვდებაო.
- თუ მალირსებ განკითხვასა, ავი არა არ მიქნია.
- თუ მგელმა დაგპატიჟოს, ეწვიე, ოღონდ ძალი თან წაიყვანეო.
- თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზეც დადუღებულაო.
- თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგად იქნებიო.
- თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითო.
- თუ მკვლელი ნამოქმედართ ხარობს, უეჭველია, ჯილდოს ელოდებ-  
ბაო.
- თუ მოგაკუეს, მიაკუე, უტრაკო არ ეგონო.
- თუ მოდავედ მოსამართლე გყავს, მაშინ შენი შემწე აღარც ღმერ-  
თიაო.
- თუ მტერი არა გყავს, ისე ვერ დასახლდებაო.
- თუ მტერი არა გყავს, ძმას გაყვარე და მტერს გაიჩენო.
- თუ მწარე არ ჭამე, ისე ტკბილს გემოს ვერ გაუგებო.
- თუ მწარე არ ჭამე, ისე ტკბილს ვერ დააგემოვნებო.
- თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო?
- თუ წინაკა არ გიჭამია, პირი რად გეწვისო?
- თუ ორმა იცის — ღორმაც იცისო.
- თუ პატარა არ გაზარდე, დიდი როგორ გაზდებაო.
- თუ პატოვსა მცემ, რაღად მაყვედრიო.
- თურამაშულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო.
- თუ სარკე არა გაქვს რომ ჩაიხედო, გულს ნუ გაიტეხ, ქვეყანა ზომ  
ისედაც სარკეაო.
- თუ სახლში უფროსი არა გყავს, დედაბომს დაეკითხო.
- თუ სიკეთე გაგირბის — დაქწიე, თუ სიავე მოგდევს — გვერდი  
უქციეო.
- თუ სისხლსა და ხორცში არ ზის, ქურდობას ვერ ჩაიდენო.

- თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი.
- თუ სურვილია, უნარიც გამოჩნდებაო.
- თუ ტყავს მაძრობ, ქონიც თან გაატანეო.
- თუ უწვავი არა ჭამე, შემწვრის გემოს ვერც დააგემოვნებ და ვერც დააფასებო.
- თუ ურემმა შეშა არ მოიტანოს, თვითონ გასწიოს შეშობაო.
- თუ ფლაგისა არ გრცხვენია, ერბოსი მაინც შვერცხვესო.
- თუ ქალი დაგნებდათ, ჩათვალეთ — მან გაიმარჯვა.
- თუ ქალი ერთგულებას გეფიცებათ, გჯჯეროდეთ, რომ იგი მხოლოდ თქვენ გიღალატებთ.
- თუ ქალმა ვერ შეძლო ჭკუიდან თქვენი გადაყვანა, ჩათვალეთ — უტვინო ყოფილხართ.
- თუ ქერს დასთესავ, ხორბალი არ ამოვაო.
- თუ ქვეყანა დაიმშეს, საჩინომ არჩინოს; თუ საჩინო დაიმშეს, ვერაზინ არჩინოსო.
- თუ ღარიბი არა ხარ, ღარიბი მეზობელი ხომ მაინც გყოლიაო.
- თუ ღმერთი გწყალობს, ხატები ვერას დაგაკლებენო.
- თუ ყვავი ვარდსა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია.
- თუ შენა გაქვს ისარიო, ფარად მეც მაქვს ფიცარიო.
- თუ შენი არ იცოდე, სხვას დაუჯერეო.
- თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარები.
- თუ შენ ხარ ხერხში, არც მე ვარ ტყეში.
- თუ შეზვალ, ნუ ებანები, თუ გამოხვალ და ნუ თრთიო.
- თუ ცული სტყუის, ცულის ტარიცა სტყუისო.
- თუ ცხვარს მეტს მოსწველ — ყველს ემატება, თუ არა — ბატკანსა-აო.
- თუ ძაღლის ლოცვა-ვედრება შეიწყალებოდეს, მაშინ ზეციდან ხორცი ჩამოვარდებოდაო.
- თუ წყალი არ მოგყვეს, წყალს თავად მიჰყვეო.
- თუ წყვილია არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესა.
- თუ ჭკვიანი არ შეცდება, რეგვენი კლდეზე გადაიჩხებაო.
- თუ ჭორი არ არის, შორიც არ არისო.
- თუ ხანდაზმულებს შიათ, სწყურიათ, მთავრობა ბრმა და უსაქმურია.
- თუნდ გახიე, თუნდ გაფხრიწე — ორივე ერთიაო.
- თუცა მართებს დედაკაცსა მამაციისა დიდი კრძალვა, მაგრა მეტად უარეა არა-თქმა და ჭირთა მალვა.
- თქვენსა კაფეს, ჩვენსა ყლაპეს.
- თქმა და ქმნა ერთი არისო.

- თქმულა, სიწყნარე, გმობილი, სჯობს სინქარესა ქებულსა.
- თხა ბოსტანს ხედავდა და ღობეს ვერაო.
- თხა გასუქდა და, ერთი მგელს დამაჭიდაო.
- თხა ვიყიდე, თხა გაყვიდე, სარგებელი ვერა ვნახე.
- თხა თავს დარღობდა, ყასაბი კი — ქონსაო.
- თხა თხაზე ნაკლები — მგელმა შეჭამოსო.
- თხა თხას მისდევს და ცხვარი — ცხვარსაო.
- თხამ თხის მღვდლობა მოინდომა, აქაო და გრძელი წვერები მაქვსო.
- თხამ სანეკერე ნახა და სახტომი არაო.
- თხამა თქვა: მგელი მომკვდარა, — შეხტა და გაიცინაო; შე, თხაო, რას გაგეცინა, განა სამგლეთი წახდაო, შენ თუ დაზარდე ციკნები, მგელსაც ლეკვები დარჩაო.
- თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო.
- თხას თხის ფეხით დაჰკიდებენ, ცხვარს — ცხვრის ფეხითაო.
- თხას რომ წინ მგელი არ შეხვდეს, დაღესტანს გადავაო.
- თხას წინიდან მოერიდე, ცხენს უკანიდან და ავკაცს კი — ყოველი მხრიდანო.
- თხის პატრონს თხის კუდიც არაო.
- თხის ტყავი თხად გადამექცაო.
- თხილი როგორ დაიმტკრევა, ერთმანეთის სროლითაო.
- თხილი უნაჭუჭოდ ვის უნახავსო.
- თხელი ქალამნის პატრონმა გამძლეობა არა თქვასო.
- თხემით ტერფამდე დამნაშავეა, ბრალის გარეშე ვინც კაცი მოკლა.

## 0

- იანვრისა რვასაო, ნუ გამოხვალ კარსაო; ნურცა მიხვალ დისასაო, ნურცა ცოლისძმისასაო; თუ მიხვიდე ძმისასაო, თუთრი გედვას ქისასაო.
- იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს.
- იანვარში დედაბერმა მარწყვი ინატრაო.
- იანვრის ქუხილი მარტში გამოჩნდებაო.
- იარალი კაცს შვიდ წელიწადში დასჭირდებაო.
- იარე — დაგწვევიან, თავი ნუ გემარტოვება.
- იაფი ყველაზე ძვირიაო.
- იაფი ყველაზე ძვირი დაგიჯდებაო.

- იაფფასიან ხორცს წვენი არ გაუკეთდებაო.
- იაფფასიან ხორცს ძაღლი არ შეჭამსო.
- იაფფასისაო — წვენი ძაღლისაო.
- იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.
- იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.
- იდგე — არ დაჯდე და იჯდე —ადექი და გაეშურეო.
- იერუსალიმს ვირი თოფრით გაგზავნეს და ისევ თოფრით დაბრუნდაო.
- იერუსალიმს ნიორი გაგზავნეს, წმინდა ადგილია, სიწმინდეს მისცემსო; დაბრუნდა — ისევ ჰყარდაო.
- იერუსალიმში განა ძაღლი არა ჰყეფსო?
- იერუსალიმს მიმავალს, ნურც წასვლას ურჩევ და ნურც დარჩენასო.
- ილაპარაკე დროზე, გაჩუმდი დროზე.
- ილაპარაკეთ, გვეედრებით, ოღონდ ქართულად, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ.
- ილოცე და უფალი შეგაწვეაო.
- იმდენი ტყუილი თქვა, თავადაც დაიჯერაო.
- იმერელს მჭადის სახელი დაავიწყდაო.
- იმერელს უთქვამს: სულსაც არავის დაგუჭერ, თუ ჩემსავით გაუფრთხილდებიანო.
- იმერელმა თხა იყიდა და დუმას უსინჯავდაო.
- იმერელმა ნემსი აიფარა, ქარს შუაზე გაჰყოფსო.
- იმერელმა — ცეცხლი ნურც სააქაოს მომაკლდება და ნურც საიქიოსო.
- იმის ცოცხლებმა იციან — მკედარს სით უზამენ თავსაო.
- იმისთანა სიტყვა თქვი, რომ ნათქვამმა არ გააწითლოსო.
- იმიტომ ვუხნავ ალოსა — ხარები გამოლალოსა.
- იმოდენი მოთმინება ჰქონდა, სიკვდილამდე ფიალა ვერ აავსოო.
- იმნაირი ნადირი გამორბოდა, როგორიც ტყე იყოო.
- ირემმა ირემს ბალახი მიაწოდა: ვიცი არც შენ გაკლია, მაგრამ ერთმანეთის გულის მოგებას წინ რა დაუდგებაო.
- ის რა დედაა, ზარმაც შვილს ალიონზე საბანს რომ წააფარებს და ტკბილ ძილს უსურვებსო.
- ის რა კაცია, ტახტზე წოლით გაუას რომ გაისქელებს და სადაგ დღეებს ძილ-ღვიძილში გაატარებსო.
- ის, რაც გულს ახარებს, ყურსაც სიამოვნებსო.
- ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.
- ის შეილია დამოუკიდებელი, ვინც მამის კმაყოფაზე არ ზისო.
- ისარი და პირის სიტყვა, გატყორცნილი არ ბრუნდება.

- ისე არ მოკვდება მგელი, დასამარხი გახდეს თხისა.
- ისე არ ცვდება სახნისი, არ გამოვიდეს სადგისი.
- ისევ ის თომაა, ისევ ის ტყავი აცვიანო.
- ისევ ჩემმა ნანახმა მგელმა შემჭამოსო.
- ისევ წახვალ გუდამაყარს, მამა-პაპის ალაგასა.
- ისეთ ალაგს ნუ დაჯდები, მოგიწიოს ადგომასო.
- ისეთი ვინმეა, სამარეში სუდარას მოიპარავსო.
- ისეთი მთა არ მეგულვის, ოქროთი დატვირთული ვირი არ გადავიდესო.
- ისე არ წვიმს, როგორცა ქუხსო.
- ისეთი მაღალი ხე არ მინახავს, რომელზედაც ფრინველი არ ჯდებოდესო.
- ისეთი სანაგვე არა ვარ, რომ არ დაგჭირდეთ — უთქვამს სანებეს.
- ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები ჰქონდეს, დგომაც შეეძლოს და გაქცევაცო.
- ისეთი ხიდი გასდეთ, შეილიშვილებმა ზედ გაიარონო.
- ისეთმა მთამ მომწვა ფეხები, რომლისგანაც არ მოველოდიო.
- ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო.
- ის ძვირი ქალაქი დაილოცოს, სადაც ყველაფერი იშოვებაო.
- ისეთი ზუმრობა შევარცხვინეთ, რომლის თუნდაც ნახევარი მართალი არ იქნებაო.
- იქ დაბადებული, აქ კვდებაო.
- იქ ვინც იბადება, აქ კვდებაო.
- იქაც ცეცხლში, აქაც ღვლეფშიო.
- იქითკენ უნდა ეცადო, საითაც წყალი დგებაო.
- იქნება, ბევრი რამე იქნება — მხოლოდ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.
- იქცეოდეს — შეესიე, შენდებოდეს — შეეწიეო.
- იჩქარე ნელა.
- იღბალი აქვს ლიპლიპასა, ყველა მისკენ მიტლინკავსა.
- იყავ გულმართალი, როგორც სამართალი.
- იყავ უგვარო, ოღონდ — გვარიანიო.
- იცოდეთ, კუტი სჯობია, ცუდ გზაზე კაცსა მავალსა.
- იცის მხარჯველმა, არა მჭამელმაო.
- იჭვს ბევრი თვალი აქვსო.
- იშტა ვისა აქვს და ფლავი ვის უდგია წინაო.
- იხარე ჭერო, მოკვდი მეტრო.



### კ

- კაბა დროშაა, რომელსაც ნებისმიერი მამაკაცი გაეკიდება.
- კაი ამხანაგობა კაი ძმობის დარიაო.
- კაი ბიჭი შორიდან გაბედავსო.
- კაი გუთნისდედა გუთანს არ გაუჭირვებსო.
- კაი გუნების ცოლ-ქმარი, თონის ტარზე დაეჭვავო.
- კაი მეზობელი დილაა, მზეზე წინ სანახაუია.
- კაი მონადირე მძინარე კურდღელს არ ესვრისო.
- კაი კაცი, გლაზა კაცთან წახდებო.
- კაი კაცის აღერსი მუშკის ყნოსვას ჰგავსო.
- კაი კაცის ნაცოლარი, კაი ღვინის ნაძირალი.
- კაი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდება.
- კაიკაცობა კაცს არ წახდენსო.
- კაი მოქმელს, კაი გამგონე უნდაო.
- კაი მოკრიფე გვიან გამოუაო.
- კაი მუშა და მძლე ხარი სადამო ხანს მოუმატებენო.
- კაი პაპა იყავიო, კაი ჭამაც გიყავიო.
- კაისთვის კაი ვის უქნიაო.
- კაის მყიდველი ძვირადო, მოგებუღია ხშირადო.
- კაი ყანის მოზიარე, მოყვარეს სჯობიაო.
- კაი ყმის ნაბინაფარში შეშანი დარჩებიანო, ცუდი ყმის ნაბინაფარში ქარნი ნაცარსა ყრიანო.
- კაი შვილი დედის გულის ვარდიაო.
- კაი ცოლის პატრონს საგზალი არ უნდაო.
- კაი ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაწვებიანო.
- კაი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო.
- კაი ხარი სახრეს არ დაიკრავსო.
- კაის მყიდველი ძვირადა, მოგებუღია ხშირადა.
- კაკაბმა თქვა, ოცდაათოთხმეტი სიმღერა ვიცოდი, ასეთმა ალაღმა წამომიქროლა, რომ სულ დამავიწყავო.
- კაკალი უნაჭუჭოდ არ იქნებაო.
- კაკანა კაკაბი მახეში ჩავარდებო.
- კაკაც უნდა და ბაბაცო.
- კაუჭით მოწეული საქმე არ გაკეთდებო.
- კალთაში მეჯღე და წვერს მაგლეჯდევო?
- კალმახი მდინარიდან ამოიყვანეს და გუბეში გაუშვესო.
- კალმახს უთქვამს, წვიმის კამარა რომ არ შეწყდებოდეს, ზეცას ავიდოდო.

- კამეჩი რომ მოგაბარე, ამუშავე, აჭამე-თქო; განა მისთვის მოგაბარე — დაჰკალი და შეჭამე-თქო.
- კამეჩი თუთრი რომ იყოს, ლაფში მაინც ჩაწვებო.
- კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი — არა იყო რა.
- კამეჩმა თქვა: ბალახში რომ ჭიანჭველა დაიმალება, გემო წაუვაო.
- კამეჩმა თქვა: ქვეყნის დანგრევისა არ მეშინოდეს, ისე გაუიქცეოდი, ფრინველიც ვერ დამეწეოდაო.
- კამეჩს უთქვამს: ზამთრის სიცოცხეს ვერ ვიტან და ზაფხულის სიცხესო.
- კამეჩს უთქვამს: სიშავისაგან ტყავი ბერს მიმიგავსო.
- კამეჩს უთქვამს: ძალიან სქელი კანი მაქვს, მგლისა არ მეშინიაო.
- კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩაო.
- კანთხელმა რა თქვა კანსქელზე მეტიო?
- კანონი მეფეთ-მეფეა.
- კანონი — ყველასათვის კანონია.
- კანონმა იკანონოსო, ნდობამ კი — იბატონოსო.
- კანონს ბევრჯერ უკანონობა აფარებს თავს.
- კაპასმა ქალმა ძალდი დააბა და ისე აყეფაო.
- კაპიკმა გამოძეზაენა, — კაპიკის ხურმაო: კარგიც იყვეს, ბევრიც იყვეს, კაპიკი ისევ ხურდაო.
- კაჟის მჭამელი ქათამი თავს იღორებსო.
- კარგ დედ-მამიშვილობას, სხვა ვერერა გრძნობა ვერ შეედრებაო.
- კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო.
- კარგ მონადირეს, იარაღი არ დაეჟანგებაო.
- კარგ მოსაყალს, კარგი გამრიგე უნდაო.
- კარგ მშოვნელს, კარგმა შემნახველმა აჯობაო.
- კარგ ნათესავს, ცუდი მეზობელი ჯობიაო.
- კარგ საქონელს, მუშტარი არ დაელევაო.
- კარგ შვილს სახლს ნუ აუშენებ და ავს — ნუ დაუნგრევეო.
- კარგი ამხანაგობა, კარგი ძმობის დარიაო.
- კარგი დედ-მამიშვილობა, უდიდესი ნიჭიაო.
- კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი; თავს ნუ დაუწყებ ქებასა.
- კარგი თესლი კარგი მოვლით კარგ მიწაში არ დაღებება.
- კარგი იყოს ავადობა — ინატრებდა თავადობა.
- კარგი მეზობელი ამომავალ მზეს სჯობიაო.
- კარგი მეზობელი მზის უწინარეს არის დასანახიო.
- კარგი მეურმე, ურემს ზამთარში გამოაწყობს, მარხილს კი — ზაფხულშიო.
- კარგი მოთამაშე, კამეჩის ცოხნას აჰყვებაო.

- კარგი მეწისქვილის სულიც ჯოჯოხეთშია და ცუდისა სადღა იქნებაო?
- კარგი მწყემსი ახლოდან მოდენის ნახირს, ცუდი — შორიდანო.
- კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.
- კარგი სახელი სიმდიდრეს სჯობიაო.
- კარგი ქალის ქმარს საგზალი არ უნდაო.
- კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება, სწორების ჯობინობაში, გონჯი კი — ბოსლის ბოლოში, ქალების ლოდინობაში.
- კარგი შვილი ცხოვრებას ქმნის, ცუდი ხელში გიყურებსო.
- კარგი შემნახავი სჯობია კარგ მომგებსაო.
- კარგი ჩვენც მოგვეწონება, ავი — არც თავის დედასო.
- კარგი ცხენი ქერს მოიმატებს, ავი კი — მათრახსო.
- კარგი ხარ, კარგო ყოფაო, კარგო ცხენო და ჩოხაო.
- კარგი ხარ, კარის მამულო, რომ არა გჭამდეს ქათამი.
- კარგი სთქვი, კარგი მოისმინეო.
- კარგი ქართველი — მკვდარი ქართველია.
- კარგი ჰქენი, ქვას დადევ, გაიფლი და წინ დაგხვდება.
- კარგი ჭამე და კარგი სვიო.
- კარგმა პურ-ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგოო.
- კარგმა ქალმა არცა ქნა და არცა თქვაო.
- კარგმა ძაღლმა ავ კაცს აჯობაო.
- კარგს დამალავენ, ავს მალე იტყვიანო.
- კარგს ეპრანჭე, ავს ეჯღანეო.
- კარგს ვერ შეეწყო და ავს ვერ დაემშვიდობაო.
- კარგს კარგი არც კაცს შეხვდება, არც ქალსაო.
- კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარგკაცე აქო?
- კარგისა კარგი მოკვდება, კარგევე წამოიზრდება.
- კარგისა ყიდვა ძვირად სჯობს — ზედ გამოლება სარფისა.
- კარგისა ყმისა მცემელსა, თავადაც უნდა ცემაო.
- კარგის მძებნელი — ავს გადაეყარაო.
- კარზედ მოსულს ნუ გააბრუნებ, თუგინდ სახლში მარილის მეტი არა გქონდეს რაო.
- კარში თავგ არას შამიჭამს, შინ შამოტანილს — ციცაო.
- კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.
- კატა თათებს ილოკავდა და — მეც დათოვით ვილოკებო.
- კატა ისე უნდა სცემო, ხელ-ფეხი არ დაგფხაჭნოსო.
- კატამა ჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო.
- კატას თეფზი უყვარს, მაგრამ ფეხის დასველება ეჯავრებაო.
- კატას უთხრეს — შენი ფინთი წამალიაო და მიწა მიაყარა.

- კატას ფილტივი ესროლეს, იმასაც ის უნდოდაო.
- კატას ძეხვი თავში ჩაჰკრეს და — ღმერთმა მაგისტანა მეტი ნუ მო-  
მაკლოსო.
- კატასავით ზურგზე არ ეცემაო.
- კატაც შეხდავს მეფესო.
- კატიისათვის თამაშობა, თავისათვის — სულთაბრძოლა.
- კაცია — ათასადა ღირს, ასია — კაცად არ ფასობს.
- კაცია — მე ვწუნობ, კაცია — მე მწუნობს.
- კაცია მუდამ საქები, ზრდილი და თავაზიანი.
- კაცი ცერცვსა თესავდა, თანაც პირში იყრიდა: ან ამოვა, ან არაო.
- კაცი არ ეთქმის ბოროტს და ქლესას, ვინც მოყვასს მტრობს და  
სამსალთი გესლავს.
- კაცი არ ეთქმის ფლიდსა და ქლესას, ვინც ღიდს და მცირეს სამ-  
სალით გესლავს.
- კაცი არ ვარგა სოფელში, უმაძულო და ეული, სხვები შრომობენ,  
მხნეობენ, ის კია გულამღვრეული.
- კაცი არ ვარგა უმტერო, კარგია მუდამ მტრიანი.
- კაცი არ ვარგა უმტერო, არც ისე მტერმორეული.
- კაცი არ ვარგა უცოლო, არც ისე ცოლმორეული.
- კაცი არ ვარგა სოფელში, უმაძულო და უფულო.
- კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძვეს კაცით კაცამდის.
- კაცი ბრძენი ვერ გასწირავს, მოყვარესა მოყვარულსა.
- კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.
- კაცი გაზომე გაჭირვებაშიო.
- კაცი გინდ კოცნით მოკლა, გინდ — თოფით, მაინც შენგან არს  
მკვდარიო.
- კაცი გულითა ხარობს, ხე კი — ძირითაო.
- კაცი დათვსა ხედავდა და მის კვალს ეძებდაო.
- კაცი ვარ და ქუდი მხურავსო.
- კაცი ვერ შესწვდა ცხენსაო, უნაგირს მისწვდა, სტეხსაო.
- კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩო.
- კაცი, თავისი ენითა, პატივს კიდევაც დაიყრის და კიდევაც აიყრისო.
- კაცი, თავის ვარსკვლავს, ბოლომდე უნდა მიჰყვესო.
- კაცი საკუთარ თვალში ღირეს ვერ ხედავს და სხვის თვალში კი ბე-  
წვსაც ამჩნევსო.
- კაცი სანამ არ მოკვდება, არც მისი საქმე გამოჩნდება და არც თა-  
ვად, როგორც სწორუპოვარიო.
- კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია.
- კაცი იცნობა გასაჭირში და ღვინოშიო.

- კაცი იზრჩობოდა და ხავსს ეკიდებოდაო.
- კაცი კაცითაო, ღობე — ქაცვითაო.
- კაცი კაცით ცოცხლობს.
- კაცი კაცის მტერია, ძაღლი კი ერთგულიაო.
- კაცი კაცს მიატანს, ნადირი — ტყესაო.
- კაცი რომ თავის თავს უზამს, მტერი არ მოეკიდებაო.
- კაცი მგზავრობაში იცნობაო.
- კაცი კაცსა მოელოდეს, მოსლვა დია ეამების.
- კაცი კაცის წამალიაო.
- კაცი კაცითაო, ნათქვამია.
- კაცი კაცობაში გამოჩნდებაო.
- კაცი მგზავრობაში გაიცნობა, ამხანაგი — საქმეში და ცხენი — ხელნაშიო.
- კაცი ნუ მოკვდება, თორემ თუნდ სანაგვეზე გადააგდონო.
- კაცი ნუ მოკვდება, თორემ მისი ტყუილ-მართლობა, ამ უსამართლო ქვეყანაზე, სულ ზედმეტი ბარგიაო.
- კაცი ნუ მოკვდება, თორემ მერე ვის აინტერესებს მართლა უდანაშაულო იყო თუ არაო.
- კაცი რაზე გამოიცდება და, — ყველაფერზეო.
- კაცი როცა გამდიდრდება, თავში ჭკუა გამოუვა, ზოგი ძილად გადიქცევა, ზოგსაც ძილი არ მოუვა.
- კაცი რომ გამდიდრდება, სახლის კედლები მრუდედ მოეჩვენებაო.
- კაცი რომ გაღარიბდება, ცოლს დაუწყებს ჯავრობასო.
- კაცი რომ გაჭირვებას ვერა გრძნობს, თავი ბედნიერი ჰგონიაო.
- კაცი რომ დაბერდება, მშვილდ-ისარი უნდა დასდოსო.
- კაცი რომ დაითვრებაო, ორი კაცის ტოლა გაიზრდებაო.
- კაცი რომ კაცს მოერიოს, ღმერთი უნდა გაიხსენოსო.
- კაცი რომ წაიქცევა, ყველა ზედ შესდგებაო.
- კაცი რომ ჭკვიანს დაუჯერებს, იმას სულელი არ ეთქმისო.
- კაცი სანამ არ მოკვდება, მისი საქმე არა ჩნდება.
- კაცი საქმით ფასობს, ფრინველი — ბუმბულითო.
- კაცი საცხონებლად წავიდა და წაწყმედილი მოვიდაო.
- კაცი სიკეთით ირჯების და იცის თავის ფასიო.
- კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს.
- კაცი ფულში გამოსცადეო.
- კაცი უნდა ბრძენი იყოს, კარგი მოლაპარაკეო, საქმე უნდა მოსდიოდეს, ხელ-ხვაფი და ბარაქაო.
- კაცი ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ და ცოლი ეუბნებოდა: დაიცა, წი-

თელი ქოშები მიყიდეო.

- კაცი ცერცვსა თესაჲდა, თანაც პირში იყრიდა: ან ამოჲა, ან არაო.
- კაცი ცოცხალს იმდურებდა, მკვდარს იმაღლიერებდაო.
- კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭურვლად.
- კაცი ცხენზე იჯდა და ცხენს დაეძებდაო.
- კაცი ცხენს ვერ მოერია და ლაგამ-უნაგირი დაამტვრიაო.
- კაცი ძირს ვერ დადიოდა, ალვის ხეზე ადიოდა.
- კაცი წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონიაო.
- კაცი, ჯაბანი, რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა.
- კაცმა თავი მოიწონა ზრდილობით და თავაზითო.
- კაცმა თავის საქონელი ქურდს მიაბარა, უკეთ შეინახავსო.
- კაცმა თოკი დაკარგა და ცულიც ზედ მიაყოლაო.
- კაცმა თქვა: ამ ჩემი სულისა ვერა გამიგია რა, ცივს ათბობს და თბილს აციებსო.
- კაცმა კაცის რომ გაიგოს, მასთან ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამოსო.
- კაცმა კაცის დარდი არ იცოდა და შუადამისას ნანას ეუბნებოდაო.
- კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან ყურძენიც არ აჭამაო.
- კაცმა კაცისა თქვას და საქმემ — ორივესიო.
- კაცმა რამდენი რამეც იცი, იმდენი რამე ხარო.
- კაცმა რომ თავის გარდასავალი იცოდეს, შინიდან არ გამოვაო.
- კაცმა ჩიტს თოფი დააცილა და თქვა: ჩემი ხელიდან ხომ მკვდარიაო.
- კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი არ დამალა.
- კაცმა ხელეწო დაჰკარგა და იმას დარღობდა: ნეტავი გარეთა პირი-დან არ გაღვსონო.
- კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი არ დამალა.
- კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს.
- კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოიგვაროს.
- კაცს ჭირი და სიკვდილი ზრდის, არაკაცს კი — ვერც განცხრომა.
- კაცს თავსა ჰკვეთდნენ და მუწუკი არ მატკინოთო.
- კაცსა ღმერთი არ გასწირავს სოფლისაგან განაწირსა.
- კაცსა დასვრის უგულობა.
- კაცსა, დიაცის დამჯერსა, სამარემც დაეკვეთება, ჯერ ხომ შენია დიაცი, მერე სხვას შეეკვეთება.
- კაცსა ფიცნი გამოსცდიანო.
- კაცსა ჰკითხეს: ცოლი გყავს? კი მყავს, მაგრამ... გაღმა კაცსა ჰყავსო.
- კაცს ბეჭებში სცემდნენ და ის კი იმახდა: ვაიმე, მუცელიო.
- კაცს გამოულოცეს და უარესი ქნაო.

- კაცს გაცრილ ფქვილს ნუ აჩვენებ და გაწეწილ მატყლს — ბევრი ეგონებაო.
- კაცს თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდია და სხვისი — ცხვირზეო.
- კაცს თავისი სახელი დაავიწყდაო.
- კაცს თუ მოშივდა, ქვას გაკვნეტავსო.
- კაცს მჭადის სახელი დაავიწყდაო.
- კაცს კაცის ჭკუა არ მოსწონსო.
- კაცს კაცობა უნდა, თორემ უღვაში კატასაც კი აქვსო.
- კაცს მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს ფიცულობდაო.
- კაცს ნიადაგ ქორწილიც მობეზრდებოდაო.
- კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი საიქიოსათვის და ერთიც სააქაოს დასარჩენადო.
- კაცს ორი სიკვდილი მოუვა — ერთი დაასვენებს, მეორე ააშენებსო.
- კაცს რის გამოც რცხვენია, იმისაგანაც დნებაო.
- კაცს რომ გაუჭირდება, სოფელს მიადგება, ნადირი — ტყესო.
- კაცს როცა არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დანახავსო.
- კაცს სახლი ეწვოდა და ხელს ვერ ითბობდაო.
- კაცს სწავლა სიბერემდის არ მოსჭარბდებაო.
- კაცს შინ ოქრო სათხრელი ჰქონდა, გარეთ ეშურებოდაო.
- კაცს ცოტა მოაკლდება, ცოტაც მოემატებაო.
- კაცს ცუდი სიტყვა კლაგს, განა ხმალიო.
- კაცს ცული გადაუვარდა წყალში და წაღლიც თან გააყოლაო.
- კაცს ცხენი არ ჰყავდა, უნაგირს ნატრობდაო.
- კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუცა კაცი შეიგებდა.
- კაცის აშენებული ოჯახი ქალმა დაანგრია და ქალის აშენებული — ვერც ეშმაკმაო.
- კაცის აშენებული სახლი ქალმა დააქცია, ქალისა კი — ვერც ეშმაკმაო.
- კაცის გამოცდა თუ გინდა, ბოლოკი დაარიგებინეო.
- კაცის გვარი ფუჭია, თუ არა აქვს ნიჭია.
- კაცისათვის ყველაზე ძნელი, საკუთარი თავის ცნობა არისო.
- კაცის გული არ გაძლება, გინდ ჰქონდეს და გინდა არაო.
- კაცის გული — ვით ჯურღმული.
- კაცის გული შუშა არ არის, თუ ერთი გაიბზარა, აღარ გამრთელდებაო.
- კაცის გულს ცოტა ეწყინება, ცოტა გაუხარდებაო.
- კაცის დაქცევა თუ გენდომება, ნურაფერს ნუ დაუკავებო.
- კაცის თვალი ხარბიაო.
- კაცის თვალს შავი მიწის მეთი ვერა გააძღობს რა.

- კაცის მოკვდინება დიდი ცოდვა და ღვთის გმობაა.
- კაცის მტრობა თუ გინდოდეს, ნათლიად გაიხადეო.
- კაცის მკვლელი საკუთარ თავს თავადვე ამოიჭამსო.
- კაცის მკვლელის აღსასრული, აგერ, ყურისძირშიაო.
- კაცის მკვლელს ღმერთი არ გაახარებსო.
- კაცად ის ჩამიგდია, ვისაც ჩემი ქმრის არ ემინიაო.
- კაცო, შენი ნახერხი შენვე დაგვერება თავსო.
- კახამბალი კენწეროში გამწარდებაო.
- კახპას კახპობა არ გაუვიდა და მაჭანკლობას მიჰყო ხელიო.
- კბენია უკან დაედევნება, მღრინავი — წინ დაუხვდებაო.
- კბილი ენის კლიტეაო.
- კბილი კარგია, მაგრამ როცა გაამწარებს, მოიგლეჯენ და გადააგდებენო.
- კბილი კბილს შეხვდა და კუჭმა კარი გააღოო.
- კბილი მქონდა, თხილი არა, თხილი მაქვს და კბილი არაო.
- კბილის ნაჩხრეკით კაცი ვერ გაძდებაო.
- კედელ-კედელ იარეო — ოღონდ გამოიარეო.
- კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედც შეიწირების.
- კეთილი იფიქრე და უფალი მხარში დაგიდგებაო.
- კეთილი საქმე თავს თვითონ იქებსო.
- კეთილი ფარად უფარე შენთვის ბოროტის მდომსაო.
- კეთილი ცოლი სახლსა ხვეჭს, ბოროტი, მრუში — ანგრევსო.
- კეთილს მიწყევ აგისრულებს მაღლით ღმერთი-უფალიო.
- კეთილსა ვიზამ მაშინ, როცა კეთილი მადგია.
- კეთილის მკვლელი მგელაო, ღმერთმა დაგწყველოთ ყველაო.
- კეთილის მქმნელს სიკეთე გვერდს ვერ აუქცევს.
- კვალი ვნახე, ცხენი — ვერა.
- კვერნა სანადიროდ წავიდა და ტყავიც იქ დატოვაო.
- კვერნასაც თავისი ტყავი სჯის.
- კვერცხი ქვას არ უნდა აუხირდესო.
- კვერცხის გემო თავის წონა მარილითაო.
- კვირაში ცხრა პარასკევი აქვსო.
- კვირის ნამუშევარი — ორშაბათს მომცდარიაო.
- კვირინჩხს რომ ეკალი არ ესხას, მას ფეხსაც დაადგამდნენო.
- კვიცი გვარზე ხტისო.
- კვიცი იყიდე — დედა იკითხეო.
- კვიცი რომ დედის წინ ხტუნვას დაიწყებს — ან მგელი შეჭამს, ან მგლის ფერიო.
- კვიცი რომ კაცს ეზრდებოდეს, ცხენი არ დაეკაგებაო.



- კვიცს გავხედნი და მამიდასაც ვნახავო.
- კვიცს რომ დაინახავს, მგელი ზეციდან ვარსკვლავებს ჩამოჰვებაო.
- კიდეე მოადგება ქაჩალი კარზე, მექუდესო.
- კიდეც მეტყეშლებოდა და კიდეც ვჭამე ტყეშალიო.
- კიდობანი რომ პურით საგსე იყოს და კოკა — წყლით, ობოლს მანინცა შია და სწყურიო.
- კითხვა-კითხვით კაცი იერუსალიმს მივაო.
- კისერი იყოს, თორემ უღელი მონახებო.
- კისრამდე წყალში ვარ, წყალი მწყურიო.
- კისერში ჩემმა ენამ წამითაქაო.
- კიცხვა ქებაზე ადვილიაო.
- კი ხარ გორიო, კი ძვეს თოვლიო.
- კლანჭიანი აკვისტოს შზე მიმინოსებრ ცერზე მიზის.
- კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, ერთ ადგილს თუ სცემს მაგრადა.
- კოდლაჟ, შენ სულ აგრე აკაკუნებ, მაგრამ შენი გაკეთებული ხარატულები ვერა ენახეო.
- კოკამ თქვა: ცხენზე არასოდეს შევმჯდარავარ, მაგრამ ფეხით ერთხელაც არ გამიფლიაო.
- კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო.
- კოკამ წყალი დაღვარა და პატარა ლიტრა დატუქსესო.
- კოკა წყალზე გატყდებო.
- კოკაჟ, შენ გეუბნები — ლიტრაჟ, გეყურებოდესო.
- კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების.
- კომბლეს ვირი არა ჰყავდა, იყიდა და იყოლიაო.
- კორკოტი ვჭამე ასლისა — დრო არის ჩემი წასვლისა.
- კოლო ლომსაც მორეგია ხერხითა და ფანდითაო.
- კოლოსაც თავისი მუცელი აბზუვლებსო.
- კოლოსაც შეუძლია ზარალიო.
- კოლოც წაქცევს მგელს, თუ ლომი მიეხმარებო.
- კოჭლი კაცის გზა მოკლეა.
- კოჭლი ქოთანსა ლოკდაო, გადაბრუნდა და მოკვდაო.
- კრავის თავს მოველოდი და ძაღლის თავი გამოგორდაო.
- კრუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოიჭამაო.
- კრძალულ ზრდილობაში, ზოგჯერ, გავეშვებული სატანაა ჩაბუდებული.
- კუდა კამეჩი გავყიდე ქებითა და დიდებითა, შევხედე უკან მოჰყავდათ ლანძღვითა და გინებითა.
- კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერიებდაო.

- კულა ხარის საყვარი, წკნელს ვერ დასწყევტს რცხილისასაო.
- კულავ, ჩემო საყვარელო, გუთნის მაძუებუგებელო! — არც ისე მჭა-  
ალისება, ძალად მაძუებუგებენო.
- კული ყვარზე გასლოო.
- კუზიანს სამარე გაასწორებსო.
- კუზიანს სამარე გაასწორებს და ზოგჯერ ისიც ვერაო.
- კუილს უკან, პრუწიო.
- კუმ ფეზი გამოჰყო — მეც ნახირ-ნახირიო.
- კურდღელი დაამწყვდიეს და ურმის თვალი მიაფარესო.
- კურდღელი პატარაა, მაგრამ გაქცევა დიდი იცისო.
- კურდღელი რომ გამოჩნდება, მწვეარს ძილი მოუნდებაო.
- კურდღელი სწრაფია, მაგრამ ექვსი შაური ღირსო.
- კურდღელმა თქვა: ბინა მქონდეს, თორემ საძოვარს, რამდენსაც  
მინდა, ვიშოვიო.
- კურდღელმა თქვა: სანამ წამომახტუნებდნენ, მანამ უფრო  
მეშინოდაო.
- კურდღელმა რაც იძინა, ის იხტუნაო.
- კურდღელს მელიის ეშინია, ბაყაყებს კი — კურდღლისაო.
- კურდღელს სანამ დაიჭერდნენ, შიშმა უფრო დალიაო.
- კურდღელს შამფურს უყრიდნენ და იმას ხუმრობა ეგონაო.
- კურდღლის კვალი დათეთანაც მიგიყვანსო.
- კუს რომ ბაკანი გაუტეხო, ჭირადაც ეყოფა და ლხინადაცო.
- კუს რომ ჯოჯო არ აჰკიდებოდა, იქნება ჩანჩალი მაინც ესწავლაო.
- კუჭი სჯის და კუჭი ფიქრობსო.
- კუჭი მძაზე ახლოაო.
- კუხე ხილს ნუ მოწყვეტ — დამწიფდება, თვითონ ჩამოვარდებაო.

## ზ

- ლალე, ლალე, დივლი-დალა-ლალე, ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ  
კი გენაცვალე.
- ლამაზი ლამაზობასო, ვერ მოშლის თამაშობასო.
- ლამაზს საქციელიც ლამაზი უნდა ჰქონდესო.
- ლამაზი ქალი კაცის გულს ახარებს, მახინჯი — ქალისას.
- ლამაზი ქალის მწყემსი მისი სინდისიაო.
- ლამაზი ქალის პატრონსა, უნდა ჰქონდეს თვალი მჭრელი.
- ლამაზი ქალი ცოლად შეირთო — წყალში გადავარდევო.
- ლამაზი ქალის ცოლად შეერთვა წყალში გადავარდნაო.

- ლამაზი ცოლის პატრონსა — ძალღი უნდა ჰყვეს ფრთხილიო.
- ლამაზ ქალს ბევრი მტერი ჰყავს, უფრო მეტი კი — მოშურნე და ჭორის გამაგრცელბელი.
- ლამაზ ქალს უჭკვეო ყრმა მისდევს, რეგვენი, გონდალეული.
- ლამაზსა ქალსა ფერი არ უნდაო.
- ლაპარაკი არ გაგაძლობსო.
- ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაჰყვა ამხანაგსა.
- ლარი გაიტანს კედელსო.
- ლარი, ლარი, ლარებით, ლარო, გენაცვალებით.
- ლარი რამდენიც მაღე გაიჭიმება, იმდენიც მაღე გაწყდებაო.
- ლარების ქონა გერჩიენოს, ყალბი დოლარის ქონასა.
- ლაფში მწოლს და მცოხნავ კამეჩს გული ერჩის, კლდეს შეანგრევს.
- ლეკს ღორი სძულდა და გოჭი დაუკლესო.
- ლეჩაქის მქსოველს გოდრის დაწუნა უკვირდაო.
- ლეჩხუმურ ღობიოს ლეჩხუმურივე წყალი მოხარშავსო.
- ლიტრას ეუბნებოდნენ — კოკავ, გეყურებოდესო.
- ლიტრავ, შენ გეუბნები, კოკავ, გეყურებოდესო.
- ლოთი კაცის ბედი დღეში სამჯერ გაიხსნებაო.
- ლოკოკინას საკუთარი ნიჟარა ემძიმებოდა და ისიც თავზე დაამტვრიესო.
- ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაჰკრაო.
- ლომს ბრჭყალებით იცნობენო.
- ლომს, ხერხით, კოლოც მოერიაო.
- ლომისა ტყავსა ჩაიცმენ, გვიჩვენენ გულთა სრულობა, ვერ ამატავენს ლაჩარსა აბჯრისა ჩანაცმულობა.
- ლოქო დასაჯეს და მორევიში გადააგდესო.
- ლუკმა გაჟარდეს, ჯამში ჩაჟარდესო.
- ლუკმა მაშინაა კარგი, როცა კაი კაცობითა ნაშოენი.
- ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა ოფლითაა ნაშოენი.
- ლუკმამ ქვეშ მოიტანაო.
- ლუკმის დაკლება სჯობია, ჯერის დაკლებასო.
- ლხინში გულდინჯად წადი და ჭირში — გულფიცხადო.
- ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში — სირბილითაო.

## მ

- მაგ საღვინემ ერთხელ ჩემთვისაც წამოაჩქაფუნოსო.
- მაგათი კოვზიც ვიცი და ციცხვიცაო.

- მაგის ფერისა ხატიც არ ვარგაო.
- მაგრა თუ ჭირსა არ დათმობ, ლხინი რა დასათმობია.
- მაგრა თქმულა, კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების.
- მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.
- მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?
- მაგრამ, თუ მოუკვდე, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები.
- მაგრამ ყველაფერი ძველი ამოა და სასურველი: ძველი პური, ძველი ღვინო, ძველი სტუმარ-მასპინძელი.
- მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? თაფლში ურევს მწარე ნალველს, მტრისას მისი გამოცანა.
- მადა ჭამაში მოდისო.
- მადლი მატლად იქცაო.
- მადლი ღვთიური რამაა, არც ძველდება და არც დავიწყების ფერფლი ვერბაო.
- მადლი ჰქენ, მარილიც მოაყარეო.
- მადლი ჰქენი, ქვას დადვეი, გაფლი და წინ დაგხვდება.
- მადლიანია გუთანი, ფეხდაფეხ დასდევს უფალი.
- მადლიანი სიტყვა მადლიან საქმეს არაფრით ჩამოუვარდებაო.
- მადლისა წყაროს ასმევდე ცოდვის გუბეში მდგომსაო.
- მაგანს პანტა ძვირად უღირს, არ დაემებს გულაბს, წყლიანს.
- მაზაგებელს მეტი მოხვდებაო.
- მაზანდარელი თათარი გოჭის თავს მედავებოდა.
- მაინც არა ხარ, წისქვილო, არაგვიც ჩამოგდიოდესო.
- მაინც ვკვდები და შენი ჭირიც მეო.
- მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა.
- მაინცა და მაინც ოსი უნდა იყო, რომ რუსმა გაგაბრიყვოსო?
- მაისის წვიმა ოქროა, ივნისის — ვერცხლი, ივლისის — ცეცხლიო.
- მათხოვარი სოფლის სახეაო.
- მალვით ვინც მტერი მტერს მოჰკლაუს, ის ქალს რითი სჯობს თმიანსა.
- მამალი რომ უდროო დროს ყვილს დაიწყებს, თავს მოჭრიანო.
- მამალი რომ ფრთას შემოჰკრავს, იცოდე, რომ დაიყვილებსო.
- მამლის ყვილით და ძაღლის ყეფით — სოფელი არ აშენდებაო.
- მამლის ყვილი ხიდანა — მცნებად არ მიიჩნევაო.
- მამალმა თქვა: მე ბარე ასი ცოლი მყავს, მაგრამ ჩემი მორჩილი არცერთი არ არისო.
- მამალმა თქვა: მე კი ვიყვილებ, მაგრამ გათენდება თუ არა, ჩემი საქმე არ არისო.
- მამალმა თქვა: მე კი მიყვილია და თუნდ გათენდეს, თუნდ არაო.

- მამა მაშინაა ბედნიერი, როცა შვილი მამისა და ქვეყნის ერთგულიაო.
- მამამ შვილი დედას არ უნდა აუშხედროსო.
- მამას რომ შვილი მტრად მოეკიდება, ის არც სხვას დაინდობსო.
- მამასახლისის მუშასა, შიმშილით არა უშავსა.
- მამასახლისის ხარსაო წაუგდებინებ თავსაო, წაუღალ, ქალაქში გაგვიდი, ვიყიდი ზანზალაკსაო.
- მამას გაუარაო, მამობილს მიეფერაო.
- მამაო, შენი ადგომა ჩემი აღდგომა არისო.
- მამაშენის ქისა, თავის გუნებისა.
- მამაშვილობა დედაშვილობაზე ნაკლები არ არისო.
- მამაძალი თათარი ჩემს ტომარას აჩუას ეძახდაო.
- მამის მოღალატე სულსაც გაყიდისო.
- მამის სულს შეეღია, — მამინაცვალს ფიცულობდაო.
- მამის მტრად შზრდელი შვილისა, დედა კრულია ღვთისაგან.
- მამჩემის მკვლეელი არ ცხონდება, მამჩემი კი აღარ გაცოცხლდებაო.
- მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?
- მამულმორეულს — მტერმორეული სჯობიანო.
- მამციას, მიმცია უნდაო.
- მანამ არ დამიმეგობრდა კაცი, სანამ არა ვცემეო.
- მანამ თონე ცხელია, პური უნდა ჩააკრაო.
- მანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.
- მანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მომჭრაო.
- მანუჩარი არ უჩქარის.
- მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უეჭურელად.
- მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი აუად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა, ქვეყანას არ მოუხდების.
- მართალი ვარ, გამიკითხე, რად მიწყლულე მისთვის წყლულსა.
- მართალი კაცი ღვთისგან გამორჩეულიაო.
- მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო.
- მართალი ცხოვრებაში არ მითქვამს და ტყუილს როგორ ვიტყვოდიო.
- მართალ საქმეში ღმერთიც დაგეხმარებაო.
- მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
- მართალსა და ტყუილს შუა ერთი ხელის დადებააო.
- მართალში რას იძლევი, ტყუილი რომ გითხრაო.
- მართალთან ჭიდილი მარცხით მთავრდებაო.
- მართლად თქმულა: არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი.

- მართლად უთქვამს მეცნიერთა: წყენაო, ჭირთა ბადე.
- მართლის მთქმელსა სცემესო.
- მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი დასჭრესო.
- მართლის მთქმელს ბევრი მოძულე ჰყავსო.
- მარტი იცინოდეს, კაცი ტიროდესო.
- მარტი მოიტირებოდეს, კაცი მოიცილებოდესო.
- მარტი პატარძალივითა: დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიღუშებაო.
- მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
- მარტო ლოცვით სამოთხეში ვერ შეხვალო.
- მარტობა ვერსა მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი.
- მარტო შემოსაგალი კაცს არ გაამდიდრებს, თუ დაზოგავამაც ხელი არ შეუწყვლო.
- მარტოხელა კაცი — ჭამაშიაც ბრალიაო.
- მარწყვი მპირდება გასუქებასა, გული არ ამბობს ასრულებასა.
- მარხვა ვჭამო დოსთვინაო, ქურდობა ვქნა ხბოსთვინაო?
- მარჯვე კაცისათვის სასჯელი უსაქმობა არისო.
- მარჯაკვლსა არა რჩება წყევლისა და ლანძღვის მეტი, წაღღის ტარის გამკუთბელს — პირში დიდი კომბლის მეტი.
- მარჯვე კურდღელი თავისთვისაც იშოვის და სხვისთვისაცო.
- მარჯვენა ხელი მარცხენას არ უნდა ენდობოდესო.
- მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის ამარად ღმერთმა ნუ დასტოვოსო.
- მარჯვენამ გასცეს, მარცხენამ არ უნდა გაიგოსო.
- მას დედის ძუძუ, ტკბილი, შხამადაც შერგებია, მამულისათვის სიკვდილი ვისაცა დაზარებია.
- მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა.
- მას მკვდარსა ვნახავ, მოჯკვდები მე სიკვდილითა ორითა.
- მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს.
- მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.
- მაფია, ცოდვასთან წილნაყარი, — ენატკბილი და სასტიკი მანადგურებელიაო.
- მაფიასთან ბრძოლა ძნელიც არის და ადვილიცო.
- მაღლა ბავშვი ავწიე და თავში ჩამკრაო.
- მაღლა ცას ატყუებს, ძირს — დედამიწასო.
- მაღალი ხე მისი ჩრდილით გაიზომებაო.
- მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე, დაგრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.
- მაშინ დამძახე, გუგულო, ყანა რომ დავაგუგუნო.
- მაშინ იხარებს მწინდავი, ოდეს მოისთვლის მტყენებსა.

- მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდინდის კაცი ჭირსა.
- მაშენებელი წარწყმდესო.
- მაძლარი მოლა მშიერ მგელზე უარესიაო.
- მაძლარი მშიერს წვრილად უფშვნიდა, თან დასძახოდა — ცოტა ჭამეო.
- მაძლარ მღვდელს მშიერი დიაკონიც მაძლარი ეგონაო.
- მაძლარს მშიერიც მაძლარი ეგონაო.
- მაწანწალა ტურა სჯობს, მწოლიარე მგელსო.
- მახათით ზღვას ვერ გაათბობო.
- მახე კი მაშინ გასხლტება, ქუდი რომ ყალფზე დადგება.
- მგელი მგლის ტყავს არ დახვესო.
- მგელს მგელი დაერქვა, თორემ ტურამ ქვეყანა ამოაგდოო.
- მგელი არ მოშლის მგლობასო, კაი ყმა — მამაცობასო.
- მგელი და მწყემსად? — სად არის წესად.
- მგელი დარჩენილს ჩიოდა, პატრონი წანაღებსაო.
- მგელი ისე არ მოკვდება, თხის დასამარხი გახდესო.
- მგელი იჭერს, მგელსაც იჭერენო.
- მგელი კვდება და ცხვარი კუნტრუშის გუნებაზე იყო.
- მგელი რომ დაბერდება, ძაღლები ხუმრობას დაუწყებენო.
- მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო.
- მგელი ცხვარს სამი წელი უკან სდევდა, — იქნებ ბელმა გამიღიმოს, დუმა დაუვარდესო.
- მგელი ცხვარში შევარდა და — ვაი ერთის პატრონსაო.
- მგელი ძვალს არ გადაყლაპავს, ყორყის იმედი რომ არ ჰქონდესო.
- მგელმა დაიჩივლა: ეს ოხერი და ტიალი, ჩემი სორო რომ სოროა, იქაც კი ვერ მითქვამს თავისუფლად ვერაფერიო.
- მგელმა თქვა: ორმოში ვვედე და ვინ ძვალს მიგდებდა და ვინ რბილს, ყველა მახსოვსო.
- მგელმა თქვა: ჩემს დამჭერ ძაღლს ერთი შეხედვით ვიცნობო.
- მგელმა კბენა არ იცოდა, ადამიანმა ასწავლაო.
- მგელმა რაც მელიას თავზე ცემით უყო, ის მელიამ მიპარვით გადაუხადაო.
- მგელმა რომ ძაღლსავით იცოდეს სუნი, ქვეყანას ამოაგდებდაო.
- მგელმა უთხრა ძაღლს: საქმე ის კი არ არის, რომ მიფრბიფარ და მომდევო; საქმე ის არის, მოფრუნდე და დადგეო.
- მგელმა ცხვარი მოიტაცა, ჩემი სერიდან იყოო.
- მგელმაც კი იცის მიბარებულის შენახვაო.
- მგელს საკუთარი ფეხები აჭმევენ პურსაო.
- მგელს მგლობა დაბრალდა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოო.

- მგელს მგელობა დაუვარდა, ტურამ ქვეყანა დააქციაო.
- მგელს მგლურად დაუხვდი და მელას — მელურადაო.
- მგელს რა ენაღვლება, თუ ცხენი ძვირადა ღირსო.
- მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელი დარჩებაო.
- მგელს უთხრეს: შენ ცხვარში უნდა გაგზავნოთ და შენი შვილი — ბატკანშიო; მგელი შეხტა და შეპროწიალდა: აქაც მე უნდა წავიდე და იქაცო.
- მგელს ძვალი ახრჩობს, შურიანს — შურიო.
- მგლის დაკბენილსაც მოუვა ძილი, მშიერ კაცს კი — არაო.
- მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და — გამიშვით, ცხვარი გამექცაო.
- მგლისთვის ცხვარი ვისაც მიუბარებია, მთელი ვეღარ მიუღიაო.
- მგლის შიშით, ცხვარი ვის გაუწყვეტიაო?
- მგლის წყალობითა, მელა რჩებოდაო.
- მგლისა ბატკანი ვის უნახავსო.
- მგლისგან მწყემსი არ დადგება და ქურდისგან — წმინდანიო.
- მგელო, ჭკუას მოდიო — სათხებოში შევხტეო?
- მგლებში მაცხოვრებელმა ყოილიც უნდა იცოდესო.
- მგზავრი კაცი ნაშუადღევს ბინას უნდა ეძებდესო.
- მგზავრსა ჰკითხეს: რა მომიტანე და შენ რაღა გამატანეო.
- მგორაჲ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო.
- მდიდარი, თავის წუწუნით, საწყალ კაცს საკუთარ სიღარიბეს დაავიწყებსო.
- მდიდარი კაცის მამალი რომ მამალია, ისიც კი დასდებს კვერცხსაო.
- მდიდარი კაცის მამალიც კვერცხისმდეგელიაო.
- მდიდარი მკვდარსა სტიროდა, ღარიბი ხარჯსა სჩიოდაო.
- მდიდარი ღარიბს პერანგს აძრობდაო.
- მდიდარმა ღარიბი ვერ გაამდიდრა და ღარიბმა მდიდარი გააღარიბაო.
- მდიდარ ბრიყვს თავი სამყაროს ჭიპი ჰკონიაო.
- მდიდარს ერთი ეხარჯება, ღარიბს — ორიო.
- მდიდარს უთხრეს — მშვიდობაში, ღარიბს ჰკითხეს — ვინ მოგცაო?
- მდიდარს — ემატებოდესო.
- მდიდარს — ემატებოდეს და ღარიბს — აკლდებოდესო.
- მდიდარს ქება თავბრუს ასხამდაო.
- მდიდარს ქებით რაღა გაბრიყვება უნდოდაო.
- მდიდრის ურეში მთას გადაივლის და სწორ გზასაც შეშლისო.
- მდიდრისას კატას სტიროდნენ და ღარიბისას — კაცსაც არაო.
- მდინარე წყალი ნათელიაო.
- მდინარესაც დასვენება უნდაო.



- მე ალალს ვეძახდი, სხვები მწყერს იჭერდნენო.
- მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა.
- მე გზა არ ვიცი უახლოესი, ერთადერთი გზა არის სიკვდილი.
- მეგობარმა მეგობრისთვის მოხარშული დედალი შეჭამაო.
- მეგრულს ცხენი აჩუქე და ქონებაზე ხელს აიღებსო.
- მე დაუფარი და გინდა ზედა წისქვილმა დაფუქვას, გინდა — ქვე-  
დამაო.
- მე დაუჟკარ — შენ გეამა, შენ დაუჟკარ — მე მეამა.
- მედღე-მეზვალე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო.
- მედღე-მეზვალეს ხან უთოვს, ხან უწვიმსო.
- მე ვარ და ჩემი ნაბადიო.
- მე ვწუნვარ და ის კი ოდელის იძახისო.
- მე იმ მეზობლის ჭირიმე, ვინც კვერცხზე მარილს მომიყრის.
- მეზობელთან ჭირიც კი ღზინიაო.
- მეზობელი მეზობლის სარკეაო.
- მეზობელი მეზობლის მიჭვრიტინააო.
- მეზობელი რომ მარილიანი გყავდეს, მარილს მაინც უნდა უნაყ-  
აუდგეო.
- მეზობელმა რომ შემოგაფურთხოს, შენც შეაფურთხე, უპირო არ  
ფგონოო.
- მეზობელმა სატირალში თავი შეირცხვინაო.
- მეზობელს თოკი სთხოვეს და — ზედ ფეტვი უნდა გაფინოო.
- მეზობელს თუ რამე აქვს, შენ შენი შეგრჩებაო.
- მეზობელს თუ რამე აქვს — შენცა გაქვსო.
- მეზობელს თუ რამე არა აქვს, ჩათვალე, რომ არც შენ გქონიაო.
- მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ფგონაო.
- მეზობელს მეზობლის ქათამი აქლეში ფგონაო.
- მეზობელს მუცელი რომ სტკიოდეს, შენ მუცელზე ხელს უნდა უს-  
ვამდეო.
- მეზობელს ხარი უქადე, ღმერთი შენც მოგცემსო.
- მეზობლის გამოჯაგრებულმა ცოლსა სცემაო.
- მეზობლის რძალი ღამაზიაო.
- მეზობლის ტირილი, მეზობელს ქორწილი ფგონაო.
- მეზობელო, კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.
- მეზობელთან ჭირიც ღზინიაო.
- მეზობლები რამ გადაჰკიდა და კატამა და ლეკვმაო.
- მე კი არ მივრბივარ, გასაჭირი მიმარბენინებსო.
- მე კი გეტყვი და შენ, გინდა ყინულზე დაიწერეო.
- მეკურტნეობა სჯობია, ავის ქუდისა მკერავსაო.

- მელა დაინახო, თოფი გაარტყი, დაიჭირო და — ტყავი გააძვრეო.
- მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო.
- მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა, ეგების სიზმარი იყოსო.
- მელამ თავისი კული მოწმედ მოიყვანა.
- მელამ თქვა: ზღვას მუგუსნალს შვეუჩინებ და თუ ვერ დავაშრობ, დავაშიშინებ მაინცაო.
- მელამ თქვა: მე და მგელმა აქლემი მოვკალითო.
- მელამ მგელს წასძახა: ჰაიბ, შე უმიხორციჭამიაო.
- მელა საქათმის კარზე მოკვდებოდა.
- მელას თავის მახრჩობელა უყვარსო.
- მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.
- მელა სოროში ვერ ეტეოდა, კუდზე ეკალს იბამდაო.
- მელა საცა წავა, კულიც იქ გაჰყვებო.
- მელას ძილშიც ქათამი ახსენდებო.
- მელიას რომ აწყენინო, დათვის წყენინება გამოუაო.
- მელიას ურმით უკან არ სდევნო.
- მელოგინე ქალს რომ მოშიგდეს, ცხრა სოფელი დაიმშვეაო.
- მელოტსა სცვიაო და ხახამს წვერი სცვიაო.
- მე მაწონს ვთხოვლობდი, ის დოს მოაჭყამპალებდაო.
- მენავემ თუ წყლის სიღრმე არ იცის, ნავს ქვეშიდან მოექცევაო.
- მენახირემ ნახირი გაუშვა, პატრონმა კი — არაო.
- მერიქიფეს თავი თამადა ეგონაო.
- მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძი სოფელიმცა გარდიფხვრების.
- მე იგი ვარ, ვინ სოფელი არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.
- მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.
- მე რად უნდა ვაქო სხვები, მე მეკუთვნის დაფნა ქების.
- მე რას მიზამს ყარაული, ბაღს ახლო თუ არ გავუვლი.
- მერე? მერე? რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა? — მაპატივა შეცოდება, როგორც ძმამ და მეგობარმა.
- მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, მისი ხორცი ღმერთმა ნუ მაჭამოსო.
- მე რომ კურდღლობა მომინდება, ჩემს მწვეარს სახლში ჯდომა მოენებებო.
- მე რომ მენახირედ დავდექე, ფამფარა მაშინ გაწყდაო.
- მესტვირის ცოლსა ჰკითხეს: თამაშობა თუ იციო და, მეტი რა მას-წავლა ჩემმა ქმარმაო.
- მეტი მიეცი და კარგი იგემო.
- მეტი სიტყვა თავს ატკენს, მეტი ჭამა — კუჭსაო.

- მეტისმეტი — ბრეტისბრეტო.
- მეტისმეტი — ბრეტისბრეტი! — ასე უთქვამთ ძველებს, — ვინც ზომაზე არა ყლაპავს, სიმწრით დაახველებს.
- მეტისმეტი — თავში რეტო.
- მეტისმეტმა სიმართლემო, დამილია სინათლევო.
- მეტისმეტმა სიწმინდემ საბერძნეთი დააქციაო.
- მეტისმეტმა სიწმინდემო, ტრაპეზს იქით დამაგლო.
- მეტიჩარა მაყარი მეფე-დელოფალს წინ უსწრებდაო.
- მეფე გაგიწყრეს — თუმს შეეხვეწე, თუმი გაგიწყრეს — გადაიხვეწე.
- მექებოდევო — არას მერგებოდევო.
- მექოთნე ქოთანს ყურს საითაც უნდა, იქით გამოაბამსო.
- მე ყოველთვის შენსკენ, შენ — ეშმაკისკებისკენო.
- მეშურნეთა თვალი — ცეცხლის მინათვალი.
- მეც გავძეხი და ჩემი სტუმარიცო.
- მეცხვარე ცხვარს ვერ გარეკავს, წინ თუ არ უძღვის ვაციო.
- მეძახიან მეღქოსაო, დაე, ასე მერქოსაო.
- მეძახიან მეღქოსაო, მოდი, ბარემ მერქოსაო.
- მეძებრის შვილს დაგეშვა არ უნდაო.
- მეძებრობა ყველა ძაღლს შეუძლია, მაგრამ ზოგს კუდის ქიცინი ეზარებაო.
- მეწამლე და დასტაქარი — არც წიწაკა, არც შაქარი.
- მე წველას ვეუბნებოდი, ის დოს მოატლაკუნებდა.
- მეხსიერება და ოქრო ერთნაირად ფასობენო.
- მეტკინა, განა მეწყინაო.
- მეწყინა განა მეტკინაო.
- მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო.
- მთავრობა თუ გამოგიდგა, ხალხში გადაფარდო.
- მებადური — ფხამ დაახრჩოო.
- მედღე-მეზვალეი კაცსაო, სახლი დაენგრა თავსაო.
- მეთუვზე — ფხამ დაახრჩოო.
- მელოტ თავს საღებავში ვერ დამალავო.
- მერე რა, თუკი ყველა ერდოდან ბოლი ამოდის, კერა ანთია; განა სადილი ყველგან კეთდება, განა სიუხვე ლამპრად ანთია.
- მეტი ვის გადაუყრიაო.
- მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდეს და შუქნი არნეს.
- მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვიოთუნდა.
- მზევ ჩადი და, ალოვ, გადიო.
- მზევ, ჩადი, მე უნდა ამოვიდევო.
- მზეს ვინც ტალახს ესვრის, მასვე დაეცემაო.

- მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევოს, და-ცა-ჭნების.
- მზეს ნათელსა და სითბოში ვერაჟინ გაეჯიბრება.
- მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების.
- მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღეს არ დაჭნების.
- მოკლას ხარი თივამო.
- მონას ბატონის გამოცვლა თავისუფლება ეგონაო.
- მონატრება წასულისა, ტკივილია დიდზე დიდი.
- მთა მთას არ შეხვდებაო და კაცი კაცს — ყოველთვისაო.
- მთა მთას ეცა და მეც აქ დაგზვდიო.
- მთელ დღესა მოქეიფესა, არა დარჩა-რა ვახშმადა.
- მთელი ეს ქვეყანა — სესხი და ვალიაო.
- მთვარე თუ ჩემსკენ არის, ვარსკვლავებს რას შევეპუები.
- მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა-შეესწოროსა, ორნივე სწო-რად ნათობენ, მოშორდეს, მოემოროსა.
- მთის ჩიტი — მთას შეაკვდაო.
- მთისა — მეცხვარეს ჰკითხე, ბარისა — გუთნისდედასო.
- მზე რომ ამოვა, ყველა კაცისას მივაო.
- მზეს ვინც ტალახს ესვრის, თავზე დაეცემაო.
- მიაყოლე ხარი ხარსო და ლამაზი ქალი — ქმარსო.
- მიბარებული მგელმაც იცისო.
- მიდის-მოდის გაბრიელი, კაცი არ ჰყავს მადლიერი.
- მიდის-მოდის ტარიელი, მუცელი აქვს ცარიელი.
- მიეც გლანაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.
- მიეცეს და მიემატოსო.
- მივეცი ფული, დაუიხსენ სული.
- მიზეზ, მიზეზ — დოს მარილი აკლიაო.
- მიიხედე, მოიხედე, ტანზე ისე გაიხადე.
- მილიონს კაპიკი რომ დააკლდეს, მილიონი აღარ იქნებაო.
- მიმინო რომ გაძღებაო, ხელზე აღარ დადგებაო.
- მიმინოს მაგფერობას, ტურა ვერ გასწევსო.
- მინამ თონე ცხელია, პური უნდა ჩააკრაო.
- მინდორს თვალი აქვს და კედელს ყურიო.
- მიშველე შავბალახაო, ციებ-ცხელების წამალო.
- მისი ჭამა ჭამა არის, სხვისი — ჭაპა-ჭუპიაო.
- მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების.
- მისთვის დაძრწის ცხვართან მგელი, მწყემსს არ მოეკიდოს რული.
- მიტომ ზეობს ქვეყნად ქვენა, ბოროტება მიტომ მძღავრობს, რომ ცოდვილი დიდ სიკეთეს ვერც ხედავს და ვერცა ჰყვარობს.
- მიღწვიან მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

- მიყვარს ყველაფერი სადა, მიყვარს ყველაფერი ძველი.
- მიცვალებული თავისით არ წავა სასაფლაოზეო.
- მიციას — მოცია უნდაო.
- მიძალებული ლუკმა ძაღლმაც არ ჩაყლაპაო.
- მიწა გრილიაო.
- მიწა გრილია, მკვდარს მიიბარებს და გულს გააგრილებს.
- მიწა იყო და მიწად იქცაო.
- მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაური.
- მიწა ხელიდან გვეცლება, როგორც ბზეს ფანტავს ქარიო, ავდგეთ და ხმალი შევბათ, მტერს ომი ვუქნათ ცხარიო.
- მიწას მიწა დააყარე, პატყვად დაედებაო.
- მიწას უთქვამს: ცუდად მომხან, ოღონდ კარგად დამფარცხეო.
- მიწას ჩვენა ვჭამთ და მიწა ჩვენ შეგვჭამსო.
- მიწაწყალს ვკარგავთ და განძრევა გვეზარებაო.
- მიწისთვის ბეწვიც კი დასანანიაო.
- მიხვდა მხარჯველი, ვერა — მჭამელიო.
- მიხვალ კალათიანი, მოხვალ სამართლიანი.
- მიჯნურეობა საჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს.
- მკაზე გარიგებას, ხვნაზე გარიგება სჯობიაო.
- მკვახე იყო ის ყურძენი და მომკვეთდა კბილებსაო.
- მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი სჯობიაო.
- მკვდარი ვის უცოცხლებია ტირილითა და ვიშითა?
- მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმიყვანეო.
- მკვდარი მკვდარს ეკიდებოდა და ორივე სამარისკენ ეზიდებოდნენო.
- მკვდრებს აკლიხარ, ცოცხლებს არ არგიხარო.
- მკვეხარას გაუჭირდებაო.
- მკვლელი ადამიანის სახეს ჰკარგავს და მხეცისას იძენსო.
- მკვლელი გიჟის გამართლებას ვერა ძალა ვერ შეძლებსო.
- მკვლელი და მისი ჯალაბი შეიდგზის დაწყველილიაო.
- მკვლელი ერთს კლავს და ასობით სხვას ანადგურებსო.
- მკვლელი მსხვერპლის ბოლო მზერას ვერსად დაემალებაო.
- მკვლელმა ერთი იმსხვერპლა, მაგრამ ათასობით სხვა დააქცია და შეიწირაო.
- მკვლელმა, მსხვერპლთან ერთად, იმედიც მოკლაო.
- მკვლელმა ერთი კაცი მოკლა, მფარველმა კი — ათასიო.
- მკვლელმა მსხვერპლის ოჯახიც დააქცია და თავისიცო.
- მკვლელი ნამოქმედართ თუ ხარობს, ჯილდოს ელოდებაო.
- მკვლელმა საკუთარი თავიც დასაჯაო.
- მკვლელს არც შინაური დაინდობს და არც გარეულიო.

- მკვლელს თვალებში ჯოჯოხეთი უნთიაო.
- მკვლელს ჯერ მსხვერპლის თვალები სჯიანო.
- მკვლელს საკუთარი ცოდვა არ მოასვენებსო.
- მკვლელს ჯოჯოხეთში ელიანო.
- მკვლელის გამართლება ღვთისგომობააო.
- მკვლელის გონება სატანამ დაიმონა და დანისლა, მიტომ გაბედა მიპარვა, ზურგში ჩაცემა დანისა.
- მკვლელის მზეც ჩაქრება და ჩაესვენება.
- მკვლელის მფარველსაც უძვეს წილი დანაშაულშიო.
- მკვლელის ოჯახიც განწირულიაო.
- მკვლელის სიცოცხლეს ბევრად სჯობს სიკვდილი გაწირულისა.
- მკვლელის შემწე და მფარავი, სამართლისაა მპარავი.
- მკვლელის შემწეც მკვლელიაო.
- მკვლელად გამზრდელის დედა უბედურიაო.
- მკვლელად ვინც გზრდიდა, გივლიდა, სიკეთეს არ გაწვდიდაო.
- მკვლელო, დაგექვა ოჯახი, სახლ-კარი თავს დაგენგრაო.
- მკვლელო, დაგწვევლი, დაგნაყავ, გულისგულს ამოგიგდებო, მაგ შენი დანაშაულის საზღაურს ამოვიღებო.
- მკვლელო, დედა მოგიკვდაო.
- მკვლელო, რა გიხარია და — რომ მოუკალი, ისაო.
- მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს თავისისა სისხლის მხვერუპსა.
- მოაკლდეს მძინარესაო, ემატოს მღვიძარესაო.
- მოასპარეზედ ვინ მგავსო, ცუდნიდა უკუთქმანია, გარდამწვევტელი მისიცა ბურთი და მოედანია.
- მოგება და წაგება ამხანაგები არიანო.
- მოგკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო.
- მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა.
- მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწვევტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება, იმდენი ხნის გასაჭირი.
- მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო.
- მოვიდა სიმშლილი, წავიდა სირცხვილი.
- მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს.
- მოგკედე, თავსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა.
- მოვხუცდი და გადავხუცდი, ამ ქვეყანას რაღას ვუცდი?
- მოთმინება და შრომა ყველაფერს გააადვილებსო.
- მოთმინება კაი საქონელიაო.
- მოთმინება სიბრძნეა და მეცნიერების ღვრიტაო.
- მოთმინებითა შენითა, მოიპოვე სული წმინდა, შენით.

- მოთმინება სამოთხის გასაღებიაო.
- მოინანიე, თუ გინდა რომ შეგინდოს ღმერთმა.
- მოიტა, რძალო, ხახალი, ძველი იყოს თუ ახალი.
- მოკეთეს პირში უძრახე, მტერს — პირსუკანაო.
- მოკვდა პაპაო, დარჩა ჯაყვაო.
- მოკვდაუსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა.
- მოკლე გზით მტერსა ელოდე, შორი გზით — მოკეთუსაო.
- მოლა ვირზე იჯდა და ვირს დაეძებდაო.
- მოლა კვდებოდა და ფლაგი მაშინ ჩააყარეს პირშიო.
- მოლა მეჩეთში რომ არ შედიოდა, ხელისკვრით შეიყვანესო.
- მოლა მოკვდა და საფლაგში ფლაგი ჩააყარესო.
- მოლა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მგელი როგორ გაბედავდა მისი ვირის შეჭმასო.
- მოლას უთხრეს, უნაგირი წინ მოგქცევიაო და ისემც უქნია, შინამც მისულიყოსო.
- მოლას უთხრეს, შეილი გადაგრევიო და როდის იყო ჭკვიანიო.
- მოლოზონი მთაზე ცეკვაგდა და არც იქითა მხარე უმადლოდა და არც აქეთაო.
- მომაგალს ვერ მოეგო და წარსულს არ ეშვებაო.
- მომეც ბედი და თუნდ სანებზე გადამაგდეო.
- მომრევის მომრევი არ დაილევაო.
- მომსვლელს დამხვედრიც უნდაო.
- მომტირალი რისთვის სტირისო? — მობანეთა ბანისთვისო.
- მომღერალი თავს არ იცხელებს და მობანეს რა რჯისო?
- მონა ურჩი და მზაკვარი, თავისიანსაც კი სძულსო.
- მონას ურჩობას, მზაკვრობას მეფეც არ მოუწონებსო.
- მონანიება სინანულით იწყებაო.
- მონანიებას გულწრფელი ნება და აღიარების სურვილი შობსო.
- მორცხვი ქალი ქალაქადა ღირს, მორცხვი კაცი — ქალამნადო.
- მოსაგალს მოცდა ეგებისო.
- მოსაკითხი თუ ხშირია — მეგობართა კავშირია.
- მოსაწიელს მოცდა უნდაო.
- მოსვენება საფლაგშიაც გვეყოფაო.
- მოსვლა — იანი, წასვლა — გვიანი.
- მოტეხილს — მოსტეხიანო.
- მოულოდნელი კუნძი ურემს გადააბრუნებსო.
- მოქნეული არაგის გაუზომია.
- მოღალატე რომ კალთაზე მოგეკაროს, ის კალთა მოიჭერი.
- მოღალატე შეილი მტერზედ უარესია.

- მოღალატე შვილი შვიდგზის დაწვევლილია.
- მოღვაწე წარწყმდა სილაღით, ცხონდა სიმდაბლით ვნებულნი.
- მოყვანილი ქალის ამბავს სამ წელიწადს ნუ იკითხავ.
- მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია, არ მიენდობა გულითა, თუ კაცი მეცნიერია.
- მოყვასს შეხვდე, გაუღიმე, მიაგებე სალამით.
- მოყვრებს შუა აბრეშუმის ძაფია გაბმულიო, მტრებს შუა კი — ბაწარიო.
- მოყვარეს ვაშლი დაუმსხალე, მტერს კი — მსხალიო.
- მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკანაო.
- მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს — პირს უკანაო.
- მოყვარეს უაუგოსა, თუ ეძებ, მარტო დარჩები.
- მოყვრის მოყვარეს ძროხა დაეკვლებათ.
- მოყვრის სახადი მტერს შეხვდაო.
- მოშიშარს ვისი შიშიც აქვს, ის უძღვევლი ჰგონია.
- მოჩქარეს — მოუგვიანდესო.
- მოციქული ყაენთან მივაო.
- მოციქულის მოციქული მატრაკვეცააო.
- მოცლილი თხილამურიო.
- მოცლილი კაცი ასეა: კურდღელს დაუწყებს დევნასო.
- მოცლილი კაცი კურდღელსა, ურმით დაუწყებს დევნასო.
- მოცლილი კაცი კურდღელს ურმითა სდევსო.
- მოძალადე მკვლეელი ჯოჯოხეთის მოციქულიაო.
- მოწადინება — ნახევარი საქმეაო.
- მოწანწალე ტურასაო, ერთხელ, მინდორზეც გაუთენდებაო.
- მოწოდებასა და განათლებას შორის სიგრცეა დიდი.
- მოწუწუნეს თითო მიზეზი არა და არ დაეღიაო.
- მოწყალე კაცის გონება, სიტყვას შეისმენს მალეო.
- მოხეტიალე გიჟი მოარული ხიფათი და სიკვდილიაო.
- მოხვალ კალათიანიო, წახვალ სამართლიანიო.
- მოხუცი იმას მოიძიებს, რაც სიყრმით დაუთესია.
- მოხუცი იძიებს მოსამკელს, რაც სიყრმით დაუთესია.
- მოხუცმა თქვა: ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, სიბერეშიც არ ვენახეო.
- მოხუცმა თქვა: რაც მიყვარდა, ის შემპულდაო.
- მოხუცმა თქვა: რაც ვნახე, იმას ვეღარ ვნახავო.
- მოხუცმა თქვა: რაც ვნახე, იმას ვეღარა ვნახავ და რაც უნდა ვნახო, აღარ მაინტერესებსო.
- მოჯამაგირეს ან პურის კიდობანი უნდა ჰქონდეს ღია, ან არ



დადგებაო.

- მოჰკლას ხარი თივამაო.
- მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული.
- მრავალსულიან ოჯახს ღმერთიც წყალობს და სოფელიცო.
- მრუდე გზით მაგალი, ხელმწიფეც დაისჯებაო.
- მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია.
- მსუქანს ყელი გაიგებს, მძიმეს — ხელიო.
- მსხვერპლის სამღურავი მკვლელს არ მოასვენებსო.
- მსხვერპლის საყვედურით მზერას, მკვლელი ვერსად წაუვაო.
- მსხვერპლად შეეწირო, უმადლესი სიხარულია.
- მსხვერპლად შეწირული ქრისტეს ნათესავია.
- მსხვილად და წვრილად დამრთავებს, ერთი ფასი ჰქონდათო.
- მსხვილი და წვრილი ერთად იფქვის, — ვაი, წვრილად დამფქველსაო.
- მსხვილ-მსხვილი მენაფოტე მალ-მალე გარბოდა ტყეშიო
- მტერი გეთანხმება, მოკეთე — გედავებაო.
- მტერი გყავს? — ნუ შეგეშინდებაო.
- მტერი თუ არ მოკვდებაო, გული ხომ გაუსკდებაო.
- მტერი თუ მოყვრულად მოგექცეს, მოერიდე, მოკეთე თუ მტრულად მოგეკიდოს, შეიყვარეო.
- მტერი, მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია.
- მტერი რომ ცხვირწინ დაგისკუპდება, რა დროს ქეიფია, ხმალი ვიღამ უნდა ალესოსო?
- მტერი რომც არ გყავდეს, დაპირებულის შეუსრულებლობით მტრად მოიკიდებო.
- მტერი რომც არ გყავდეს, უნდა გამოიგონო, ფხიზლად იქნებო!
- მტერი რომ არ გყავდეს, პირის გატეხვით მაინც ნუ გაიჩენო.
- მტერი შინ არ შემოუშვა, მის ჭკუაზე არ იარო.
- მტერმა მტრის ამბავი არ იცის, თორემ მასთან ბრძოლა არ გაუძნელდებაო.
- მტერს არ დაუთმობს ქართველი არც ერთსა გოჯსა მიწისას.
- მტერს — გობითაო, მოყვარეს — კოვზითაო.
- მტერს ზურგი არ უჩვენო და მოყვარეს — მარცხიო.
- მტერს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
- მტერს ხელი ნუ გიკიდაა, მოყვარეს მოეჭიდეო.
- მტერს — ხმალი, ვაჭარს — თეთრი, წისქვილს — წყალი, გუთანს — ხარიო.
- მტერს ღამეც არ სძინავსო.

- მტერს — ჯოხით, მოყვარეს — ბოხჩითო.
- მტერსა შვილსა ულოცვიდეო.
- მტვერიც იყარე დიდის გზისაო.
- მტრედს თავისი სიმშვიდით ნისკარტი მოსჭრესო.
- მტრისა შინა ყოლასა, ლომისა გზასა ყოლა სჯობიანო.
- მტრობა და მეგობრობა ძმები ერიანო.
- მტყუნმა ცოლი იმოწმაო.
- მტყუნს ტყუილის კარამდი უნდა მიჰყვეო.
- მუზმუზელას ქვეშ ცხრა მაშხალა ანთიაო.
- მულის ტყავი ჩამოუარდა — ცხრა რძალი დაიტანაო.
- მულს ელაპარაკებოდნენ, რძალო, შენ გესმოდესო.
- მუძლო, ფასკუნჯის ადგილი, საფრენად რისთვის გწადიან?
- მუნიანი ცხენი — მუნიან ცხენს მონახავსო.
- მუნჯის ენა — დედამ იცისო.
- მუნჯის შვილი მარტო ჭრი-ჭრის იძახდაო.
- მუნჯმა ჰა დაიძახოს, — მეტი რაღა გინდაო.
- მუნჯს ნუ ალაპარაკებ, თორემ ენიანთან უენოს გაგზდისო.
- მუქთა კუბოში უმაღ ჩაწვება ოღონდ შეკვეთილის საფასურს ნუ გადაახდევინებენო.
- მუქთა წიწაკა შაქარზე ტკბილიაო.
- მუქთად — პურს არავის აჭმევს, ბანს მაინც დაატკეპნინებსო.
- მუქთი ძმარი — შაქარზედ უტკბილესიაო.
- მუშა უნდა მუშაკობდეს, მეომარი მეომრობდეს.
- მუშამ იჯაჯროს სიგრძე დღისა და სიცხე მზისაო.
- მუშას — საჭმელი, მუქთას — არაფერიო.
- მუშკი და სიყვარული, არ დაიმაღლებაო.
- მუცელი მუცელს არაფერს არგებსო.
- მუცელი ჩემს ქვევით არის, ჩემს ზევით ზომ არაო?
- მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორია!
- მუცელს თუ აჰყევ, ხეზე გაგიყვანსო.
- მუცელში ჩაყრილი და ცეცხლზე დაყრილი, არცერთი არ ჩანსო.
- მუცლად მშიერმა აჯობა ტანად ტიტველსაო.
- მუცლის ტკივილის წამალი ტკივილის დროს მონახეო.
- მქმნელი ყოფილიყავ, კარს უკან დაიმაღლებოდიო.
- მღვდელი რომ მაგრად გამოძდა, დიაკვანს დაახველაო.
- მღვდელი რომ იყო, რა მალე გამომიყვანდი წირვასო.
- მღვდელი რომ იყო, უზიარებელს მომკლავდიო.
- მღვდელი რომ წირვას დაიწყებს, მოლოზონს მაშინ მოუნდება ბერ-ტყვაო.

- მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო.
- მღვდელმა თქვა: დიაკვანს პური შიაო.
- მღვდელმა უძაღლო სოფელი ნახა და უჯოხოდ გაიარაო.
- მღვდელი, მოწმე ვინა გყავსო და დიაკვანო.
- მღვდელი, რძლები გიჩივიანო; რას მიჩივიან ეგ უნამუსოებით და, — აი, სწორედ მაგასაო.
- მღვდელს ალილუია შეეშალაო.
- მღვდელს ჰკითხეს: მოწმე ვინა გყავსო და დიაკვანო.
- მღვრიე წყალში თევზის ჭერა ადვილიაო.
- მღვდელს პური შიოდა, დიაკვანს — კიდევ უფროო.
- მღვდელს ჭილოფშიაც იცნობენო.
- მყეფავი ძაღლი სჯობია, — მომპარავს, ჩუმაღ მკბენარსაო.
- მშვიდი სასუბრისას თვალებს არ აბრიალებენო.
- მშვენიერი ხარ ხოხობო, ბოლო რომ გამოგიჩნდებო.
- მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული.
- მშიერი მგელი ხარბ კაცზე უფრო მშვიდიაო.
- მშია, მშია, კატა მქვია, რომ გავძლები — როსტომიო.
- მშიერ დათვის რა ათამაშებსო?
- მშიერ ქათამსა, სიზმარში, სულ ფეტივი ელანდებო.
- მშიერი დამშეულს უბეს უსინჯავდაო.
- მშიერი კაცი ქვას გაკვნეტსო.
- მშიერი პურსა აქებდა, უმსა და უმარილოსაო.
- მშიერი ძაღლი პატრონს უკბენსო.
- მშიერს ნამცეცები ვერ გააძღობსო.
- მშიერს ჰკითხეს: ყველაზე მძიმე რა არისო და მშიერი მუცელიო.
- მშიშარა კაცი დღეში რვაჯერ კვდებო.
- მშობელმა შვილი დატუქსა და კარგი გამოადგაო.
- მშობელთა შვილი უწვრთელი, აროდეს მისცემს ღხენასა.
- მშობლების ერთგულ შვილს ღმერთიც ეხმარებო.
- მშობლიური კერაც ტკბილია და ენაცო.
- მშობლიური ჩემო მიწა, გიცავდი და კვლავ დაგიცავ.
- მცირე სოფელში გზირი ხშირად მოდისო.
- მცოდნე ჭკუადამჯდარია, უვიცია ბრიყვზე ბრიყვი.
- მცოდნეს ვერარა ძალა ვერ მოდრეკს და ვერ წააქცევსო.
- მცონარა ადგა და აღარ დადგაო.
- მცონარობითა და ტახტზე კოტრიალით ოჯახი არავის ურჩენიაო.
- მცხეთას ძაღლმა კაცი დაგლიჯა და ქალაქს მოეკლათო.
- მძიმე — ქვასაც გაუხარდება, მსუბუქი — ბუმბულსაც ეწვინებაო.
- მძინარე დათვის თაგვები სამარეს უთხრიდნენო.

- მძინარეს გველიც არ უკბენსო.
- მწარე თუ არ გიჭამია, ტკბილს გემოს როგორ გაუგებო?
- მწვერისაგან მოღლილი კურდღელი — მეძებარმა დაიჭირაო.
- მწიფე პანტა დათვისააო.
- მწიფეს ესროდნენ, კუხე ცვიოდაო.
- მწიხლავს წინ დაუდგებიან, მკებენარს — უკანაო.
- მწოლიარე ლომს, მაწანწალა მეღამ აჯობაო.
- მწუხარება კაცს ასალკლდევებსო.
- მწყემსს ერთი დღე შეხვდა და ისიც ავღრიანიო.
- მჭადი კარამდე, ქერი მთამდე, წმინდა პური — გადავლამდეო.
- მჭადიჭამიას — მჭადი და დოსჭამიას კი დო აგონდებოდაო.
- მჭადი — ჭამამდე, ფაფა — კარამდე, პური — მთის გადაღმამდეო.
- მჭედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს ბაღდადიო.
- მჭედელს დანა არა ჰქონდა, ფეიქარს — ხელსახოციო.
- მჭედელს დანა ვინ მისცაო?
- მხდალ ნიჭს, უნიჭობა სჯობიაო.
- მხოლოდ ბრძენკაცებს მტრობენ მეფენი.
- მხოლოდ ზარბაზანი ომის ბედს არ წყვეტსო.
- მხნე ყველგან პატივს იშოვის.
- მჯობს მჯობი არ დაეღვეაო.

## 6

- ნაადრი შვილი — პატრონსა, ნაგვიანები — ბატონსაო.
- ნაარში არავის შერჩებაო.
- ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო.
- ნაგაფზე ამოსული სოკო დიდი გაიზრდება, მაგრამ მალე წაიქცევაო.
- ნაგიჟარს წარსული სიგიჟე არ მოაგონო, თორემ უფრო გაგიჟდებაო.
- ნადირი მონადირეს ეტანებაო.
- ნადირი — უღვეარსაო.
- ნავსის ნაშენ ხიდზე გაულას, წყალმა წამიღოს, მირჩვენიაო.
- ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდაო.
- ნათლიავ, კოჭლი ცხენით მოვედი და ვერა მოგიტანე რაო; ვერცა რას აქედან წაიღებ, შენი კოჭლი ცხენითაო.
- ნათლიავ, შენსას ჩემი მირჩვენია და სხვისას — შენიო.
- ნათლიის ბანზე არ გადაივლიანო.
- ნათლულს ნათლიის სამსახური არ მოსწყინდებაო.

- ნათლიღების წინაღღეო, ნუ გგონია კვირაღღეო.
- ნათხოვრის გამნათხოვებღელი, ბრიყვზე უბრიყვესიაო.
- ნათხოვარი ათხოვეო, სული ისე აცხოწეო.
- ნამღღევი მღღლისა არისო.
- ნამღღილი მნატვარი ყოველთვის გადაუხდის აბორტის საფასურს მენატურღ ქალს.
- ნამღღილ ქართველს არ სწევეია მტერთან ზავი, ღღაღთან თეღღემა.
- ნამუსიცი კარგი საქონელიაო.
- ნანახი სჯობს ნაქებსაო.
- ნარეცხის ნარეცხმა, კუროს პერანგი გარეცხა.
- ნარიმანა მეღღღეო, უკეთესი მეგონეო.
- ნასწავღი კაცი სოფღღისთვის მარგია, უსწავღელი კი — ბარგო.
- ნაქებარმა ძაღღმაო, ნიახურს გადააფსაო.
- ნაქები ქოთანი აღრღე გატყღებაო.
- ნაღღი შეღღი ღღეღ-მამას მოკრძაღღებით ეღღაპარაკება.
- ნაყიღს გემო არა აქკსო.
- ნაჩუქარ ცხენს კბიღი არ გაეისინჯებაო.
- ნაცარქექია კერის ძირში გახეღღაო.
- ნაცარქექია ცხენიღან ჩამოვარღა და მაინცი უნღა ჩამოუსულიყავიო.
- ნაცარქექია ღონეს იქაღღაო.
- ნაცნობი ციებ-ციხეღღებაც კი კარგიაო.
- ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა.
- ნახო, ნუ გიხარია, დაკარგო, ნუ იტირებო.
- ნაჯახის დამკარგაღმა უბეშიცი ჩაიხეღღოსო.
- ნეღა წახვალ, უბეღღურება მოგქწევა; ჩქარა წახვალ, უბეღღურებას მიეწევიო.
- ნეღი სვღღით, ჭკუით, ჩვენ წავალთ შორს.
- ნემსი ჯერ შენ იტაკე და მერღე სხვას ატაკეო.
- ნემსით გზას არ ზომავენო.
- ნემსის მყიღღეღი ბათმან რკინას კითხუღღობღაო.
- ნემსისოღღენა ჭუჭრუტანაში, ერთი ურეში სიცივე შევავო.
- ნემსის ქურღღობას, აქღღემის ქურღღობა სჯობიაო.
- ნემსს და მახათს, მუშტი არ შემოეკერისო.
- ნემსში მახათს გამოიყვანსო.
- ნეტა თხა იყოს, წყვიღღი მოიღღოსო.
- ნეტავი ასი დამკრან და ერთი მართაღღი მათქმეღღინონო.
- ნეტავი მას, ვინცი მოითმენს; ვაი იმას — ვინცი არაო.
- ნეტავი, როგორცი ავი ღღარი კარგად იქცივა, ისე ავი კაცი კარგად გადაიქციესო.

- ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს, როცა ჭირია.
- ნეტარ რა ქმნას უშენოდან გულმან, შენგან დაღახვრულმან.
- ნებვს რაოდენსაც გაჰქექაჲ იმდენი აყროლდებო.
- ნისია სხვისიაო.
- ნისიად ნაყიდი ღვინო, ორჯერ მეტად ათრობსო.
- ნიახურმა თქვა: ვაი კბილს და ნეტა მუცელსაო.
- ნიკორა გაატყავეს, რატომ დედა არ გყავსო.
- ნიორი კაცს სძულდა და ცხვირში ატენიდნენო.
- ნიორმა ერთი წელი თავი მიწაში შეინახა და აჟმა რძალმა ოჯახში — ვერაო.
- ნიორმა თვისი სიმყრალე, ძმარშიც კი, დიდხანს მალაო.
- ნიორმა თქვა: გიორგობის თვეს ჩამასწარ და მკათათვეს ამომასწარო.
- ნიორმა თქვა: ნეტა იმ კუჭსა, სადაც მე ჩაუალ და ვაი იმ პირსა, რომელიც მე შემჭამსო.
- ნიორმა რომ პირი დაგწვას, მაშინვე აყროლდებო.
- ნივრის სიმყრალე ძმარმა სამი წელი ინახაო.
- ნიჩაბი და ფიწალიო — მე ვედარას ვისწავლიო.
- ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა.
- ნუ აფურთხებ ჭაში — აიზიზღებ სმაში.
- ნუ აფურთხებ ჭაში, თორემ ისევ მოგწყურდებო.
- ნუ გენაღვლები სწავლაზე ყრმის წკაპლის ცემით კივილი.
- ნუგეში თავმოჭრილ მკვდარსაც ეთქმისო.
- ნუ გეშინის სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა.
- ნუ დაენდობი სოფელსა, სოფელი ჭრელი გველია.
- ნუ დაძვირდები ტყავს იმ დათვისას, რომელიც ჯერ არ მოგიკლავსო.
- ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.
- ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.
- ნუ დაუყრი ღორს მარგალიტს.
- ნუ დაპირდები ქალბატონს იმ დათვის ტყავს, რომელიც ჯერ არ მოგიკლავსო.
- ნუ ენდობი მოსულსაო, ქალს დაგიტოვს ორსულსაო.
- ნუ ერწმუნები შენს ღვიძლსა ძმასა, ერწმუნე მხოლოდ შენს ელამ თვალსა.
- ნუ ეძალები წყალდიდსა, გირჩევ მოძებნო ფონიო.
- ნუ იამაყებ, თუნდ იყო ცხრათაჲ ბაყბაყ დევია.
- ნუ იტყვი, ის რას დამაკლებს, მე ვარო მძლეუთა მძლევია.
- ნუ იქმ ავსა და ავისაც ნუ გეშინიაო.

- ნუ მოჰკვებ შეილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.
- ნუ მიენდობი ვაჟკაცსა, ტყეში გაჭრილი მგელია, დილას მოგიჭერს ენასა, საღამოს ჭრული გველია.
- ნუ მისდევ ლამაზ პეპელას, გულს დაგწვევტს, გაგიფრინდება.
- ნუ მპირდები ცაში წეროს, მომეც ხელში ბელურაო.
- ნუ სცოდავ და ცოდვილიც აღარ იქნებიო.
- ნუ სძლები სხვათა რძითა და ნუ იმოსები მატყლითა.
- ნუ შეგაშინებსო, არ გაუნებსო მთიდან ყვირილი ხარისა.
- ნუ შეზავალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო.
- ნურა გინდა რა ეშმაკის, ნურც თვით ეშმაკი, ნურცა-რა.
- ნურა კაცი დაიკვების — ქვეყანაზე ერთი ვარო.
- ნურც დამძრახვენ და ნურც შემებრალებენო.
- ნურც ეშმაკს დამანახვებ და ნურც პირჯვარს დამაწერინებო.
- ნურც იფიცებ და ნურც აფიცებო.
- ნურც მომიტებ მჭადსა, ნურცა მომტებ ყბასა.
- ნურც შემომფხან, არც შემოგფხანო.

## ო

- ობლის თვალი ვერ გაძლებაო.
- ობლის კვერი ნაცრიანიაო.
- ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვაო.
- ობოლი გაზრდას მოელის, ღარიბი — გამდიდრებასა, ყმაწვილი გოგო და ბიჭი — ერთმანეთისა კოცნასა.
- ობოლო, ვის ავინებ და ვინც გამზარდაო.
- ობოლსა ჰკითხეს, რომ გაიზრდები, რას იზამო? — ვინც გამზარდა დედას ვუტირებო.
- ობოლს ერთი კვერი ხვდა და ისიც გატეხილიო.
- ობოლს კვერი ეცოტავებოდა, ისიც შუა გაუყვესო.
- ობოლს კვერს ბევრი ჰპირდება, გამომცხოზი კი არ ჩანსო.
- ობოლს ხელში კვერი ეჭირა, ჭამდა და მაინც იძახდა — პური მშიანო.
- ოდეს მამერალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა.
- ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად.
- ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ.
- ომიანობა რომ არ ყოფილიყო, გამარჯვებას პატოვი არ დაედებოდაო.
- ომიანობა ზოგს ააშენებს, ზოგს გადააშენებსო.

- ომს ომი უხდება, ომობანას თამაში რა შუაშიაო.
- ომს ტყვია კი არა, ჭკუა-გონება და სიტყვა იგებსო.
- ომს ჯარისკაცები იგებენ და გენერლები იბრალებენო.
- ომის დამწყებმა ომის გამარჯვებით დამთავრებაც უნდა იცოდესო.
- ომით დაკარგულს ომითვე იბრუნებენო.
- ომით წართმეულს ომით დაიბრუნებო.
- ომში ნაცადი ხმალისა, იმედი გქონდეს სახლშიო.
- ომში რა სჯობიაო და რაც ხელში მომხვდებაო.
- ორაგულის მდომელსაო, ტანიც სველი გქონდესაო.
- ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ესა მცემდა, ხან ისა.
- ორი თავგატეხილი კოდალა, ერთმანეთს შესწიოდაო.
- ორი კაპეიკიც, ჩემთვის, კარგი მწვანილიაო.
- ორი კაცი — ერთ კაცზე, უკვე ლაშქარიაო.
- ორი კაცი თუ გეტყვის მთვრალი ხარ, უნდა დაიჯეროო.
- ორი კაცი — უკვე სოფელიაო.
- ორი კურდღლის მადეგარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.
- ორი პურაძვირი კაცი, ერთმანეთისა ბაძვითა, შიმშილით დაიხოცაო.
- ორი სახლი და ერთი ბოძიო.
- ორი ქაჩალი, ერთმანეთს, საფარცხლისთვის წაეკიდაო.
- ორი ქაჩალი საფარცხლისთვის ჩხუბობდაო.
- ორი ქურდი დღე ჩხუბობდა, ღამე ამხანაგობდაო.
- ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო.
- ორი შაური მუშასა — ამ დღეს მას არა უშავს-რა.
- ორი შაურის მუშამა, აჯობა — მანეთიანსო.
- ორი ძმა, ერთად, ქორწილშიც არ წაისვლებაო.
- ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო.
- ორი ხელის ჭირიმე და ერთი — პირისაო.
- ორნი ძმანი ერთმანერთის ჭირიც არის, ლხინიცაო.
- ორმა იცის — ღორმაც იცის.
- ორმა რომ გითხრას ბრმა ხარო, თვალებზე ხელი აიფარე, თავი დაღუნე და გამობრუნდიო.
- ორ მოდავე რეგვენს შორის მამაღმერთიც უძღურია.
- ორმოში დამალულ კაცს კატაც ვერ დასჭყავლებს და ხეზე გასულს კი — ძაღლებიც უყეფენო.
- ორმოში დამპალი თოკით არ ჩაისვლებაო.
- ორმოცი წლის კაცი რომ ჩონგურის სწავლას დაიწყებს, ის საიქიოს დაუკრავსო.
- ორშაბათი გაცდებოდეს — კუჭი მაინც გაძღებოდესო.



- ორი ძიძის ხელში ბავშვი დაიბრჩო.
- ორ ძაღლს ლომის დაფრენაც შეუძლიაო.
- ოსმა ასი წლის შემდეგ სისხლი აიღო და რა მეჩქარებოდაო.
- ოსმა რომ საქურდავი ვერა იპოვა რა, თავისივე ერთი ჯიბიდან მოიპარა და მეორეში ჩაისრიალაო.
- ოსო, ოსო, ოსურაო, ტყეში თოვლი მოსულაო.
- ოსტატი მელა, შუადლით, ოთხით მახეში გაება.
- ოფიტარას — ოცი გლეხი, ოცდახუთი — ხელოსანი.
- ოქრო იქ ფასობს სადაც იჭრებაო.
- ოქრო პატარაა, მაგრამ დიდი ფასი აქვსო.
- ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირიო.
- ოქრო ძმის დამკარგავს, ოქრო შესძულდაო.
- ოქრო ძმის დამკარგავს, სიცოცხლე ჩირადაც აღარ უღირსო.
- ოქრო უხელოა, მაგრამ ყველაფერს აკეთებსო.
- ოქროს ამოტყუებებით, სამართალი იძირება.
- ოქროს ანკესი ყველანაირ თევზს იჭერსო.
- ოქროს ქალამანი რომ გეცვას, მაინც ქალამანიო.
- ოქროს ჩაქუჩი ცხრაკლიტულს აღებსო.
- ოქროს ყადრი ოქრომჭედელმა იცისო.
- ოქრო წყალშიაც არ იძირებაო.
- ოქროში ჩამჯდარი ბრიყვი ბრძენკაცობას ამოღ იბრალვებდაო.
- ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ, აზრი როგორც გსურთ ისე დანაყეთ.
- მოგკლეს უბრალო ბრალითა, ქვეყანა შეარყიესო.
- ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?
- ოხერი ცხენი, ოხერი ქერიო.
- ოჯახი გაქებს, ოჯახი გაგინებსო.
- ოჯახი ვისიაო და ვინც მოიხმარს, მისიაო.
- ოჯახი მსუქანიაო.
- ოჯახი ფუძემეგარი, ჭერმაღალი და წელგამართული უნდა იყოსო.
- ოჯახს უფროს-უმცროსობის მაღლი აძლიერებსო.
- ოჯახის სიძლიერე შვილების თვინიერებაშია.
- ოჯახის სიმდიდრე კატითა და ძაღლით იცნობაო.
- ოჯახის სული და გული ქალია.
- ოჯახის ურჩი გზას ვერ გაიკვლევსო.
- ოჯახის უფროსს ყველა ემორჩილებაო.
- ოჯახის უფროსის სიტყვას ემორჩილებიან და ანგარიშს უწვევენო.
- ოჯახის ძლიერება ქალის ჭკუაზე და კაცის ჯიბეზე ჰკიდიაო.

- ოჯახის ძლიერება ყველა ჩვენგანის ერთობაზე ჰკიდიაო.
- ოჯახობა ვისიაო? ვინც მოუვლის, მისიაო.
- ოხვრა არის შვება უბედურისა.

### 3

- პაატაჲ, ბანი თქვი და ქუსლი მტკიჲა, ბატონოო.
- პავლემ უთხრა მაკრინესო — შენი საქმე მაკვირვებსო.
- პანღური მეტკინება და არ მეწყინებო.
- პაპაჲ გიყვარდა ძილიო — დაწექ და დაიძინეო.
- პაპის ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოჰკვეთა კბილი.
- პარასკევი ხუთშაბათზე წინ, ვის სმენია, ვის მოსწრიაო.
- პარკით პურს ნუ მომპარაჲ და გოგრიოთ — ღვინოსაო.
- პარტიები ერთმანეთთან ჭიდილს ვერ აუდიანო, ქვეყანა კი დარჩა მარტო, ხმა ვერ ამოუღიაო.
- პატარა არის ბეწვი, მაგრამ კაცს გულის ურევსო.
- პატარა ეშმაკი დიდ ეშმაკს ატყუებდაო.
- პატარა ეშმაკმა, დიდი ეშმაკი აცდუნაო.
- პატარა ვიყაჲ, დიდისა მეშინოდა, დიდი გაუხდი და პატარისა მეშინიაო.
- პატარა კაცმა დიდი მთა გადაიარაო.
- პატარა კაციც ხედავს დიდ სიზმარსო.
- პატარა კაცსა გული ყელში ეაბჯინებო.
- პატარა მელა დიდ მელას ატყუებდაო.
- პატარ-პატარაობითა — პატარძალი დაორსულდა.
- პატარა სიტყვა ლაპარაკში გაიზრდებო.
- პატარა ჭიაკოკონა ყველა ოჯახში ანთია.
- პატარძალი ბუოდაო, ისევე თვითონ სტყუოდაო.
- პატარძალი სტყუოდა, ისევე თვითონ ბზუოდა.
- პატარძალი სტყუოდა და დიდ მაყრებს უწყრებოდაო.
- პატარძალი უარს იყო, ღორის ხორცსა არა ვჭამო; რომ შეჭამეს, გაიბუტა, წვენი მაინც გეჭმიათო.
- პატარძალმა დედამთილს მახათი აბგერა და, — ვაი, ეს რა დამე-მართაო.
- პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა, აქაოდა, ბაკი ბრუნდებო.
- პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა, ეზო მრუდებო.
- პატარძალს ფაფის ჭამა უყვარდა და ქვაბის გარეცხვა არაო.
- პატოვი თავს არ დაკარგავსო.

- პატევს ნურც ითხოვ და ნურც მოითხოვო.
- პატევს უთქვამს: ერთს ორად ვერ ვაქცევ, მაგრამ ერთს ისე გავხდი, ოთხს დავამჯობინებო.
- პატევს უთქვამს: ერთს ათასად ვერ ვაქცევ, მაგრამ ერთს კი ათასს დავამჯობინებო.
- პატევისცემა კარგი კაცისათვის პატეია და აუკაცისათვის — პატიჟიო.
- პატემოყვარეობა ანგარებასთანაა წილნაყარიო.
- პატემოყვარეობა თავმოყვარეობასთან რა მოსატანიაო.
- პატიოსანი ძალღი ქალს არ შეუყვფესო.
- პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქული.
- პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩონა აცვიაო.
- პატრონი წანაღებსა ჩიოდა და მგელი — დანაგდებსაო.
- პატრონმა როგორც გითხრას, ვირი ისე დააბიო.
- პატრონს — გამარჯვებაში, მუშას — მშვიდობაშიო.
- პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების.
- პაწა ძღვენო, სად მიხვალ? — საიდანაც დიდს მოველიო.
- პენსიების მატებაო, მაჟანს არ ემეტებაო.
- პენსიონერს რაო? — რაო, რაო, რაო.
- პეტრეს დაახომეს და პავლეს შეუკერესო.
- პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გქწვისო?
- პირდაუბანელი და — ძმასაც არ ეჩვენებაო.
- პირველად იყო სიტყვა და, სიტყვა იგი, — იყო ღმერთი.
- პირველ მასწავლებელს არაუინ იფიწყებსო.
- პირველი ბედი ბედია, მეორე — მოგონებაო, მესამე — ვირზე შაჯდომა, მეოთხე — გაჭენებაო.
- პირველი სამოსახლო წყალიაო.
- პირველი ხელი ეშმაკისააო.
- პირველი პური კუტიაო.
- პირველობის მოტრფიალეს ქორწილში სიძეობა სურს, ჭირში — მიცვალებულის ადგილიო.
- პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?
- პირს, მუწუკიც მოერიდებაო.
- პირს პირისა რცხვენიაო.
- პირში — ღუმა, ყელში — დანა.
- პირში მაქებარი ეშმაკის მოციქულიაო.
- პირის გამაჯსებელი, ძმაზე უკეთესიაო.
- პირობა კაცს ცოლს წართმევს.
- პირობა კაცს — ცოლს წაჰგვრისო.

- პურადი კაცი მამაცზე სამი გაფრენით მეტია.
- პურადი კაცის სასწორი, მუდამ წონაში მეტია.
- პურადვირი თუ ერთი გამხიარულდა — გულუხვსაც გადაატარებდა.
- პურადვირი კაცის მარილი მეტი იხარჯებოდა.
- პურადვირას ერთი პურით მეტი ეხარჯებოდა.
- პური ატენე ბერიძე, მაგ დამთვრალ ხვესურს ერიდე.
- პური და ღვინო — გვალვისაო.
- პური და ღვინო სტუმარსა, წავა შინ მოაგონდება.
- პური და ღვინო ძველი სჯობს, ტანისამოსი — ახალი.
- პური ვჭამე და წყალი ვსვი, ახლა მომეცა ხალისი.
- პური მეპურემ გამოაცხოსო.
- პური პურიჭამის შემდეგაც დაგჭირდებაო.
- პური ქართლისა, ღვინო — კახისა, ყველი — თუშისა, ერბო — ფშავისა.
- პურს რომ გთხოვენ ქვას ნუ მისცემო.
- პურს ქადაში ვერ არჩევსო.
- პურისმცხობელის მოსამსახურე და ძალლი მშვიგრები დარჩებიანო.
- პურისჭამის დროს ძალლიც გაჩუმდებაო.
- პურისჭამის დროს ძალლსაც არ გალაზავნო.
- პურმა თქვა: მე პირს არ ვძებნი, თუ თვითონ არ მომძებნაო.
- პურმარილი, ბატონსაც კი, დამიჯერე, ყმად გახდისო.
- პურმარილის დასწავლა ქვამაც კი იცისო.
- პურმარილის დასწავლა ძალლმაც იცისო.
- პურმარილის შენახვა ქვამაც იცისო.
- პურმარილს ნურც ფეხს ამოჰკრაჲ და ნურც გაეცქვიო.
- პურს რომ გთხოვენ, ქვას ნუ მისცემო.
- პწკენა-პწკენაში პატარძალი დაორსულდაო.

## უ

- ჟამისა შეყრა სჯობია, ავის ცოლ-ქმარის შეყრასა.
- ჟამიანობამ სოფელი გადაიყოლაო.
- ჟანგი რკინას ჭამს, კაცის გულს — დარდიო.
- ჟანგი რკინას ჭამს და დადარდი — გულსაო.
- ჟანგმა თქვა: ვიდრე რკინას შევჭამდი, დარდმა გული ათასჯერ შემეჭამაო.
- ჟინი თუ გაქვს ცხოვრებისა, კვალს დატოვებ ქონებისას.
- ჟინი საქმეშია კარგიო.
- ჟინი სხვაა, ჯინი სხვაა.
- ჟინი და მაძიებლობა წარმატების საწინდარიო.

- ჯინი დაუოკებელია კარგი, არც შენ მოგასვენებს და არც საქმეს რამეს დააკლებსო.
- ჯინიანი კაცი ცხოვრებაში ბევრს წააგებსო.
- ჟინიანობა და ჯინიანობა — სულ სხვადასხვა რამ არისო.

## რ

- რა აქიმი დასწულდეს, რაზომ გინდა საქებარი, მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყობარი.
- რა გზასაც დაჟადექი, ხალხიც ისეთი შემხვდაო.
- რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ურჩევნია სხვისა.
- რა დამიდე ხელზედაო, რა წაგისვა წვერზედაო?
- რა დროს ძილია, ჭაბუკო, მტერი კარზეა მომდგარი.
- რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს.
- რა ვქნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი.
- რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ვერცა ბნელია.
- რა ზღვას დაუხრჩვივარ და რა ცვარსაო.
- რა თვალის მატყუებს, ის თვალისც დაიხსოსო.
- რა კაცსა საკერებელი ჰქონდეს, დარიბი არ ეთქმოდესო.
- რა მათხოვრის ჯოხივით მომადექიო.
- რა მკვდარი, რა შინმოუსვლელიო.
- რა რომ ბოძი წაიქცევა, სახლიც მაშინ დაიქცევა.
- რა საჭიროა ჭოგრიტი, როცა სოფელი ახლოა.
- რა ტოტზეც ზის, იმას სჭირისო.
- რა ურემიც შეშას ვერ მოიტანს, შეშად იქცევაო.
- რა ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო.
- რა ხელ-პერის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული.
- რა ჯილაც შობლებს დაადგი, იმას დაგადგამს შეილიო.
- რა ჰქნას კარგმა მენარდემამ, დროზე შაში თუ არ მოვა.
- რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.
- რაცა შენ ჰქმენ არ უქმნია არც გამზრდელსა, არცა ზრდილსა.
- რად ემდურვი საწუთროსა, რა უქნია უარაკო?
- რად მინდა, ქვეყნის დასაცინი თავი მეტასო.
- რად უნდა ეხვეწებოდეს ბიჭი რეგვენსა ქალსაო, წყეული არი დია-ცი, გაიხვიადებს თავსაო.
- რადგან ჯიბეში ფული მაქვს ბევრი, მონაა ჩემი დათვიც და ბელიც.
- რად მინდა ოქროს საკანი, შიგ სისხლი ჩამოდიოდეს.
- რამაც გაგაჩინა, იმან დაგარჩინაო.

- რამ გაგამწარა, ბედშაჟო, რად მტრობ ალალს და ბრძენსაო.
- რამდენია ალიანსი, პარტია და ქარტიაო, რომელია ხალხისა და ქვეყნისათვის ვარგაო?
- რამდენი ვირიც ვიყიდე, ყველა ყროყინა გამომადგაო.
- რამდენიც დედას გაუარდა, იმდენი ნახირს შემატდაო.
- რამდენიც ქოთანო, იმდენიც სარქველიო.
- რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა?
- რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა.
- რას მატყუებ, სარქისაო, აგრემც ღმერთი გაგზრდისაო.
- რას მოიწყინე სტუმარო, დღესა წვიმს, ხვალე ღარია.
- რას სწერები, რატომ ბუზღუნობ, იმ უყმო ბატონიოთა.
- რას ფიქრობ, წინ-წინ ნუ იტყვი, საქმემან გამოგაჩინოს.
- რასაც ააგრიალებო, იმას ჩააგრიალებო.
- რასაც ავი ქალი გასწევს, იმას უღელი ხარ-კამეჩიც ვერ მოერევაო.
- რასაც ბატონი იკადრებს, გლენს არ დაესიზმრებაო.
- რასაც გაასესხებ, იმას ჩაისესხებო.
- რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო.
- რასაც ეძებდე, იმას ჰპოვებდეო.
- რასაც ვერ შესწვდები, ნულა შეეპოტინებიო.
- რასაც ვირი აიკიდებს ტვირთად, მისი როდიაო.
- რასაც ვირი ეწეოდა, ორ იმდენს — ვირის პატრონიო.
- რასაც კბილს დაადგამენ, ვეღარ იხარებსო.
- რასაც რომ კაცი თავს უზამს, მტერი არ მოეკიდება.
- რასაც მოიგებ, ბოლოს გაიგებ.
- რასაც მოიგებ, იმასაც ვნახავო.
- რასაც რომ თვალი დაადგეს, წელში ვერ გაიმართაო.
- რასაც რომ სხვისთვის იმეტებ, თავად შენ გადაგზდებო.
- რასაც კბილი ჩემი არ მოხვედრია — არც მუცელი, ჩემი, გაუძლიაო.
- რასაც ჩაუთქვამ სხვისთვისო, იმას მიიღებ წვეილ-წვეილსო.
- რასაც ჩემი ხელი არ მოხვდა, არაფერი გამომივიდაო.
- რასაც ხელზე დამისხამო — წვერზეც იმას წაგისვამო.
- რასაცა გასცემ შენია, რას არა — დაკარგულია.
- რადაა იგი სინათლე, რასაცა ახლაუს ბნელია?
- რადაც მინდა სიცოცხლეზე მეტი, მე მაფიქრებს საქართველოს ბედი.
- რაც აღხანა, ის ჩალხანა.
- რაც არა გწადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.
- რაც არ გერგება, არ შეგერგება.

- რაც არ ეცვა მამაშენსა, ნურც შენ დახვე მარმამშესა.
- რაც არა ვშობე — შვილი არ იყო, რაც არ გაგზარდე — ყმაო.
- რაც არ გეგონოს, იგი მოხდებოდესო.
- რაც არ დაწვა, არ ადგაო.
- რაც არ მიხდება, არ წამიხდებაო.
- რაც არ დაიბადება, არც კვდებაო.
- რაც არ უნდა გონჯი იყოს, სხვისი ცოლი ლამაზია.
- რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მისდისაო.
- რაც გტყენს, ის მოგარჩენსო.
- რაც გეჯავრებოდეს, ის გეძალებოდესო.
- რაც გინდა მომეც, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ნაბადიო!
- რაც დედამთილი, ის რძალიო!
- რაც რომ თხამ უქნა თრიმლსაო, ის თრიმლმა უქნა თხის ტყავსო.
- რაც ითქმოდესო, ქარს მიჰქონდესო.
- რაც იბადება, კვდება კიდევაცო.
- რაც იყო, ვნახეთ, რაც იქნება — ვნახეთ.
- რაც ვნახე, ვეღარა ვნახავ, რაც უნდა ვნახო — აღარ მაინტერესებსო.
- რაც კაცს ეჯავრება, ის ღორს ეამება.
- რაც მგელმა ცხვარს დააკლო, დააკლო, რაც არა და მწყემსმა უარესი უყოო.
- რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.
- რაც მოსასვლელია, ისედაც მოვაო.
- რაც მოხდეს, სოფელს გადახდეს.
- რაც სახელია — სახრავი არ არის.
- რაც სელის დათესვაზე ითქვა, ის ითქვა მოგლეჯაზეცო.
- რაც უნდა ჰქნას თვალმაო — წარბს ზევით ვერ წავაო.
- რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები.
- რაც უფრო ჩქარობ, მით უფრო გაგვიანდებოდესო.
- რაც შეეჭამე, ის შემრჩაო, რაც არა და ის დამრჩაო.
- რაც შენთვის არ გსურს, სხვასაც ნუ უსურვებო.
- რაც შენის ყურით არა გსმენია, იმას ნურც იტყვი და ნურც გრცხვენია.
- რაც შეშვენის გლაზა ბერსა, არ შეშვენის კახაბერსა.
- რაც ცოლს არ უყვარს, ქმარი თავის დღეში ვერ შეჭამსო.
- რაცა ვის-რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს.
- რაცა ვჭამე ძველადაო, ჩამიშხამეს ხელადაო.
- რბილად დამიგეს, ხმელად მეძინაო.
- რგვა და მოყვანა ხილნარს აშენებს, შვილების დაზრდა — ოჯახს

ამშვენებს.

- რეგენი ბრძენზე ბრძენია, თუკი ის გამოცდილია.
- რეგენი საქმეს წახდენს, ფათურაკს დააბრალებსა.
- რეგენ კაცს ჭკუა თვალში აქვს და არა თავშიო.
- რეგენმა შვილი მოჰკლა, დაჯდა თვითონვე იტირაო.
- რეგენს — ნაჩუქარი მუქთა ეგონაო.
- რეგენს რამე ასწავლო — კედელს ცერცვი აყაროო.
- რთველში ძალსაც მოხდიან კონკილასაო.
- რისი ცნობაც არ იყო, მისი ფასიც არ იყო.
- რკინა იწრთობა ცეცხლითა, კაცი კი — გაჭირვებითა.
- რკინა რკინით დაიჭრება, კაცი — კაცითაო.
- რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამსო.
- რკინას ჟანგი სჭამს, კაცის გულს — დარდო.
- რკინას ცეცხლი აწრთობს, ადამიანს — განსაცდელიო.
- როგორაც მოხვალ სვინაო, ისევე წახვალ შინაო.
- როგორიც ალაგო, ისეთი ჯალაბიო.
- როგორიც არის ქარხანა, ისეთივეა თარხანა.
- როგორიც ერიო, ისეთიც ბერიო.
- როგორიც ბერიო, ისეთიც ერიო.
- როგორიც ტყე იყო, ისეთი ნადირი გამოვიდა.
- როგორც ამიტაშტაშდები, ისე დაგითამაშდები.
- როგორც დაიგებ, ისეც მოისვენებო.
- როგორც დამიკრავ ფანდურსა, ისე დაუვული დავლურსა.
- როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდები.
- როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო.
- როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.
- როგორც დაიწყო, ისე დაამთავრაო.
- როგორც ვიგეძე, ისე ვიგეძეო.
- როგორც ვიყიდე, ისე გავყიდეო.
- როგორც ვყიდულობ, ისე ვყიდო.
- როგორც თვალი შორსაო, ისე გულიც შორსაო.
- როგორც მოვა ტარიელი, ისე წავა ცარიელი.
- როგორც მომყიდეს, ისე ვყიდო.
- როგორც პატრონმა გიბრძანოს, ვირი ისე დააბიო.
- როგორც ყველაფერი არ იჭმება, ისე ყველაფერი არ ითქმება.
- როგორც ქუხს ისე არ წვიმსო.
- როგორც შეიძლო, შენს მეფეს ისე ელადადო.
- როდემდე უნდა დაფუდეს მოსახლეობა სულსაო? პასუხად: — გაზაფხულდება, ტყე გამოისხამს ფულსაო.



- როკის გვირაბს რუსი თხრიდა, სამხრეთიდან — ქართველიც, ახლა რუსთან ოსიც ბუქნაგს ოკუპანტის სახელით.
- რომ მოკვდე, სულ ცოტა, უნდა დაიბადო.
- რომელი თითიც არ უნდა მოვიჭრა, სუყველა ერთნაირად მეტკინებაო.
- რომელი მგელიც არ შემჭამს — დიდხანს იცოცხლოსო.
- რომელი გოჯი, მტკაველი, ბლომად წაიღო რუსმაო, არ დაეთმოთ დაუთმობელი, მიწა, განა ხურმაო.
- რომელი მორევიც დამახრჩობს, ყველასთვის ზღვა დამირქმევიო.
- რომელი ძაღლიც არა ჰკბენს, შორიდან იყეფებაო.
- რომელ თვალმაც მოგატყუოს, მოითხარე, გადააგდე.
- რომელ წყალშიც ცურავ, ის წყალი სვიო.
- როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა; ერთხელ სიკვდილი სჯობია, სულ მუდამ დაღონებასა.
- როსტომ თქვა: სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდა, ჯაჭვის პერანგი გავცვიოთ, ახლის აღება გაჭირდა.
- როცა ამდენი დროშა ფრიალებს, შენ რა ჯანდაბა განადგვლიანებს.
- როცა არის თხა — მგელიც არისო.
- როცა გსურდა, მახარეო, სიხარული გახარეო.
- როცა გშია ზაქარია, ხმელა ჭადი შაქარიაო.
- როცა დაუკაცდი — ჭკვას მაშინ აუცდი.
- როცა დიდი ქრისტიანი არად აგდებს პატარასო, ღმერთი მაღლით გაუწყრება, რისხვად შეცვლის წყალობასო.
- როცა ვნახავ ალოსაო, მაშინ გავლექ კალოსაო.
- როცა ოშია, ძამია, რა დროს ლამაზი ქალია.
- როცა ორნი სჯულს განუდგებიან, ერთი სულს განუდგებაო.
- როცა სიტყვა ხშირდება, მაშინ საქმე მცირდებაო.
- როცა კარგი ფუჭდება, ძალზე ცუდი ქუჩდება.
- როცა პური არ არის, ეს თხა მგლისთვის პურიაო.
- როცა ქვეყანაში ცოდვა-მაღლის გარჩევა ჭირს, პატიოსნებას ყველა გზა ეკეტებაო.
- როცა შვილი მამას უსმენს, მისი რაში ცაში რბისო.
- როცა ჩაკრა ცულმა ქვასა, მაშინ მიხვდა გულისხმასა.
- როცა ცოდნით ავსრულდებით, სიტკბოებით დავსრულდებით.
- როცა ძვალი არა გაქვს, ძაღლს ჯოხი მიუგდეო.
- როცა ჯოხი არა გაქვს, ძაღლს ლუკმა გადაუგდეო.
- რუსია თუ თათარია, ოშში ყველა მართალია.
- რუსი ოსთან ერთად ცრუობს, თვალში ნაცარს გვაყრიანო, ქართლში ოსეთს ამკვიდრებენ, ალანიას ადრიანო.
- რუსმა მთლად აიწყვიტა და ბაბაია როდემდის უნდა ვეძახოთ?

- რუსმა ქართველს უნდა უძმოს, სხვა გზა არსით არ არისო.
- რუსის ტანკით კოკოთი ცხინვალს გამოჯეჯილდაო, ალანია დაავიწყდა, ისე გამოდებილდაო.
- რუსის ღუმა საკუთარი ქვეყნისთვისაც ბარგაო.
- რუსის ჩექმა მძიმე არის, უხეში და უჯიშოო.
- რძალსა და დედამთილს შუა — ჩურჩხელა დაიკარგაო.
- რძალ-დედამთილის ჯიბრითა სახლი აივსო წვირითა.
- რძალზე იტყვის დედამთილი: ვაი მე და სხვაი მეო.
- რძით შეშინებული, დოს უბერავდაო.
- რძით ჩაწვეთებული ხასიათი სულთან ერთად ამოხდებაო.
- რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებსო.
- რწყილს ნესტარი დაარტყეს და, — ჭირადაც ეყო და ლხინადაცო.

## ს

- საამო არის საცქერლად, დიაცის უბესავითა.
- სააქაოში სიკვდილი საიქიოში დაბადებას ნიშნავსო.
- სააქაოში დაბადებული სხეული საიქიოში კვდება.
- საბრალოა მხოლოდ სული ობოლი, ძნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი.
- საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს.
- საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად.
- საბრალოს ერთი ფრჩხილი ჰქონდა, ისიც წაგარდაო.
- საბუდრით ამოღებული კვერცხი სჯობს ნაყიდსაო.
- საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე დაიხურეო.
- საბელი გრძელი ჯობია და ენა — მოკლეო.
- საბძელი რომ გქწოდეს, ხელები მაინც გაითბეო.
- საგონებელო წლისაო, საქმევ ერთი წამისაო.
- სად არის მეძნეურები, დაიწვა ხელეურები.
- სად დაჟკარ და სად გასკდაო.
- სად ვესროლე და სად მოხვდაო.
- სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა.
- სადაური სად მოსრულვარ, ვის მივხვდები ვისთვის ხელი.
- სადა ხარ, ღობევ დაბალო, გადაყვევ გადავიარო.
- სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მავარიო.
- სადაც შენი დაიკვეხო, იქაც ჩემი თქვიო.
- სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი.
- სადაც არ იყოს — ცოტაც კმარიყოს.

- სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს.
- სადაც ბალი არ იყო, იქ მაცველის ბარდი თავს — ბაღს ეძახდაო.
- სადაც გაფა გაფაო, თუძოც გაფად გაფაო, სადაც აღარ გაფაო, აღარც გაფა გაფაო.
- სადაც დაბალი ღობეა, ყველა მას გადაქელავსო.
- სადაც ერდო მაღალია, ეგ იმათი მყარია.
- სადაც კი ძალა კარიდან შევა, იქ სამართალი ერდოდან გაფა.
- სადაც კუდი თავია, იქ თავი — კუდიაო.
- სადაც შზე არ შედის, იქ ექიმი შედისო.
- სადაც მინახავს წისქვილი — წყალზედ მინახავსო.
- სადაც მჭამს — იქ არა მფხანს, სადაც მფხანს — იქ არა მჭამსო.
- სადაც ოქრო იჭრება, ფასიც იქა ძევსო.
- სადაც სიკვდილი გიწერვის, ფეხნიც იქ მიგიყვანენო.
- სადაც სინდისია, იქ პატიოსანი სიტყვაც კმარა, სადაც არა — იქ ფიციც ზედმეტიანო.
- სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიხარულიანო.
- სადაც სიხარულია, იქ მწუხარებაცააო.
- სადაც სოფლის ნახირიო, იქაც ბებრის ხბოო.
- სადაც ფული ლაპარაკობს, იქ სიმართლე სდუმსო.
- სადაც ფული ძალად ფულობს, ეკალ-ბარდი თაიგულობს.
- სადაც ყოჩის თავი გაფა, ყოჩის ტანიც გაეტკვაო.
- სადაც შენა ხნავ, იქ მე არ ვთესავო.
- სადაც შევარდენი ბუდობს, იქ მწყერი ვერ გაიხარებსო.
- სადაც ჩიტი გაიზრდება, მისი ბაღდადიც იქ არისო.
- სადაც ძალა ძალით შევა, სამართალი ბანით ავა.
- სადაც წაველ, სულ თან წამყვა, ჩემი ძველი სახელიო.
- სადაც წახვიდე, იქაური ქული დაიხურეო.
- სადილს უკან ხილობაო — არის გვარიშვილობაო.
- საერთო ჭირი — საერთო ღზინიაო.
- საგაგლახოზე აიდე, სატიალოზე დააგდეო.
- სავსე კოკა ისევ წყალზე ტყდებაო.
- სავსე ქვევრს ბამბიქულასაც არ დაახლიანო.
- საზიარო — საზიანოო.
- საზიარო — სატიალოო.
- საზიარო ყანა მწყემსმა შეჭამაო.
- საზიარო ყანა ჩიტებს მოუჭამიათო.
- სათვალავში — რვანიო და ნახევარი — ბრმანიო.
- საიდან სადაო, წმიდაო საბაო.
- საიდუმლო — ორშიო; თუ მესამე მიემატა, საიდუმლო — ერშიო!

- საითაც გავიქვები, იქით წავიქვები.
- საიქიოს ერთად წავალთ ცოლიანი და უცოლო.
- საიქიოში დაბადებული სხეული სააქაოში კვდებო.
- საკოცნელი პირი საგინებელი გავიხადო.
- საკუთარ სილატაკზე მდიდარი დამაჯერებლად მსჯელობდაო.
- საკუთარმა წარმოსახვამ არ გაცდუნოს, მერე გვიან იქნებო.
- საღამი დასწრებაზე უნდა იყოსო.
- საღამი მტერსაც არ დაეკაუბებო.
- საღამი ღვთისაა.
- საღამთან ერთად, მოკეთეს, ღიმილიც მიაგებო.
- სამამულო საქმეები კლაგაც ზევით გაირჩაო, პენსიები ამჯერდაც საჯილდაო ქვად არ იქცაო.
- სამართალი მკვლელსა სჯის და არა გიჟს ან ჭკვიანსაო.
- სამართალი ფეხით დადისო.
- სამართალმა პური ჭამაო.
- სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინებო.
- სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებო.
- სამგორზე სამი ბებერი ვერ ეტეოდაო.
- სამეფოს მტერი ვერ დასძლევს, თუ მეფის სახლი მშვიდია.
- სამი სახარება — მუდამ განარება.
- სამ დღემდის სამმა იცის, სამ დღის იქით — თემმაო.
- სამოთხეს ლასტის კარი აქვს, ჯოჯოხეთს — ოქროსიო.
- სამოთხეში არ მიშვებდნენ, ჯოჯოხეთში — ხელს მიქნევდნენო.
- სამოთხის გზაზე დამდგარ ცხვარს ღუმა ამძიმებსო.
- სამოთხის მონატრულსა ჯოჯოხეთშიც არ უშვებდნენო.
- სამოსელს ნაწიბური გაუსინჯე და შვილს — დედ-მამაო.
- სამშობლოა, გულს რომ მტკენს და გამუდმებით ტანში მზარავს.
- სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა.
- სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორივე ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორთავ თვალზედა.
- სამშობლო მტკივა, სულით ხორცამდე მძრავს და მარყვევს, მთლად მაზანზარებს.
- სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა.
- სამშობლო რომ შორსა გქონდეს, თავის ქებას რა უნდაო.
- სამშობლო ღმერთის საჩუქარია.
- სამშობლო ჩემი — ტკივილი ჩემი.
- სამშობლოს არ ეღალატებისო.
- სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვეს ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დაფაყრით, მკვდარსაც კი გავცინება.

- სამშობლოს უჭირს, შენ გილხინს, ეს რა და როგორ არიო?
- სამძიმარზე მისულს სახე არ უნდა უცინოდესო.
- სამწყსოს უმწყემსოდ მავალსა, შესჭამს ტურა და მგელიო.
- სამჭედლო გადაიწვაო და რაც იმას ბერვა ჰქონდა, ან აქამდე როგორ გაძლოო.
- სამხარი სად ვჭამო და — ბრიყვთანაო; ვახშამიო? — თუ ვერ გაიგოს, ისიც იქა ჭამეო.
- სანამდის გავძლებ, ვისროლი, მერე წყალგაღმა გავალო.
- სანამდის ღმერთი მწყალობდა, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო.
- სანამდის წვერი გაქვს, უღვაშს ხელს ნუ ახლებო.
- სანამ თონე ცხელია, ლავაში ჩააკარო.
- სანამ მქონდა ფულები, ვჭამე მოხრაკულები; აღარა მაქვს ფულები — ჩამოვყარე ყურები.
- სანამ დანა მოიტანეს, ენამ თავი მოსჭრაო.
- სანამ მღვდელი ჩაიცვამს, ცაც შეიმოსება და სანამ გაიხდის — გადაიყრისო.
- სანამ მწარეს არ შეჭამ, ტკბილს გემოს ვერ გაუგებო.
- სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.
- სანამ ქვაი მოჯდებო, ჩემი ფეტვიც მორჩებაო.
- სანამ ყმაწვილი არ იტირებს, მუძუს არ მოაწოვებენო.
- სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქრეო.
- სანამ წინელი პატარაა, მანამ უნდა მოიგრიხოს, თორემ გაიზრდება და გვიანი იქნებაო.
- სანამ ჭკვიანი ფიქრობდა, ცეტმა გადავლო მთანია.
- სანამ ჭკვიანი მოიფიქრებდა, გიჟმა შვილი დაასახლა კიდევცაო.
- სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოჰკვეთაო.
- სანახვერო მამული ან მგელსა, ან მგლის შვილსაო.
- სანთელი თავის ქვეშ არ გაინათებსო.
- სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო.
- სანთლად დაგედვენთეო.
- საოხროდან იღებსო და სატიალოს ადებსო.
- სანაგვეზე ვარდიც ამოვაო.
- საპონი ვარცლის თავზე დადე და სარეცხი თავად გამოჩნდებაო.
- სარჩული სჯობს საპირესო.
- სასაფლაოდან მკვდარი აღარ გამობრუნდებაო.
- სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს და საბრალაო, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს.
- სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდინარ.
- სასწორის სისწორე ამწონავზე ჰკიდიაო.

- სასწორ-სამართალს ღმერთი უყურებსო.
- სასჯელისგან მკვლელის დახსნა ცუდად მოგიბრუნდებათო.
- სატირალში მეზობელმა თავი შეირცხვინაო.
- სატკივარს გაძლება უნდაო.
- საუბარმან უმეტარმან შმაგი უფრო გააშმაგოს.
- საუბარ-საუბარიო, ეს დღე არ მოიპაროო.
- საფლავი კაცმა არ უნდა დაკარგოსო.
- საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის.
- საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, სა-  
დღევრძელის ენაჲ.
- საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერ-  
თების ენაჲ.
- საქებარს მაქებარი რომ არ ჰყავდეს, უქებარი დარჩებოდაო.
- საქმე ლაქლაქით არ კეთდებაო.
- საქმე არ ჰქონდეს ზუროსა, დაჯდეს და ურახუნოსა.
- საქონელი პატრონს ემგვანებაო.
- საქონელმა თქვა: ერთი გვერდი ზომ დამილპე, მეორეზე გადამდგვი,  
— მაინც გავიცილებიო.
- საქონელმა თქვა: ღმერთო, პატრონი მომეცი, მოხმარება შექძლოსო.
- საქონელს თვალი სჭამსო.
- საქონლის ღმერთი კაციაო.
- საყდრის კარი ღია იყო, ძალღს ნამუსი არ ჰქონდაო.
- საყვარელი ძმა ღმერთმა გველსაც და მტერსაც ნუ მოაკლოსო.
- საყვედურით საესე მზერას, მკვლეელი ვერსად წაუვაო.
- საშოგარი კარგია და ნაშოგარი — ძვირფასიო.
- საჩუქარი ბრიყვს გაუხარდებაო.
- საცა არა არის-რა, იქ არც არა ტყდება და არც არა იღვრებაო.
- საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა, მამაციისა.
- საცრის მთხოვნელმა — სადილს მოუცადაო.
- საციქველი ვის დაუბრუნდებაო.
- საცხონებლად წასული, წაწყმედილი დაბრუნდაო.
- საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების: ზოგჯერ მზეა  
და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.
- საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია, ძველი წე-  
სია სოფლისა, არ ახლად მოსასმენია.
- საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო.
- საწყალი კატა ჩიოდა: ვაიმე თქმო, გვერდიო, ქალებმა ერბო  
შეჭამეს, მე მომხვდა ბევრზე ბევრიო.
- საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო.

- საწყალი კაცის დღესაო, არ დაეღუვა კენესაო.
- საწყალსა კაცსა ვინ მისცემს ადების ღამეს ღვინოსა; მჭადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა.
- საჭმელი ერთის დღისაო, სახელი ასის წლისაო.
- სახელი ჩვენი და სახრავე სხვისიო.
- სახელი მგლისა, სახრავე მღვდლისაო.
- სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო.
- სახელი სჯობს ქონებასა და უფლება — მონობასა.
- სახელი ჩემია, სახრავე — სხვისი.
- სახით — მღვდელი, საქმით — მგელი.
- სახლი ააგო და სახლი გადააგო.
- სახლი ვისაც არ აუშენებია, ნაგებობა მიწიდან ამოსული ჰგონიაო.
- სახლი სახურავად ღირსო.
- სახლს ისიც მიემატება, ფოთოლი რომ მიიტანო.
- სახლში გამოწყობილი საქმე მთაში არ გამოდგებაო.
- სახლში მიტანილი სიპი ქვაც კარგიაო.
- სახლში რომ ბავშვი ტიროდეს, გარეთ რა უნდა ნანასო.
- სახლში დაბარებული, გარეთ არ გამოდგებაო.
- სახლში ჯდომით საქმე არ გაკეთდებაო.
- სახრე სამოთხიდან არის გამოსულიო.
- სახრე ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკარ და გააწვევინეო.
- სახრე ღმერთს დაულოცნიაო.
- სესიაჲ, შენი ნაცვლობა მეხრეობაზე ჩამოხტაო.
- სვაჲ კისერზე მოიზომავს და ძვალს ისე გადაყლაპავსო.
- სვაჲმა ძვალი გაზომა და ისე გადაყლაპაო.
- სვაჲს რომ მონელემა არ შეეძლოს, არ გადაყლაპავდაო.
- სდევს ფათურაკი მიჯნურსა, გაჭვრიტეთ, გაიცადენით!
- სველი ენა რას არ იტყვისო!
- სვინაჲ, შენი თავი სხვას მირჩვენის, ჩემი კიდევ — შენსასაო.
- სვინტრი მოდის, მოიძახის — მე ვარ შენი წამალიო.
- სვინდისს კბილები არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო.
- სიბერემდის — სიქაჩლე გეწეროსო.
- სიბერემდე — სიქაჩლეო.
- სიბერე როსტომსაც კი მოჰრეგიაო.
- სიბერე სიკვდილის მიმწუხრიაო.
- სიბერეს სირეგვნემდე მიჰყავს კაციო.
- სიბერემორეული ბაღლს ემსგავსებაო.
- სიბერე ძნელი ყოფილა, სიბ ქვასაც შეეწონება..
- სიბრძნე ებრძვის სიბრიყვესა, უთოფოდ და უტყვიოთა.

- სიბრძნე ფულს კი არა, წლებს მოაქვთო.
- სიბრძნე ყოველთვის სიტყვაძვირიაო.
- სიბრძნე, ჭკუა და გონება ქვეყნად ედემის ბაღია.
- სიბრძნეს ვერ გადასწონის რაგინდა-რა ბეგარა.
- სიგარეტს, წამალს ზურგი ვაქციოთ, ცხოვრება ლხინად გადავაქციოთ.
- სიდედრი სიძეს რომ განუდგება, ნადირი გაექცევაო.
- სიზარმაცე ბოროტების დედააო.
- სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიაო.
- სიზარმაცე ჩვენზე ადრეა დაბადებულიო.
- სიზარმაცემ კაცი მოკლა, კერა გაანადგურაო.
- სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევსო.
- სიზმარი გორისოდენა, გადავა — ჩალისოდენა.
- სიზმარში ნაცად-ნანახი, ცხადში რა მოსახმარია.
- სიკეთე ისეთი რამ არის, რასაც ადამიანი ვერასოდეს შეიგრძნობს და დაფასებაზე ლაპარაკი ზომ სულ ზედმეტიაო.
- სიკეთე შვის შუქსა ჰგავს — ანათებს და ათბობსო.
- სიკეთეს რომ სატყვარი დაემგერება, იქ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარიც იშლება და იმედის ნაპერწკალიც ქრებაო.
- სიკეთეს შეგნებით ვინც ზურგი უქცია, — ცხოვრებამ გაწირა, კერა დაუქცია.
- სიკეთეს ძაღლიც არ დაივიწყებსო.
- სიკეთის ქმნა, მარიაო, გოლგოთის გზის დარიაო.
- სიკეთის ფასი არაფერია, ამქვეყნად.
- სიკეთისათვის კეთილი არ დაგელევაო.
- სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა.
- სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა, რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა.
- სიკვდილი და სიღარიბე, ორნივე ერთად მოდიოდნენ, შეეხედე და შემეშინდა, სიკვდილს სიღარიბე სჯობდა.
- სიკვდილი ისეთი აქლემია, ყველა ოჯახთან რომ დაიჩოქებსო.
- სიკვდილი სიცოცხლის უძლიერესი არგუმენტიაო.
- სიკვდილი ყურს უკან გვაქვსო.
- სიკვდილმა თქვა: ისე არაუბნ მოკვდა, რომ ბრალი მე არ დამდონო.
- სიკვდილმა თქვა: კაცი ისე ვერ მოკვალ, რომ რაიმე მიზეზი არა თქვანო.
- სიკვდილმა თქვა: მოგკლავო და მჯერა შენი ჭკუიდანო.
- სიკვდილმა ჩამოიარა, ვაი, ერთის პატრონსაო.
- სიკვდილს გინდ მტერებიყავი და გინდ ფერებიყავიო.



- სიკვდილს ვაძლიე ქრთამები, თუკი რამ მებადებოდა, არ დაიჯერა, მე მომკლა, არ ვი რას მემართლებოდა.
- სიკვდილს მამაცი კაცი უნდაო.
- სიკვდილს სად დაეძალებიო.
- სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა.
- სიკვდილის მეტს ყველაფერს ეშველებათ.
- სიკვდილის შემდეგ სინანული არც არის და არც ყოფილაო.
- სიკვდილ-სიცოცხლე ამხანაგები არიანო.
- სიკვდილ-სიცოცხლე ძმები არიანო.
- სიკვდილ-სიცოცხლე რამ გაყო?
- სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილმა ქვეყნები შეიწირაო.
- სილამაზეს მოხმარება უნდაო.
- სილამაზეს რა ჭკუა აქვსო.
- სიმართლე დახეული ჩოხით დადისო.
- სიმართლე რომ ზღვას მიუგდო, მაინც არ იკარგებაო.
- სიმართლე კაცს არ დაეკარგებაო.
- სიმართლე მზეზე უფრო ნათელიაო.
- სიმართლე ოქროზე ძვირად ფასობსო.
- სიმართლე შვილიშვილამდისო.
- სიმართლე დიდი ძალააო.
- სიმართლეს დიდი ძალა აქვს.
- სიმართლეს, ჭკვიანი კაცი, საკუთარ თავშიც ეძებს და სხვაშიც.
- სიმართლესთან წილნაყარი, სამართალი მაღალია.
- სიმართლისათვის მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.
- სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო.
- სიმართლის მკარგველი კაცი, სიცოცხლეს იდღემოკლებსო.
- სიმართლის ნერვი იხარებს, დარგე თუნდ სიპსა ქვაზედა.
- სიმართლის სამსახური სამართალს აძლიერებსო.
- სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.
- სიმდიდრე წყალია: მოვიდა, წავიდა.
- სიმდიდრის მქონე მაძლარი ვერა ვნახე და სიმართლისა — მშვიერიო.
- სიმინდი თოხის შვილიაო.
- სიმინდი რომ შემოაკლდებათ, ძმები მაშინ გაიყოფიანო.
- სიმინდის ქურდს — ტომარა აუწიე, ღვინის ქურდს — თავი წააგდებინეო.
- სიმონაო, სიმონაო, გარს — კარგო და შინ — მონაო.
- სიმღერას ბანი ამშვენებს, წალკოტსა — ვაშლი წითელი.
- სიმწარე თუ თავზე არ გაყრია, სიტკბოება ფრჩხილსაც ვერ დაგიფარავსო.

- სინანული იგივე თვითგვეძა.
- სინანული მაგრძნობინე — მოგიტევებ, გაპატიებ.
- სინანული შვებას მოგგვრის, ყოფას გაგაიადვილებსო.
- სინდისი არც ტლანქი უნდა იყოს და არც ზედმეტად მგრძნობი-  
არეო.
- სინდისი უკბილოა, მაგრამ იკბინებაო.
- სინდისიც კაი საქონელიაო.
- სირცხვილი მოგადგა, სიკვდილი განატრაო.
- სირცხვილი სიკვდილიაო.
- სირცხვილიც დიდი კომბალია.
- სისხლი სისხლით არ განიბანება.
- სისხლს დაღვრის უბრალოთასა, აჰყვება ვინ შესძენასა.
- სიტკბო-სიმწარით ნაგები, საიქიომდე გაგვყვება.
- სიტყვა ადვილია, ქმნა კი — ძნელი.
- სიტყვა — ბარაქიანიო, საქმე — ტალახიანიო.
- სიტყვა ვერცხლია, დუმილი — ოქრო.
- სიტყვა და აზრი ადამიანოვით ძველდებაო.
- სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, სიტყვა საქმით დაფასდება.
- სიტყვა ქარია.
- სიტყვა ჩიტსა ჰგავს: ენაზე თუ წამოგაჯდა, მაშინვე გაგიფრინდებაო.
- სიტყვა — ჭკვიანი, საქმე — ჭიანი.
- სიტყვას ბაჟი არ ადევსო.
- სიტყვას დაკვირვება უნდაო.
- სიტყვას ვერ დაქწვეო.
- სიტყვის თქმა რიგით არისო.
- სიტყვის თქმა რომ გინდოდეს, ჯერ გამგონი გასინჯეო.
- სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.
- სიღარიბეზე მოწუწუნე მდიდარი ღარიბმა შეიკედლაო.
- სიღარიბემ ფარჩა-ატლასი მაცვეთინაო.
- სიღარიბემ ფარჩის კაბა მაცვეთინაო.
- სიღარიბე კარგი რომ იყოს, ჩვენ ვინ დაგვანებებდაო.
- სიღარიბე წელში გაგტეხს, თუგინდ იყო ტარიელი, ცოლ-შვილსაც  
კი მოძულდება, თუ ჯიბე გაქვს ცარიელი.
- სიყვარული აღგვამაღლებს, — ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ.
- სიყვარული ბრმაა.
- სიყვარული ბუნების კანონთა გამრიგეა.
- სიყვარული და ლეკვები — იბადებიან ბრმებადო.
- სიყვარული დიდი ნიჭია.
- სიყვარული სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოდის.

- სიყვარული სიხარულს შობს, სიხარული — შვება-ლხენას, ორივე კი ფრთებს შეასხამს საოცნებო აღმადრენას!
- სიყვარული ცეცხლი არაა, მაგრამ დასწვავს და ვერც გააქრობო.
- სიყვარული ხანძარი არაა, მაგრამ, თუ იფეთქა, ვეღარ ჩააქრობო.
- სიყვარული ხანძარია, ერთგულება დუღაბიო.
- სიყვარულმა სირცხვილი არ იცისო.
- სიყვარულს, ცეცხლს და ხველას ხალხისაგან ვერ დამალავო.
- სიყვარულით, ჩემმა ქმარმა, ბარ-საკვეთით მცემაო.
- სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
- სიყმაწვილით მოგებულები, სიბერიასა ფარიაო.
- სინქართ სოფელი არ აშენებულაო.
- სინქართ, ძაღლმა, ბრმა ლეკვები მოჰყარაო.
- სიცილი გადამდებიაო.
- სიცილით დაკარგული, ტირილით ვეღარ დაიბრუნესო.
- სიცილს ტირილი მოსდევსო.
- სიცოცხლე, აგრეე სიკვდილი, ხელთა უპყრია ენასა.
- სიცოცხლე ცეცხლსა მიაგავს, საწყისი მისი აღია, ხოლო ნაცარი — ბოლო.
- სიცოცხლესა გავეყარე, სიკვდილიცა დამიძვირდა.
- სიცოცხლეს დაცვა უნდა და სამოსს მალ-მალე გაახლებდა.
- სიცოცხლეს რომ უსაბო მავანს, რა პასუხს სცემ უფალს მაღალს.
- სიცოცხლეში, თეთრი გედი, მხოლოდ ერთხელ მღერის.
- სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.
- სიძვე, რაც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგვიყვარდებიო.
- სიძემ თქვა: ჩემი თოხი მომიტანეთო.
- სიძე-პატარძალს შორის ჩურჩხელა დაიკარგაო.
- სიძე რომ სიმამრისას ჩაუა, ღობის სარებიც გაიხარებენო.
- სიძვე, წვენი მიირთვი და ხორციც კარგიაო.
- სიძის სიძეს — წვენის წვენიო.
- სიხარბის გამო ვვასა, სამოთხე აღარ ვვასა.
- სოკო ამინდს მოჰყავსო.
- სოლი სოლს გააქვსო.
- სოფელი დიდა: ორი სახლი და ერთი ეზო.
- სოფელი ერთ დღეში ვის აუშენებია?
- სოფელი ვინ და — ერთი კაციო.
- სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო.
- სოფელი — კაი სათლელი დუმაა.
- სოფელს პირს ვერაგინ აუკრავსო.
- სოფელში რომ მიხვიდე, იქაური ამბავი ყმაწვილსა ჰკითხეო.

- სოფლის დილას მამლის ყივილიც უხდებაო.
- სოფლის ჭირს ასი ხარ-ურემი ზიდავსო.
- სტალინის სამშობლოში სამამულო ომს არ აგებენო.
- სტუმარი დილას ოქროა, შუადღეს — ვერცხლი, საღამოს — სპილენძიო.
- სტუმარი მიყვარს ისეთი, კბილი არ ჰქონდეს არცერთი.
- სტუმარი სტუმარს ეპატიჟებოდა, მასპინძელი — არც ერთსაო.
- სტუმარი მასპინძლის ვირია, სადაც უნდა იქ დასვაძსო.
- სტუმარი მასპინძლის ლხინია.
- სტუმარი მიყვარს ასეთი, კბილი არ ჰქონდეს არცერთი.
- სტუმარი რომ ბჭედ დადგება, სახლი მაშინ დაიქცევა.
- სტუმარი სტუმარს ეპატიჟებოდა, მასპინძელი — არცერთსაო.
- სტუმარმა სამი ტყუილი იცის: არა მშია, არა მცევა, არ მეძინებაო.
- სტუმარმა სამი ტყუილი იცის, მასპინძელმა სამნახევარიო.
- სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს — ორთავენიო.
- სტუმარს სახლში არ უშვებდნენ და ფარ-ხმალს თაროზე აწყობდაო.
- სტუმრის საბაბით მასპინძელი გამოძღაო.
- სტუმრისა მოსვლით მზე მოვა, სტუმრისა წასვლით — ღრუბელიო.
- სტუმარო, გასასარჯი შენი სახეთქიც არისო.
- სტუმარო, შენც გაისარჯე, შენი საჭმელიც არისო.
- სულგრძელი კაცი სწორედ რომ კაცური კაციო.
- სულგრძელობითა ძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასა.
- სულელი ვის მოუჭკვიანება?
- სულელი თავი არც თეთრდება, არც ტიტვლდება.
- სულელი თავის ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო.
- სულელი კაცი უჭკუოს მონახავსო.
- სულელი მეგობარი, მტერზე უარესიაო.
- სულელისათვის სწავლება და მკვდრისათვის წამლობა — ერთიაო.
- სულელის ამყოლი, თვითონაც სულელიაო.
- სულელს გული ენაზე აკერია, ჭკვიანს კი ენა — გულზეო.
- სულელს დარიგება რად უნდა, ანდა შავს — საპონი?
- სულელს რა ჭკუა მოეთხოვება?
- სულელს ჭკუა კბილებში აქვს.
- სულ არარაობას, ქალიც შვილიაო.
- სულ არარაობას, ცალუდელა ხარი სჯობია.
- სულ რომ სახლი ვაშენო, შიგ როდისღა ვიცხოვროო.
- სულთა მოცემე გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე.
- სული კბილით მიჭირავსო.
- სული კრთის, ხორცი კანკალებს.

- სული მწარეა, სული ტკბილია, სული სულს იცნობსო.
- სული სიცოცხლეა და ხორცი მისი საშობიო.
- სული სულს იცნობს და გული — გულსო.
- სული ტკბილიაო.
- სულმოკლე კაცი უჭკუოს მონახევრეაო.
- სულ ოქრო როდია, რაც ბრწყინავს და თვალსა გჭრისო.
- სულ უდედობას, დედინაცვალი სჯობიაო.
- სულ უშვილობასა, ქალის ყოლა სჯობიაო.
- სუფრას საზღვარი აქვსო.
- სუფრასთან შვილის ტრაბახს გროშის ფასი აქვსო.
- სცთების და სცთების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წამისად.
- სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმატებაო.
- სწავლა და გამოცდილება პირბასრი იარაღია.
- სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდებო.
- სწავლა მადლის დედაა, ბედის გასაღებო.
- სწავლა სიბერემდეო.
- სწავლა სჯობია სიმდიდრეს.
- სწავლა ცოდნის თესლია და ცოდნა — ბედნიერებისაო.
- სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.
- სწავლისაგან გამდიდრება სიმდიდრეზე უმდიდრეა.
- სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?
- სხვათა მაზიარებელი, მოკვდა უზიარებელიო.
- სხვათა მოჯამაგრობას ადვილად იტყვის ენაო.
- სხვათა ნგრევას, საკუთართა დაცვის ნიშნით, გამართლება არა აქვსო.
- სხვა სხვის ომში ბრძენიაო.
- სხვა იტყვის, სხვა მოიგონებს, სხვა გამოაბამს კილოსა.
- სხვამ რომ გველი შევიწვას, შენ კალმახი შეუწვიო.
- სხვას ავს ნუ უქადი და ავისა ნურც შენ შეგეშინდებო.
- სხვას ორმოს ნუ უთხრი, შენ თვითონ არ ჩაუარდევო.
- სხვას სხვისი მზე არ ათბობსო.
- სხვას სხვისი სიგელი გაუკვირდებო.
- სხვებისათვის მოტირალი თვალი უცრემლო დარჩებო.
- სხვის დამცირებას, საკუთარი დაცემა მოსდევსო.
- სხვის სანებზეზე ორი ბელურა იბრძოდაო.
- სხვის სარჩოზე გალაღებულს, სამართალი წირვას გამოუყვანსო.
- სხვის სუფრაზე ბატონია, საკუთარზე — გლეხიც არა.
- სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს, საკუთარში — ღირესაც არაო.
- სხვის იმედზე მტერი დარჩენილაო.
- სხვის იმედზე ყოფნას, ხელი გაანძრიო, სჯობიაო.

- სხვის მიწას დახარბებულმა, საკუთარი დაჰკარგაო.
- სხვის მოიმედე კაცსაო, სუსნი მოადგა კარსაო.
- სხვის შვილს აჭამე და შენსას შეერგებაო.
- სხვისა არც მოტანილი მინდა, არც წაღებულიო.
- სხვისა გონჯი, საკუთარსა, ცოლსა ღამაზს, სჯობიაო.
- სხვისა სანთლო, საკმელო, ჩემი მკვდარი აცხონეო.
- სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.
- სხვისა ცხენზე შემჯდომი, მალე ჩამოჯდებაო.
- სხვისი არ შვილობს, როგორც ნაცარი არ ფქვილობსო.
- სხვისი გიჟი სასაცილოა, საკუთარი კი სამარცხვინოო.
- სხვისი თამაშის მოსურნე, საკუთარსაც წააგებსო.
- სხვისი თხა სხვის ბოსტანში ოდელიას იძახოდლო.
- სხვისი იმედით ფართე ლოგინს ნუ დაიგებო.
- სხვისი კუბო, სხვისი მკვდარი სხვის სამარეს ვერ ავსებსო.
- სხვისი ლუკმა გემრიელიაო.
- სხვისი პურმარილით, ღმერთო, ჩემი მკვდარი აცხოვნეო!
- სხვისი საფლავი არავის ამოუვსიაო.
- სხვისი სახრე, სხვის კამეჩზე, ოროველას იძახოდლო.
- სხვისი უბედურება რომ სიხარულს გგვრის, აუად მოგობრუნდებაო.
- სხვისი ღირსების შემლახავი საკუთარ ღირსებას ღამაზსო.
- სხვისი ფულით და ქონებით წელში მძლავრად აიხარა, ღმერთმა მწარედ შეაჩვენა და მაინც ვერ გაიხარა.
- სხვისი ჩიტები სხვის კალოზე დავლურს უვლიანო.
- სხვისი ცოლის მოიმედე ლოგინს ნუ იფართოებო.
- სხვისი ცოლის სიყვარული დანაშაულია, საკუთარისა კი — სასჯელი.
- სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო.
- სხვისი ხელით ნარის გლეჯა ადვილიაო.
- სხვისთვის — მამაცი, თავისთვის — ზარმაციო.
- სხვისმა გაკეთებულმა გული მატკინა და ჩემმა კი — წელიო.
- სხვისმა ძაღლმა მიკბინოს, ოღონდ ჩემმა — არაო.
- სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი.
- სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა.
- სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.
- სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია.
- სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა.
- სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.
- სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო.
- სჯობს უყოლობა კაცისა, მომდურავისა ყოლასა.

- სჯობს ქვემო ბოლოს შინ დგომა, შიგნით გარედამ მზერასა.
- სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა, უწვრთელის შვილის ყოლასა.
- სჯობს შიშველი იყო, ვიდრე ცუდად ჩაცმულიო.

## ტ

- ტაბახმელას ხუთი კომლი, ოცდახუთი მოურავი.
- ტაშტი გატყდა, ხმა გაგარდაო.
- ტახტზე გორაობა-კოტრიალით ოჯახი არავის ურჩენიაო.
- ტერტერ, ცოლსა გრთავენო და მეც ეგ მინდაო.
- ტიკმა იცის, დიდებულმა, ზედ დედალმა მიდებულმა.
- ტირილით დამთესი, სიხარულით მოიმკის.
- ტირილით მკედარი, არ დაიმარხება.
- ტაკაცატკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანს.
- ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო.
- ტკბილი სიტყვით, მთას ირემი მოიწველაო.
- ტკბილი მაშინ გახდა ტკბილი, როცა მწარე იგემესო.
- ტკბილს ნაჩვევი, მწარეს ვერ შეჭამსო.
- ტკივილმა ტკივილსაც კი მოაბეზრა თავიო.
- ტკივილს საკუთარი თავი მობეზრდაო.
- ტლექია კაცი ცხრაჯერ გაასამართლეს და ვერა დააკლეს-რაო.
- ტოლმა ტოლს რითი აჯობა და ადრე ადგომითაო.
- ტრაბახი უგვანი კაცის საქმეაო.
- ტურა და მელა — ორნივე ერთ გზას არიან მავალნიო.
- ტურამ სორო გამოთხარა და მარემა წაართვაო.
- ტურამ ქვეყანა დააქცია, მგელს კი ბრალი აჰკიდესო.
- ტურა ტოროლას ასწავლიდაო.
- ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი — უთვალოო.
- ტყეში დათვია, სახლში — დედინაცვალი, გზა კი არა და არ არისო.
- ტყეში ტურა არ გამოიღვია.
- ტყეში წავიდე — კაცი არა მყავს გზის მასწავლებელიო.
- ტყუილა ჯდომას, ტყუილა შრომა სჯობიაო.
- ტყუილი თავიდანვე ეშმაკის მოგონილია და მას ყველგან გასავალი აქვსო.
- ტყუილი კაცს შეარცხვენსო.
- ტყუილი ფიცი შვილიშვილამდე გასტანსო.
- ტყუილის თქმასაც შნო უნდაო.
- ტყუილის მთქმელს ის სარგებელი აქვს, რომ მართალსაც აღარ

დაუჯერებნო.

- ტყუილის მთქმელს მართალიც აღარ დაუჯერესო.
- ტყუილს ბოლომდე უნდა მიჰყვე, რომ გაკიცხო.
- ტყუილს კულის რიკამდე ჩაჰყვეო.
- ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.
- ტყუილს ნუ ამბობ, თორემ ქარი ამოვარდებო.

## უ

- უადგილო სიმართლეო, დიდხანს რომ არ გიმართლებსო?
- უაზრო ფრინველი დაჯდომის დროს აფრინდებო.
- უარესზე უარესი არ დაილევო.
- უბაღლო და უძაღლო ოჯახი დაყრუებულაო.
- უბედოდ არაფერი იქნებო.
- უბედურება ბედს წინ უსწრებსო.
- უბედურების მიზეზს ჭკვიანი კაცი საკუთარ თავში ეძებს, უჭკუო — სხვაში.
- უბედურის ნაზოგვარი ბედნიერმა მოიხმარაო.
- უბედურ კაცს ქვა აღმართში დაწვევო.
- უბედურმა კონა, კონა, ბედნიერმა კი შეკონაო.
- უბედურს წისქვილში შია, ბედნიერს კი — კალოზეო.
- უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მეზნენ ხმელთა სპანი.
- უგვანო ბუნებისაგან ქმნა ნურა გიკვირს ნურასი.
- უგვანო ცხენსაო, ნუ აჭმევ ქერსაო.
- უგზო-უკვლოდ მთარული, მკვდარზედ უარესიაო.
- უგუნური და უგვანი გადააგორეს ხრამშიო.
- უგუნურსა მეგობარსა, გონიერი გიჯობს მტერი.
- უგუნურს მოყვარე გაჭირვებაში მოაგონდებო.
- უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
- უდანაშაულო კაცის მოკვდინება დიდი ცოდვააო.
- უდედო ქალიო და უმარილო ფხალიო.
- უდროო დროს გასროლასო, მარცხი უმაღ მოჰყვებო.
- უეკლოდ ვარდი განა ვის მოუწყვეტიაო?
- უგახშმოდ დაწექ, უვალოდ ადექ.
- უვიცსა და თითლიბაზსა, სათავეში რა უნდაო.
- უზრდელი და ბრიყვი შვილი მამას ეტოლებოდაო.
- უთავბოლო სიცილი უჭკუოების ნიშანიაო.
- უთქმელი მთქმელი, მთქმელმა შეჭამაო.



- უკბილომ სამი ლუკით აჯობა კბილიანსაო.
- უკეთუ მცოდნოდა სად დავეცემოდი, ჩალას იქ დავიფენდიო.
- უკეთურს და უნიათოს შრომაც ეზარება და სიცოცხლეცო.
- უკუდო ამპარტავანი ღმერთსაც სძულსო და კაცსაცო.
- უკუდო ვირი კუდის სამებნელად მეზობლებში დარბოდაო.
- უმაღლო და უწყალო მდიდარსა და საწყალს შორის განსხვავება არ არისო.
- უმაღურ კატას ძეხვიც არ შეხვდებაო.
- უმაღური შვილი დედ-მამის თავისტკივილიაო.
- უმაღური შვილის ყოლა დიდი ტკივილიაო.
- უმაღურსა მადლიანი სიტყვა ეუმაღურაო.
- უმაღურობა ღვთის გმობააო.
- უმაღობას — შიმშილობა სჯობიაო.
- უმამაცესი და უფეხმარდესი სიცრუეც კი ვერ გაასწრებს სირბილში პატარა სიმართლესო.
- უმიზეზოდ სიცილი — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების ნიშანიაო.
- უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
- უმწიფარი არც ხილი ვარგა და არც კაციო.
- უნაგირი გქონდეს, თორემ ცხენს ბევრჯერ იშოვნო.
- უნაგირი ვიშოვე, ცხენი ვერ ვიშოვე; ცხენი ვიშოვე და უნაგირი — ვერაო.
- უნათესაო ხეც არ არისო.
- უნაკლო კაცი არ გაჩენილაო.
- უნამუსო ვირზე შესვეს და აცე, ვიროო, — დაიძახა.
- უნამუსოს პირში აფურთხებდნენ და იფ, იფ, რა თბილი წვიმა მოდისო.
- უნახავმა ლაფი ნახა და შიგ ჩავარდაო.
- უნახავმა რა ნახაო და ცხრა მთა გადალახაო.
- უნახავმა რა ნახაო და — დედემისისაო.
- უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესიაო.
- უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო.
- უპატრონო ცხვარი ზამთარშიაც იკრიჭებაო.
- უპერანგო, სიზმარში, ცხრა პერანგსა ხვედაო.
- უპერანგოს მზე არ ამოუვაო.
- უპერანგოს პერანგს ხდიდნენ, რაც არ ეცვა, რას გახდიდნენ.
- უპერანგოს საკინძეს აგლეჯდნენო.
- ურაკუნე კედელსაო, ექაქანე რუგვენსაო.
- ურეში მძიმეა, მაგრამ ტვირთს კი ამსუბუქებსო.

- ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო.
- ურემი რომ გაჩერდება, ხარებს უნდა გაუტლაშუნოო.
- ურემი რომ ჭრიალს დაიწყებს, საპნის წასმა უნდაო.
- ურემი უხაროდ არ ვარგაო.
- ურემი შეშას თუ ვერ მოიტანს, თვითონ ხომ შეშა არისო.
- ურემს მეტს რომ დაუდებენ, ისიც ჭრიალს დაიწყებსო.
- ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს გაგათრიესო.
- უსამოდ ეშმაკიც არა კვდებაო.
- უსაქმო კაცი ღობე-ყორეს ედაბოდაო.
- უსმელ-უჭმელად გაეძელი, ვითომცდა არა მშობდაო.
- უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.
- ურჩი მემკვიდრე ოჯახს დააქცევსო.
- უტიფარი შვილი ხელახლა გასაზრდელიაო.
- უფულობამ უპირობა იცისო.
- ურია წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონებიაო.
- ურია მთქვა: ღმერთო, ჩემს შვილს პირველი ხელი წააგებინეო.
- ურიას ერთი დღე შეხვდა და ისიც შაბათიო.
- ურიგმარიგობამ ზღვა დააშროო.
- ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.
- უსათუოდ მგელი შესჭამს, დედის წინ რომ წავა კვიცი.
- უსაქმური ყვერებში მახათს იყრიდაო.
- უსაყვარლოდ, ეს სოფელი, რად იქნება საყვარელი.
- უსინანულოს უფალი დასჯისო.
- უსინდისო და წამგლეჯი არც ნათესავი უქნია ღმერთს და არც მეზობელიო.
- უსინდისო სტუმარი — მასპინძლის მტერიაო.
- უსწავლელი გონიერი — მიჯაჭვული ლომიაო.
- უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწილდებაო.
- უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას დაემატაო.
- უსწავლელი ქვაზე დაჯდეს, ქვა ქვაზედა დაემატოს.
- უფალს ენდე, კაცს — არაო.
- უფალო, ჩხიკვი მოკვდაო და მე მისი დაბადებაც არ გამიგიაო.
- უფასო მუშას პური არ დაეყვედრებაო.
- უფროსს ცალი თვალი ბრმა უნდა ჰქონდეს და ცალი ყური — ყრუო.
- უფულოდ ვიცხოვრებ, უმეგობროდ — ვერა.
- უფულოა ღვთის გლახა და აბეზარი მათხოვარი.
- უღვთოა შენი დაცემა, ცოდვაა შენი სიკვდილი.

- უღონო ღონიერთან დანაშაულია.
- უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია.
- უშვილოდა სჯობს სიკვდილი, უკეთურ შვილის ყოლასა.
- უშვილო კაცი ჯირკია.
- უჩემოდ ვინ იმღერეთა.
- უჩინარი მტერი ცხადზე უარესიაო.
- უცბად გამწარებული გული, დაუნდობელიაო.
- უცაბედად კაცს კაციც კი შემოაკვდებაო.
- უცებ მოსულ მტერს იმით დახვდებიან, რითაც შახვდებიან.
- უცებნი მოსრნის მცოდნელთა ცოდნამან, ხელოვნებამან.
- უცვცხლოდ კვამლი არ იქნებაო.
- უცოდველი ერთი ღმერთია.
- უცოდველი კაცი არააო.
- უცოდველმა წვეთმა ლოდი გახეთქაო.
- უცხო მხარეში შევარდენსაც ყვავს უძახიანო.
- უძალლო ქვეყანაში, კატებს აყეფებდნენო.
- უძილობა სჯობს კოშმარულ სიზმრებსო.
- უძრავად მდებარე ქვას ხავსი მოეკიდაო.
- უწინ ბებერსა მიართვი, ის უფრო სულწასულია.
- უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ ჟამი აროდეს იწირვის.
- უჭკუო თავმა ფეხებს ზარალი მისცაო.
- უჭკუო კაცის სიკეთე — ვაი, რა ცარიელია.
- უჭკუო კაცს ცოტაც გაუკვირდებაო.
- უხარო კაცს ისეთი სახენელ-უღელი უნდა ჰქონდეს, რომ მას ხარიანი კაცი ეხვეწებოდეს — შენს სახენელს ჩემს ხარებს მოუუბამო.
- უხეირო ბარბაცაო — ღმერთსაცა სძულს, კაცსაცაო.
- უხეირო ქოლგა წვიმაში დაიშლებაო.
- უხეირო შვილი ოჯახსაც დაანგრევს და მემკვიდრეობასაც გაანიავებსო.
- უხეირო ხელოსანი უხეირო ნაკეთებს უხეირო იარაღს დააბრალებსო.
- უხორცობის გამო, ძაღლის ხორცი არვის შეუჭკამიაო.
- უჯიშო შვილს ვერაფრით მოარჯულებო.
- უჯიშო შვილის მორჯულება არამი საქმეაო.
- უჯიშო ცხენსაო, ნუ აჭმევ ქერსაო.
- უჯიშოსგან ჯიშიანი არ ნახულა, არ იქნება.

## ფ

- ფათურაკს თვალი არ უჩანს.
- ფანცი-ფუნცი გაცვდებო, შავი ჟამი დარჩებაო.
- ფარა უკან მობრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო.
- ფარამ რომ ხეს შეკბლავლოს, ხე გახმებაო.
- ფარაში მგელი შევარდა — ვაი ერთის პატრონსაო.
- ფაფა წამიხდა რვეითა, კორკოტი — მოურევლობითო.
- ფაფით პირდამწვარი, დოს უბერავდაო.
- ფაფის მჭამელს, კოფი ზურგში უნდა ერჭოსო.
- ფაცხა იყოს, ოღონდ შიგ რამე იყოსო.
- ფერი ლალისა, გემო — წყალისაო.
- ფერი — ფერსა, მადლი — ღმერთსა.
- ფერისცვალება დღეს, ირემი, ხეს არ შეეფხანებაო.
- ფერისცვალების დღესაო, ქარი არ არხვეს ხესაო.
- ფეტვი და ყველაზე მეტო.
- ფეხიანი, თორემ, უფეხო სად გაგვექცევო.
- ფეხი — თბილად, თავი — გრილადო.
- ფეხი ისე გადადგი, თვალში ჩხირი არ მოგ ხვდესო.
- ფეხი ისე გაშალე, საბანი მოგწვდებოდესო.
- ფეხზე ცხვარი აბიაო.
- ფეხსაცმელი მოხუცს ქუსლში გაუცვდება, ახალგაზრდას — წვერშიო.
- ფიქრი არ არის გურჯისა, წამოიკიდებს ხურჯინსა.
- ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არ-საუნებლისა ვნებითა.
- ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.
- ფოთოლი რომ მიიტანო, სახლს ისიც შეემატებაო.
- ფონი, გასვლის შემდეგ უნდა აქო.
- ფონი კარგია, მაგრამ გასაფალს ახრჩობსო.
- ფრთხილთა დედანი არა სტირიანო.
- ფუ, შენ, ცრუო საწუთროფო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი?
- ფული გვეტყვის, კუკურა — კაცია თუ გუდურა.
- ფული მოსამსახურედ კარგია, ბატონად კი არ ვარგაო.
- ფული ფულთან მივაო.
- ფული ფულს იგებსო.
- ფულმა ნიჭი ასამარა.
- ფულმა ნიჭი აღორძინა, ნიჭმა შური ასამარა.
- ფულიან ბრიყვს თავი ციცერონი ეგონაო.
- ფულიანმა ტყუილი თქვა, უქონელმა ირწმუნაო.

- ფულიანს თამადობაც ემარჯვებოდაო.
- ფულიანს ქება გულს უჩუყებდა და თავბრუს ასხამდაო.
- ფულიანს ქება აბრიყვებსო.
- ფულიანმა თუ იკადრა და გადაგაგლო, არ შეედავო, სამართალი სხვაგან ეძიე.
- ფულიანმა უფულოს ბვერი აკეთებინაო.
- ფულით მოსყიდულ მკვლელს ისევ ფული დაამხობსო.
- ფულით შეიძენ ხატს, მაგრამ ვერაფრისდიდებით — რწმენას.
- ფულით შეიძლება იყიდო ლოგინი, მაგრამ არა სიზმარი.
- ფულით შეიძლება იყიდო საფლაფი, მაგრამ არა სამოთხე.
- ფულით შეიძლება იყიდო წამალი, მაგრამ არა ჯანმრთელობა.
- ფულით შეიძლება ჯოჯოხეთი გაანათო, მაგრამ ვერ დაინახო ედემის ბაღი.
- ფულს თვლა უყვარსო.
- ფულზე მოწუწუნე მილიონერს ზრდილობიანი მსმენელი ბრიყვი ნუ ჰგონიაო.
- ფური ნახე და საწველელი ისე ითხოვეო.
- ფურმა იწველა, იწველა, ჰკრა წიხლი და დაღვარაო.
- ფურო, ვისი ხარო და ვის კარზეც ვბღავიო.
- ფუტკარი თუ ბზუის, თაფლს აგროვებს, თუ ჩუმად არის, თაფლზე ფიქრობსო.
- ფუტკრისა და ჭიანჭველის შრომა კაცს ჭკუას ასწავლისო.
- ფუყე თავთავი თავს მაღლა იწვეს, სავსე კი — თავდახრილიაო.
- ფუყე უსახო კაცისა მოკლედ აღწერა ძნელია.
- ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია და არც კაცსო.
- ფშაველი ხარ ფშანტურაო, მგელი შეგჭამს ან ტურაო.
- ფშუტი თავთავი თავს მაღლა სწვეს, სავსე — თავდახრილიაო.

## ქ

- ქათამი რომ დაგვიღს ნახავს, გულზე შემოყვრებაო.
- ქათამი რომ წყალს დაღვეს, ღმერთს შეხედავსო.
- ქათამი უკან იქექავს მიწას და საქმე წინ მიჰყავსო.
- ქათამმა უთხრა კვერცხსაო: ეგეთი ვიყავ მეცაო.
- ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკაო — დანა გამოჩხრიკაო.
- ქათამმა წყალი დაღია და ღმერთს შეხედაო.
- ქათამს რომ კვერცხი მოადგება, კაკანს მოჰყვებაო.

- ქათამს უთქვამს: პატრონს რას ვერჩი, სტუმარია ჩემი მტერიო.
- ქათმის მოძრიახანს ინდაური კალთაში უნდა ჰყავდესო.
- ქათმის შესაძლო — კვერცხიაო.
- ქალაქი რომ შენდებოდეს, იქიდან ფეხი არ უნდა გამოადგაო.
- ქალაქის კარი სათლელი ღუმა არისო.
- ქალ, ქებით გათხუებული, მამისაო და ძმისაო, ორთაგან დაწუნებული, მანლისაო და ქმრისაო.
- ქალი არ ვარგა ქმარ-ბოზი, ვაჟი სოფელში მკვებარი, გაუჭირდება, დადგება, როგორც უღელში მჭლე ხარი.
- ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს — ააშენებსო.
- ქალი გვართაო და საქონელი ტანითაო.
- ქალი გონჯი სჯობს ლამაზსა, ქმრიანსა საქრახიანსა.
- ქალი თმიანიო, მწვადი ცვრიანიო.
- ქალი მამას ქმარში გაცვლის, ქალი ქვრივი — სხვას გაჰყვება, მაგრამ დედას შვილის ტრფობა — სამარეში თან ჩაჰყვება.
- ქალი მორცხვი, ვაჟი ხასი, ორივე კი — ქვეყნის ფასი.
- ქალი რომ დაიკოკრება, შინ აღარ უნდა ბრუნება.
- ქალი რომ შემოგყვაროს, აარილოდე თვალიო, ნდომას ნუ შეატყობინებ, მეწონება თავიო.
- ქალი — სულიერი ღირსებებით ფასდებაო.
- ქალი — სხვისი კერის ნაცარიო.
- ქალი — სხვისი საქონელიო.
- ქალი ქებით თხოვდება და რძალი არ გვინახავს კარგო.
- ქალი ქმარსა სწუნობდა და იყო მისი ამარაო.
- ქალი — ქმრითა, ცხვარი — მთითა.
- ქალი — ქვეყნის მარილი და ერის გვირგვინიო.
- ქალი — შემოქმედების გვირგვინიო.
- ქალი შენს საკუთარ ჩრდილსა ჰგავს: თუ მისდევ — გარბის და თუ გაურბი — მოგდევს.
- ქალი — შვილებით ფასდებაო.
- ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ დააკაუებსო.
- ქალმა თქვა ზღვას დაწვავო, როგორო და მუგუზალს ჩაუგდებო.
- ქალს ძაღლიც არ შეუყვფოსო.
- ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა საპირეო.
- ქალსა უნდა გათხოვება, ქალსა ლამაზსა.
- ქალის ახირებას წინ ვერა ძალა ვერ დაუდგებაო.
- ქალის დიდება — მისი სათნობააო.
- ქალის ყველაზე დიდი მზითვეი — სიწმინდე და ნამუსიაო.
- ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო.

- ქალისთვის ისევე აუცილებელია დედობა, როგორც მცენარისათვის — ნაყოფი.
- ქალს ამშვენებს სიდარბაისლე და სიტყვაპვირობაო.
- ქალს რომ დედა მოუკვდება, ბედი მაშინ შეეკვრება.
- ქალს ხატობაში ნუ სინჯავ, — ტანთ ნათხოვარი აცვია, ქალი თუ გინდა ჯილაგის, — დაჰკვლიე ყანის მკაშია.
- ქამარს რომ გახსნიან, ჩოხასაც გაგზდიან.
- ქანქი-ქუნქი ქანქარაო, გინდ ყოფილა, გინდ არაო.
- ქართველისთვის დაგებულ მახეში ისევ რუსი გაებმებაო.
- ქართველს საკუთარი ღირსება აფაციცებსო.
- ქართველისათვის, ოდითგან, ჭირიც ბრძოლაა, ლხინიც.
- ქართველო, ხელი ხმალს იკარ, სამშობლო არ დაკარგოო.
- ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა, ქართულითა ენითა, ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.
- ქართლის მინდორი თოვლით საესე სჯობია, თვალმარგალიტებით საესესაო.
- ქარი ვაზს ფოთოლს ვერ დააფრევენებსო.
- ქარის დაბერვამდე ბუმბულს თავი მძიმე ეგონაო.
- ქარის მთესველი — ქარიშხალს მოიმკისო.
- ქარის მოტანილს — ქარი წაიღებსო.
- ქარისა არც მოტანილი მინდა, არც გატანილი.
- ქაჩალი ისე არ მოკვდება, დალაქი არ დასაჭირდესო.
- ქაჩალი სავარცხლის გამვირებას ჩიოდაო.
- ქაჩალიც მივა დალაქთანო.
- ქაჩალმა თავი ჯერ არ მოიფხანა, მერე კი — სულ მოიგლიჯაო.
- ქაჩალმა რომ თმის წამალი იცოდეს, საკუთარ თავს უწამლებდაო.
- ქაჩალს ერთი ნაგი სავარცხელი ახარებსო.
- ქაჩალს ჰკითხეს — ვინ უფრო გძულსო და ვინც თავი დამვარცხნაო.
- ქაჩალმა უთხრა ქაჩალსა: ჰაიტ, შე ქაჩალოო.
- ქებამ წმინდანიც წაახდინაო.
- ქებით მდიდარს რაღა გაბრიყვება უნდოდაო.
- ქელქი ქორწილი არ არის, — ჰარი-ჰარალე იძახოო.
- ქელქზე ვინც ამჩატდება, ცხოვრებაში გამწარდება.
- ქელქის სუფრასთან, გამორჩეული თავშეკავება და ზომიერება საჭიროო.
- ქერის ლაგაშს დედაბრის ქორწილში, აბა, ვინ დაიწუნებსო?
- ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო.

- ქვა თავის ადგილზეა მძიმე, დაიძვრება და გამსუბუქდებაო.
- ქვა ნუ აგორდება და მე ნუ მეცემასო.
- ქვა რაკი ადგილიდან დაიძვრება, ბუმბულზედ მეტად დამსუბუქდებაო.
- ქვა რომ ქვა არის, — დაიჭექებს და გასკდებაო.
- ქვას კლდიდან დანაგორებსა, დამსზვრევა არ ასცდებაო.
- ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.
- ქვეითი — ცხენოსანს დასცინოდაო.
- ქველის სახელი მოჰფინე, ნუ მოისურვებ ქებასო!
- ქვეყანა ბორბალია, ზოგს აქეთ აბრუნებს, ზოგს იქითაო.
- ქვეყანა იქცეოდა და ქეციანი აბანოში გარბოდაო.
- ქვეყანა იქცეოდა, ტურა ქორწილს ექცეოდაო.
- ქვეყანა კიბეა: ზოგი ადის, ზოგი ჩამოდისო.
- ქვეყანა ქარვასლაა: ზოგი შედის, ზოგი გამოდისო.
- ქვეყანა ქარვასლაა, ჩვენ კი — ქარაფანიო.
- ქვეყანა — ქვეყნის მოვალეაო.
- ქვეყანა — ჭრელიაო.
- ქვეყანას რომ თითო ძაფი ჩამოარჩინო, შიშველს პერანგი გამოუვაო.
- ქვეყანას ჭკუა, შენება და ლოცვა გადაარჩენსო.
- ქვეყნად ვერაფერ ვერ შეძლო — სიმართლის წამოჩოქება.
- ქვეყნის მაზიარებელი, დარჩა უზიარებელიო.
- ქვეყნის სატირალს ცენტერაძის მონაზონი ტიროდაო.
- ქვიდან გამოძვრა, სიპში შეძვრაო.
- ქვიდან ქვაზე გარდამავალს — წყალსაც ფერი ეცვლებაო.
- ქვით ქვასა სტეხენ და რკინით — რკინას უღვსვენ პირსაო.
- ქვისლებმა ვირი ყანიდან ვერ გამოდევნეს კრულვითა, სიძემ და მისმა ცოლისძმამ დევი დააბეს ყურითა.
- ქვიშის საბელი ვის დაუგრუხიაო.
- ქვრივი დედაკაცის ქალს ნუ შეირთავ, სათუთად ეყოლება გაზრდილიო.
- ქვრივი რომ განაზდება, მაშინ გალამაზდება.
- ქვრივმა თქვა: ისეთი ბედი ვინ მომცა, რომ სანებვეზე ჩურჩხელა ვიპოვნოო.
- ქისტი — კაის მოლოდინში კვდებაო.
- ქისტს დუმაის ხსენება ჭამად მიაჩნიაო.
- ქიციც ვიცი და ქიცმაცურიცო.
- ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა, ცოლი ამბავს უყვებაო.
- ქმარი მუშაა, ცოლი — კალატოზიო.
- ქმარი სვამს — ნახევარი სახლი იწვის, ცოლი სვამს — მთელი სახ-



ლიო.

- ქმარმა რომ სიზმარი ნახოს, ცოლმა უნდა გაიგოსო.
- ქმარს გაყრილი ავი ცოლი ისე როგორ წახდებო, ქმარზე ჯაგრი არ იყაროს, თავს დაამხოს სახლობაო.
- ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდად.
- ქოთანნი დაგორდა, სარქველი იპოვნაო.
- ქოთანი ქვაბს აქებს, ქვაბი კი — ქოთანს, ორთავე კვარტლში ზის, კერა კი ხრჩოლავს.
- ქოთნის ამბავი — ციცხვმა იცისო.
- ქოთნის ამბავი — ციცხვს ჰკითხეო.
- ქონება — თავს არ დამალავსო.
- ქონება — მეზავერიაო.
- ქონი აიღეს და მსუქანს მიაკერესო.
- ქორი ქორსა სჩეკს, ძერა — ძერუკასო.
- ქორო, მრავლისა მდევარო, ბევრჯერ დამრჩები მშვიერი.
- ქორს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას ელოდაო.
- ქოფაკმა ძაღლმაც კაი კბენა იცის, მაგრამ ცხვირში ეკალი ეჯავ-ვრებო.
- ქორწილში ძაღლებიც მივლენო.
- ქორწინება სახელმწიფოს შექმნის დარიაო.
- ქორწინება — სოფლის ღიბო, სახელმწიფოს გვირგვინია.
- ქრთამი — ღმერთთანაც სჭრისო.
- ქრთამი — ჯოჯოხეთს ანათებსო.
- ქრისტიანი ქრისტიანსა, რუსის გარდა არვინ მტრობსო.
- ქუდი დასდე და სამართალი ისე ჰქენიო.
- ქურდი ვისთვის სირცხვილია, ვისთვის სიამაყის საგანიო.
- ქურდი თავის სახლს ვერ ააშენებს, სხვისას კი დააქცევსო.
- ქურდი ისე არ ტყუის, როგორც ნაქურდალის შემნახველიო.
- ქურდი ქართველი რითა სჯობს ოსსა, ბაცაცა ქურდსაო.
- ქურდი ქურდობას არ დაიბრალებსო.
- ქურდი ქურდობას არ დაიბრალებს, ჩადენილს სხვაზე გადაიდ-არებს.
- ქურდი ქურდობას არ მოიშლისო.
- ქურდი — ფიცხედაც შზად არის.
- ქურდმა ერთი ცოდვა ქნაო, დამბრალებელმა (დამკარგავმა) — ათა-სიო.
- ქურდმა ეროვნება არ იცისო.
- ქურდმა თავისი წისქვილი მოიპარაო.
- ქურდმა მოსაპარი რომ ვერაფერი ნახა, თავისი ქუდი დადო და ის

მოიპარაო.

- ქურდმა ფიცი იშოვა და შინ მახარობელი გაგზავნაო.
- ქურდმა ქურდს მოპარა და ღმერთს გაეცინაო.
- ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო.
- ქურდს რომ კაცმა ყური უგდოს, ღლეში ათჯერ გამოტყდებაო.
- ქურდს სახლი ქწოდა და არ უჯერებდნენო.
- ქურდს სხვაც ქურდი ეგონაო.
- ქურდს ფიცი პირზე აკერიაო.
- ქურდს ქუდი ქწვისო.
- ქურდთან გაიარო, შენც ქურდს დაგიძახებენო.
- ქურდის ქურდი არ წარწყმდებაო.
- ქურდის მოყვარული თავადაც ქურდიაო.
- ქურდის ქურდი ცხონდაო.
- ქურდის შემნახველი, ქურდზე უარესიაო.
- ქურდად ვზიო, ამაყობენ, ფაშას ედარებიანო.
- ქურდად ჯდომა განა რა საამაყოაო.
- ქურდობაზე თუ ხელი წაგიცდება, ფეხი უთუოდ დაგიცდება.
- ქურდობაზე თუ ხელი წაგიცდება, ფეხი უთუოდ დაგიცდება და საქციელიც წაგიხდება.
- ქურდობით სახელგატეხილობას თავგატეხილობა სჯობსო.
- ქუხილით წვიმა არ მოვა, ხმის დაგდებითა — ლაშქარი.

## ღ

- ღალატის გზაზე მაგალი, სიკეთეს ვერ ქწევაო.
- ღალატის გზაზე მაგალი სიცოცხლეს გაიმწარებსო.
- ღამემ გაიარა, ამაგმა ჩაიარა.
- ღამის ქურდს ღღისით დაიჭერენო.
- ღარიბი კაცი ღლეში ცხრაჯერ მოკვდებაო.
- ღარიბი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.
- ღარიბის ლუკმა ტკბილიაო.
- ღარიბს ორი ეხარჯება, მდიდარს — ერთიო.
- ღარიბს უთქვამს: სტუმარს რომ ხახვი მივართვა, ისიც მწვადად ჩამეთვლებაო.
- ღვთისმშობლის წილხვედრი მტერს არ დაუჩოქებსო.
- ღვინით გალახულს — ჯონით გალახული სჯობიანო.
- ღვინის ქურდი თხლეზე დაიჭირესო.
- ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო.

- ღვინო და პური ძველი სჯობს, ტანისამოსი — ახალი.
- ღვინო მთხლეზე რომ დაუა, მერე გაგემრიელდებაო.
- ღვინომ თქვა: ჭკვიან კაცთან ბრძენი ვარ, რეგვენთან წამოგჩქარდებიო.
- ღვინომ ქვევრი გახეთქა და კაცს რას უზამსო.
- ღვინოს დაუმეგობრდები — ნამუსს დაემშვიდობები.
- ღვინო უფროსისაა, წყალი — უმცროსისაო.
- ღირსი შვილი თვითონ ქმნის ცხოვრებას, უღირსი წაგლეჯაზეა გამეცადინებულიო.
- ღირსეულ ქვეყანაში პენსიაც ღირსეული იცინაო.
- ღირსეული შვილი შშობელს ხელს არ გაანძრევენებსო.
- ღირხარ იმდენი, რამდენსაც გიხდიან.
- ღმერთი კარგსა მოაუღინებს და ბოროტსა არ დაბადებს, ავსა წამერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს.
- ღმერთი მწყალობდეს და ეშმაკები რას დამაკლებენო.
- ღმერთი ჩემსკენ იყოს და ხატები რას დამაკლებენო.
- ღმერთმა დალახვროს ბოროტი, მკვლელი და გაიძვერაო.
- ღმერთმა ყველა შეაჩვენა ბოროტი და ავისმქმნელი.
- ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დაგაგსა.
- ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც ამას ვდუდუნებ.
- ღობემდის რომ გინდოდეს, ღობეს იქით დაიჩემეო.
- ღომის ჭამასაც ცოდნა უნდაო.
- ღორი ლაფში გორვას არ მოიშლისო.
- ღორი როცა დაიკვლება, წონაც მაშინ გაირკვევაო.
- ღორი საღორეში მანამ არ შევა, სანამ ზურგზე თოფლი არ დაედინებაო.
- ღორი ღორობას არ მოიშლისო.
- ღორი კაცი ჭამით ტყვერება, ღვინოს ნთქავს და გარიგებსო: ქრისტიანი ასე არაა, ისე უნდა მოიქცეო.
- ღორის თავი ხალიჩაზე დადეს, იგორა, იგორა და ისევ ლაფში გაადინა ტყაპანიო.
- ღორის კუდი ნუ გექნება, თორემ ეშვები თავისთავად გამოგებმისო.
- ღორის ტილი ფეხზე დაისვი, თავზე ავაცოცდებო.
- ღორობა — დიდსაც არცხვენს და პატარასაცო.
- ღორმა გვერდი იქით იბრუნა, საითაც დიდი ლაფი ნახაო.
- ღორმა თქვა: დამკალ და დამაფასეო.
- ღორმა თქვა: შემინახავ? — მეც შეგინახავ; არ შემინახავ და არც მე შეგინახავო.
- ღორმა თქვა: რაც გოჭები მყოლნენ, წმინდა წყალი ვერ დამილვიაო.
- ღორმეცელა თქველფთაო, სხვისი თეფშის ტლექიაო.

- ღორსა სიმინდი გინდ ქეჩოში ჰქონია და გინდ ცხრა მთას იქითო.
- ღორს გინდა აღმა დაფხანე, გინდა — დაღმა, მაინც ღორიაო.
- ღორს, თუ დინგით არა, კუდით მაინც იცნობენო.
- ღორს რომ რქებიც მისცა, მთულ ქვეყანას გადააბრუნებდაო.
- ღრუბლიანი დღე — პატარძალს დილაუთენია ვგონაო.

## ყ

- ყანა რომ წახდა, ბაღჩამ შემოუძახაო.
- ყანას უთქვამს: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავისხი, თი-ბათვეში გული ჩავდგი, მკათათვეში მოვიმკეო.
- ყანას უთქვამს: ხარმა მხნა, კაცმა დამთესა, უფალმა მომიყვანაო.
- ყანას უხდება ნამგალი და ვენახს — სათბელაო.
- ყანასა ყანა-ყურესა, პატრონი არ უყურებსა.
- ყანჩა ცაში მიფრინავდა, ცაში თლიდნენ შამფურებსო.
- ყარყუმი რამ მოკლა და — მისმა ენამო.
- ყბადაღებული — წყალწაღებულიო.
- ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო.
- ყბედს საკუთარი ყბელობა არცა ღლის და არც აბეზრებსო.
- ყეფითა და ყივილითა სოფელი არ აშენებულაო.
- ყვავი თვითონ ყარდა და ბუდეს იცვლიდაო.
- ყვავი ნუხუხე იჯდა და ბოლოს არიდებდაო.
- ყვავი, ჩხიკვის მამიდაო, გაფრინდა და წავიდაო.
- ყვავი ჭამდა გოგრასო, ვაი, ჩვენ ამ დრო მოყრასო.
- ყვავის კვერცხებიდან ყვავები დაიჩეკებიანო.
- ყვავმა თავისი ბახალა ბუს მიუგდო: შენ დიდი თავი გაქვს და მოუარეო.
- ყვავმა თავისი მკვდარი შვილი ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვს და იტირეო.
- ყვავმა თქვა: შავ ზღვას გადვუფრენ, თოვლივით თუთრ კვერცხს დავდებო, მაგრამ ვერ შესძლო, ვერასვჯით, დანაპირების დაღება.
- ყვავმა ყვავს წასძახა: — ფუ, შე სკინტლიანოო.
- ყვავმა შვილები დაზარდა — დაჯდა, თვითონვე დასჭამაო.
- ყვაუსაც თავისი ბახალა მოსწონსო.
- ყვაუსაც თავისი ბახალა უყვარსო.
- ყვაუს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო?
- ყვაუს რა ჰქონდა — ბუს გაჰქონდაო.
- ყვაუს კაკალი გააგდებინო — ისიც კარგიაო.

- ყვაეს შევარდნად ზრდიდნენ და ის მაინც ყვას იძახდაო.
- ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების.
- ყრმათა აღზრდა დიდი საგონებელიაო.
- ყრუსათვის ორჯერ არა სწირავენო.
- ყველა ბებიასა სცემდა და — ერთი მეც წაუქნიეო.
- ყველა გაკეთდა, პენსიონერთა გარდაო.
- ყველა გლახას დიდი გული აქვსო.
- ყველა გულითა ხარობდა, ცეცხლი კი — უგულობითო.
- ყველა დაბალ ღობეზე გადადისო.
- ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე — ბუზანკალსო.
- ყველა თავისი ბედის მჭედელიაო.
- ყველა თავის ტყავს უფრთხილდებო.
- ყველა თავისას უბერავსო.
- ყველა კაცი სიკვდილის შვილიაო.
- ყველა მელას თავისი კუდი მოსწონსო.
- ყველა მკვლელი ნაგაგია, ბოროტი და არაკაცი.
- ყველა ოჯახში პატარა ჭიაკოკონა ანთიაო.
- ყველა საქმე დედამიწაზე რიგდება, ცოლ-ქმრობა კი — ზეცაშიო.
- ყველა სიკვდილმა გვერდით ჩამიარა, შვილის სიკვდილმა გულზე გადამიარაო.
- ყველა ფეხთ იხდიდა, კახაბერი — იცვამდაო.
- ყველა ფრინველი ფრთითა ფრენს, ქალი კი — თავის ქმრითაო.
- ყველა ფრინველი ფრთითა ფრენს, ქალი კი — ქმარ-შვილითაო.
- ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება.
- ყველა ყველას არგებს, მაგრამ მუცელი მუცელს არ არგებსო.
- ყველა ძალდი ერთი ჯოხით არ გაიდენებო.
- ყველა ძალდი საკუთარ ჭიშკართან მამაციაო.
- ყველა ჭაში რომ ჩააფურთხო, წყალს საიდანლა დაღვეო.
- ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროსო.
- ყველამ თავის კერას უბეროსო.
- ყველას აკლდებოდეს, სარეცხს — ემატებოდესო.
- ყველას გულს ვერ მოიგებო.
- ყველას ნურეც ენდობი და ნურც ემშობიო.
- ყველაზე დიდი გრძნობა — სამშობლოს სიყვარულია.
- ყველაზე დიდი რეალობა ცხოვრებაში, სიკვდილიაო.
- ყველაზე დიდი ღირსება ერთგულებაა.
- ყველაფერი დროს ელის, დრო კი — არაფერსაო.
- ყველაფერი ნატკენს ეტანებაო.
- ყველაფერი როგორც არ იჭმება, ისე არ ითქმება.

- ყველი და პურის მჭამელმა — ღმერთს აღარ შეხედაო.
- ყველი, პური და კეთილი გულიო.
- ყველიერმა ზღვა დააშრო.
- ყველიჭამიას ყველი აგონდებაო.
- ყვითელი ოქრო — შავი ღღისთვისო.
- ყმაწვილებს სათამაშოებით იტყუებენ, მოზრდილებს — ფიცითაო.
- ყმაწვილი ტირილით იზრდება, გოჭი — ჭყვირილითაო.
- ყმაწვილს გვამი პატარა აქვს და გული — დიდიო!
- ყმაწვილს რომ კაკალს მისცემ, იმის გასატეხი ცუნდა გააყოლოო.
- ყმაწვილს ხელმწიფეზედაც დიდი უფლება აქვსო.
- ყმაწვილის საყვლოც კი ჭამსო.
- ყოველგვარ ჭირს ფეხი ზიდავს, ფეხს კი — არაფერიო.
- ყოველი გამყიდველი თავის საქონელს აქებსო.
- ყოველი კაცი თავისი ჭირის მჭამელიაო.
- ყოველი ყური ვერ შეძლებს ზეაშიადისა სმენასაო.
- ყოვლი საათი ჩვენ გვკოდავს, უკანასკნელი — გვკლავსაო.
- ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა.
- ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს.
- ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი.
- ყორანმა შაშვის ჯაფრითა შროშანი მოჰკლა ბრაზითა, — მიზეზი გნებავს იცოდე? — შენც შავი ხარ და ისიცა.
- ყრმა გასულ-გამოსული სჯობს, ქალი — კერის პირს მჯდომარე.
- ყრმა სწავლაში მომშვიდლების, რკინა ცეცხლში გარბილლების.
- ყრუსთვის ორჯერ არა სწირავენო.
- ყურმა თქვა: უცხო-უცხო ამბები მესმის და იმიტომ არ ვიზრდებაო.
- ყურძნის სიყვარულით, ვაზს ეხვეოდნენო.
- ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო.
- ყურძნის ქურდი იანვარში გამოტყდებაო.

## უ

- შავი მიწის მეტი კაცის თვალს ვერა გაადლებს-რაო.
- შავი მიწისთვის ბეწვიც კი დასანანიაო.
- შავი ტრაკი, თეთრი ტრაკი — აბანოში გამოჩნდება.
- შავი ცხვარი ბანვით მოჰკლეს, თეთრი — დაუბანლობითო.
- შავი ძაღლი, თეთრი ძაღლი — ორივეა მამაძაღლი.
- შავი ძაღლი ტურას ბიძაშვილია.

- შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა სულ ყველას სმა უნდა? პირზედ მომდგარსა სიტყვასა, განა სულ ყველას თქმა უნდა.
- შავ მთასა შავი ყორანი აროდეს დააკლდებო.
- შავ ღორს გინდ აღმა დაფხანე, გინდ დაღმა, მანინც ღორია და ღორიო.
- შავ ღორს შავი ფერი არ დაეღვევაო.
- შარიანმა, შარის გულისათვის, შარა მოხნაო.
- შარშან მამიდა მომიკვდა, წრეულს ახდა, ვაგლახ მეო.
- შარშან ჩემი შვილი ცხენს აჭვნებდა, წრეულს ვეღარც კი გააჩიქნიქაო.
- შაშვსა არ უნდა ლაგამი, არც ბულბულს — უნაგირიო.
- შეაქეს მურია და შეაჭამეს მგელსო.
- შეგნებულებთან ჭირი სჯობს, შეუგნებლებთან ლხინსაო.
- შეგნებული ქურდობა შურისძიებას ჰგავსო.
- შემატოს მღვიძარესო, შემოაკლდეს მძინარესო!
- შემოდგომაზე ბუზი მწარედ იკბინებო.
- შემოყარა ტანკი ბლომად, რუსმა, მიწაპარიამ: ის, რაც ხელთ მაქვს, ცოტააო, უფრო მეტი მწადია.
- შენახულს შემნახავი უნდა სჯობდესო.
- შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელელები წყლულისა.
- შენ გვედრები, შენს დიდ გზაზედ ლოცვით მარები, არ დაუკეტო, საქართველოს პონტის კარები.
- შენ გეუბნები, კედელო, კარგად გესმოდეს, რეგვენო.
- შენ გძინავს, ვალი კი იზრდებო.
- შენ იმისი გეშინოდეს, ვისაც შენი ეშინისო.
- შენ მოგელოდი, მიმჭირდა მოლოდინითა შენითა.
- შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია?
- შენ რა იცი დამბლა ქოსა, რა გემო აქვს თამბაქოსა?
- შენ რას იკვები, მამულო, ყანა ამინდის შვილია.
- შენ რომ გგონია ერბო ქონია, რომ გადადნება, ქორის ქონია.
- შენ რომ სასწავლად მიდიოდი, მე ნასწავლი მოვდიოდიო.
- შენ რომ მიდიოდი, მე მოვდიოდიო.
- შენ შენი ნომერი იცოდეო.
- შენ შეძენა თქვი, თორემ შინიდან გატანასა და გასხვისებაზე ადვილი არაფერია.
- შენ წისქვილში წაბრძანდი და მე ქორწილში წავეთრევიო.
- შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალეებისა.
- შენ ხილი იხილე, მეხილეს რას კითხულობო.
- შენს სახლში შეიხედე და კარში ისე გაიხედეო.
- შენი გულისპასუხი შენს ცოლსაც არ უთხრაო.
- შენი ბატონი ათ წელიწადს ვირად რომ გყავდეს, ჰაცე, მანინც არ

- უნდა ჰკადროს.
- შენი ბატონი ხიდად რომ გაგედოს, ზედ ნუ გაივლიო.
  - შენი თუ არ იცოდე, სხვისა მაინც დაიჯერეო.
  - შენი კარი გააღვეი, სხვისა ღია დაგხვდებაო.
  - შენი მეზობელი შენს სხვენზეაო.
  - შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე.
  - შენი წახდა და შენი გაძღაო.
  - შენი ჭირიმე, გუთანო, პური მაჭამე მუდამო.
  - შენი ჭირიმე, ხანჯალო, რკინაო ხვარასნისაო, შენ ერთადერთო იმედო, მტრისაგან გამოსხნისაო.
  - შენიჭირიმეთი — შვილი არ გაიზრდებაო.
  - შენი ჯაგლაგი გერჩივნოს, სხვის ბედაურსაო.
  - შენი ჯაგლაგის ჭენება გერჩივნოს, სხვის ბედაურის ჭენებასო.
  - შენისთანა კარგი ბიჭი სოფელს უნდა ფლავენობდეს.
  - შენს მოკეთეს სამჯერ მოჰქაჩე, თუ არ მოვიდეს, უკუ ჰკარ და გააგდეო.
  - შენს მტერს თუ ხელთ აქვს ისარი, ნურც შენ გიჭირავს ფიცარი.
  - შენც გინდოდა, მეც მინდოდა, მოციქული რად გვინდოდა?
  - შენც იგი უყავ სხვასაო, რაც არგებს შენსა თავსაო.
  - შემორიგებული მტერი კიდევ უფრო მტერიაო.
  - შეუდექი აღმართსაო, ნურას იტყვი მართალსაო.
  - შეუცდომელი მამაცი გულოვნად გამბედავია.
  - შექანებულ კაცს ჭკუა არ მოეკითხებაო.
  - შექანებული კაცი თავსაც დაღუპავს და სხვასაცო.
  - შექანებულის პატრონს დამეც უნდა ედვიდოსო.
  - შეშინებული ძალდი ერთ წელიწადს ბურქს უყეფდაო.
  - შეჩვეული ჭირი გერჩივნოს, შეუჩვეველ ღზინსაო.
  - შეჩვეული ჭირი სჯობს, შეუჩვეველ ღზინსაო.
  - შეჩვეულს ნუ გადააჩვევ, შეუჩვეველს ნუ დააჩვევო.
  - შეცდომა ვის არ მოსვლია, დროზე მიხვედრილან და გამოუსწორებიათო.
  - შეძახებული — წყალწაღებულიო.
  - შეძლეული ძალღმაც არ ინდომაო.
  - შევბის ცრემლი ახალი გზის დასაწყისის დარიაო.
  - შვიდ მაისს რომ შვიდი ძირი ჯეჯილი იდგეს, ყანად იქცევაო.
  - შვიდმაისის წვიმად არ ღირსო.
  - შვიდმაისის წვიმაო და თმა — კოჭებამდეო.
  - შვიდ სადილზე რომ შეესწრო, შვიდი ლუკმა აიდეო.
  - შვიდჯერ თვალი გადაავლე, ერთხელ ხმალი გადაავლეო.



- შვილი თუ ტყუა — მამაც ტყუაო.
- შვილი მამას თამაშს ასწავლიდაო.
- შვილი მამაზე ყოველთვის უმცროსი იქნება და საკუთარი ადგილი უნდა იცოდესო.
- შვილი მამით ამაყობს და მამა — შვილითაო.
- შვილი მტრად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო.
- შვილი შშობელს თვალს არ უბრიალებსო.
- შვილი რომ გაიზრდება, თავი გარდანქექმანი ჰგონია და თავისას ჯიუტად მიერეკებაო.
- შვილი რომ დედის დაკრულზე მამამისს გაედავება, თან გაირთულებს ცხოვრებას, უმადურს დაედარება.
- შვილი რომ მამას დაეჭიდება, მისი საქმე წამხდარიაო.
- შვილი რომ მამას მტრად მოეკიდება, ოჯახსაც დააქცევს და საკუთარ თავსაცო.
- შვილი რომ შშობლის ერთგულებას ვერ დაინახავს, მისგან სხვა სიკეთეს ნუ მოელოთო.
- შვილი რომ სიზარმაცეს დაეჩვენება, ბეჯითობა აღარ მოენატრებაო.
- შვილი, ვინც მამის ამაგს აფასებს, ღმერთი წყალობით იმას აავსებს.
- შვილი რომ მტრულად გაზარდო, მოყვრულად გამოგადგება.
- შვილი ჩემია, მაგრამ ჭკუა კი თავისი აქვსო.
- შვილიშვილი ბაბუას ლაქლაქს ასწავლიდაო.
- შვილმა გიდალატოს, — ცოდვაა, რომელსაც ვერასდროს მონანიებსო.
- შვილმა გული გაიარა, შვილიშვილმა — გულისგულიო.
- შვილმა საქმით უნდა დაამტკიცოს ერთგულება და არა გადაპრანჭული სიტყვითო.
- შვილმა ხელისგულზე თუნდ ერბო-კვერცხი მოიწვას, დედის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო.
- შვილმაც კი შეიძლება ყველაფერი დაკარგო, თუ დედ-მამას მისაგებელს არ მიაგებო.
- შვილმკვდარი დედის წყევლას მკვლელი ვერსად წაუვაო.
- შვილს რომ მამას აუმხედრებს, არც დედაა, არც ცოლიო.
- შვილსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა — ნაწიბურიო.
- შვილსაცა და შვილის მკვლელსაც — სამართალი ერთი უნდა.
- შვილს დედ-მამა ხაზინა ჰგონიაო.
- შვილის მკვლელმა დედას უმტრო, დედა გაამწარაო.
- შვილო, განსოდე, იცოდე, არავინ მოგატყუოსო, ნუ დაუჯერებ სხვის სიტყვას, გულისთქმას უერთგულეო.

- შვილო, რადა მკლავ, რას მერჩი, კარგის მეტს რას გამოძრჩიო.
- შვილო, მამის წინააღმდეგ, სატანას ნუ ეკვრებიო.
- შვილო, ურჩხულის მოკლულს, სანთლებად დაგედევნეთო.
- შვილო, უსმინე მამასა, ნურც დედას გაურბიხარო, უყვარხარ მშობლებს, იცოდე, არ ენლო არაგისაო.
- შვილო, ყური დამიგდეო და, შენ რა გესმის, დაბერდიო.
- შვილო, ჭკუა მოიხმე და გულისთქმას ნუ აჰყვებიო, „რჩევებს“ ბევრი დაუდუპავს, მათსავით ნუ წახდებიო.
- შიგ ჩაგაგდე თონისტოლა — გამოვიდა ქოთნისტოლა.
- შიმშილს მისაჭმელი არ უნდაო.
- შიმშილს საწები არ უნდა და ძილს — სასთუმალიო.
- შიმშილმა ხმელა არ იცის და სიცოცხლე — ძველაო.
- შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.
- შინაურულად გაყოფილი კაცი მუდამ გასაყოფი იქნებაო.
- შინაურ ქურდზე უარესი, ცხოვრებაში არაფერიაო.
- შინ დაბარებული, გარეთ არ გამოდგებაო.
- შინ მოტანილი — ქვაც ქადააო.
- შინმოუსვლელი და მკვდარი ერთიაო.
- შინ მცემენ — კარში ვერ მითქვამს, კარში მცემენ და — შინაო.
- შინ რომ უფროსი არ გყავდეს, დედაბოძს დაეკითხო.
- შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრუკვილობა.
- შიში მაჩვენე და მუხლს გაჩვენებო.
- შიში მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.
- შიშს დიდი თვალები აქვსო.
- შიშის დროს კაცს ღმერთი აგონდებოდა.
- შობა დიდი სასწაულიაო.
- შოლტი ისე მოიქნე, შენვე არ მოგ ხვდესო.
- შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მოდიო.
- შორეულ მოყვარეს — ახლობელი მტერი გერჩივნოსო.
- შორეულ ცხენოსანს — მახლობელი ვიროსანი სჯობიაო.
- შორსმჭვრეტელი ვაჟიშვილი მამას განაწყენებსო?
- შრომა ვისაც ეჯავრება, მას სიცოცხლეც ეზარება.
- შრომას დანახვაც უნდა და დაფასებაცო.
- შუაკაცის გული — ხალვათიაო.
- შუბი ხალთაში არ დაიმალება.
- შურიანები კვდებიან, შური კი ისევ რჩებაო.
- შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებოდაო.
- შური დაფრენს ჰაერში და სიკეთე კი — მთლად ერშიო.
- შური რწმენას ისე ჭამს, როგორც ცეცხლი — შეშას.

- შურმა ღვარძლი აღორძინა, ღვარძლმა ნიჭი ასამარა.
- შურმა ღირსება არ უნდა დაგაკარგეინოსო.
- შურმა შური ვერ იგუა, ორივემ კი — სიკეთეო.
- შუღლი და ძნელი საქმე დიაცისაგან და ძაღლისაგან ხდებო.
- შუღლში უპატიოსნო სიტყვას ნუ იტყვი, თორემ შერიგებაში შეგ-რცხვებო.

## ჩ

- ჩადენილ ცოდვას არ დაგიფიწყებენო.
- ჩადენილის გააზრება მკვლელს გასტანჯავს, ძილს გაუფროთხობს, თავ-ბედს დააწყველინებსო.
- ჩათრევას — ჩაყოლა სჯობია.
- ჩალად უჩს ყოვლი ქვეყანა, მისვე ჩალისა წონითა.
- ჩამავალი შზე ამომავალ მთვარეს თვალს ვერ უსწორებსო.
- ჩამომხვრჩალის ოჯახში თოკზე ვინ ილაპარაკებსო?
- ჩანგო, ბევრი კარგი დღე ერთად გვიტარებია.
- ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო.
- ჩანჩალა კაცი წინ ვერ წაგაო.
- ჩასაფრებული მკვლელი ლაჩარიო.
- ჩახმახს ნუ მოსწევ სხვისასა, თუ ფული არ გაქვს ქისასა.
- ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დარამასა, არ დამეხს-ნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა.
- ჩემი ავლადიდება — კურდღელს აეკიდება.
- ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწყვიტო?
- ჩემი გასამტყუნებელი, თოხი დამრჩა ახოშიო.
- ჩემი გამოჭედილი ხატის ამბავი მე მკითხეო.
- ჩემი გაჭედილი ხატის მადლი — მე თვითონ ვიცეო.
- ჩემი ენა — ჩემი მტერი, იგივე — მეგობარი ჩემი.
- ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.
- ჩემი მტერი — ჩემი სინიღისიო.
- ჩემი ურგები ქოთანნი — ქვას და მაწონი — ძაღლსო.
- ჩემი ურგები, შვილიც არ მინდაო.
- ჩემი ურგები, მარჯვენაც არ მინდაო.
- ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევაწონე.
- ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.
- ჩემი ცხოვრების გზა სინმარია და შორეული ცის სილაყვარდე.
- ჩემი ჭამა ჭამა არის, სხვისა — ჭაპა-ჭუპაო.

- ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა.
- ჩემმა დაჭედვილმა ჯორმა წიხლი ისევ მე მკრაო.
- ჩემმა ენამ მტიკაო.
- ჩემმა საქმემ წელი მომწვევია და სხვისამ — გულიო.
- ჩემმა ტიკტიკა ენამა, ისევ მე მხია ყბაშიო.
- ჩემს იქით, თოფი გინდ კუნძს მოხვედრია და გინდ კაცსაო.
- ჩემს მუნთან თავზეც შემოჯდება მწერიო.
- ჩემო კარგო ქვეყანაჲ, რახედ მოგიწყენია, აწყო თუ არა გვწყა-  
ლობს, მომაგალი ჩენია.
- ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო, ოდესღაც დიდი ყოფილა საქა-  
რთველო.
- ჩვენ, ერთმანეთისაგან, მხოლოდ თოხი და ბარი გაგვერისო.
- ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვედვს, ყველამ გაიგოს, ყველამ  
იცოდეს.
- ჩვენ უნდა ჩენი ვშვათ მყოლობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომაგალი  
ხალხს.
- ჩვენ, შეიძლება, ბრძოლაში მოგვედეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ  
სიცოცხლეს.
- ჩენი ქვაბი და მეზობლის ბატი სწორი-სწორ მოვიდნენო.
- ჩენსა მოხვალ, ღვინოს ყლურჭაჲ, თქვენსა მოვალ — თვალებს ხუ-  
ჭაჲ.
- ჩენს ბატონს გაუვიდაო და ნამუსი წაუვიდაო.
- ჩენც მართალნი ვიქნებითო, როცა აღარ ვიქნებითო.
- ჩვეულებამ პანდური მკრაო.
- ჩვეულება — რჯულზედ უმტკიცესიაო.
- ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, ღვენა სულ ზედმეტი იყოო.
- ჩიტი ბდღვნად არ ღირსო.
- ჩირის მარცვალის ღვივდება, თუკი დაგარდა ხნულზეო.
- ჩიტი მთაში გაიზარდა და ისევ მთას შეაკვდაო.
- ჩიტი მისდევდა კაკაბსო, პირში ართმევდა კაკალსო.
- ჩიტი მოკლა ხველამაო, შაშვი — თავისტეხამაო.
- ჩიტი რომ ოქროს გალიაში ჩასვა, მანც ტყვედ დარჩებაო.
- ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადიც იქ არისო.
- ჩიტი ღობეს შეეზიზნა — ქარს ნუ გამატანო.
- ჩიტი — ფრთითაო, ქალი — თმითაო.
- ჩიტს აფრენა ეწადა და ხელის აქნევას ელოდებოდაო.
- ჩიტის ნანახი კანაფი არ გაიზარებსო.
- ჩიჩიაც უნდა და ბაბაცო.

- ჩიზინა კაცი ბევრ კურდღელს გააქცევსო.
- ჩიქორა ცემით მოკლეს, რატომ ძმა არა გყავსო.
- ჩოჩივე-კოკოითუბო, დაიმახსოვრეთ წყვილად, — მამა-პაპათა საძვალეს ქართლში ნუ ეძებთ ტყვილად.
- ჩოჩივეის წინაპარი იქ, შორს, ძაუგს ასვენია, ცხინვალში ზის, ქართლის მიწას, იჩემებს და არ რცხვენია.
- ჩუმჩუმელობა ოჯახის დამქცევიაო.
- ჩურჩული და კურკურიო, ბაღში გალობს ბულბულიო.
- ჩურჩულმა ქვეყანა ამოაგდლო.
- ჩუქებას ჩუქება უნდაო.
- ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა, მეტის-მეტსა.
- ჩქარი სიტყვაში, მცდარი საქმეშიო.
- ჩხაგანა კატა თავგს ვერ დაიჭერსო.
- ჩხაგანა კატა მახეში გაბმულ თავგზე გაიმარჯვებსო.
- ჩხირი — კედელს, ვირი — მჭედელს.
- ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევსო.
- ჩხუბი შეიძლება მტრობაშიც გადაიზარდოსო.
- ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგებისას შეგრცხვესო.

## ც

- ცა მწყალობდეს, ღრუბელი რას დამაკლებსო.
- ცა მტკაულით არ გაიზომებაო.
- ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნადო.
- ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება.
- ცალკ-ცალკე მომჩივანი ბატონს ორივე მართალი ეგონა.
- ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდო.
- ცარიელი თავი ფეხებს არ ასვენებსო.
- ცარიელი ტომარა ფეხზე არ დადგებაო.
- ცარიელმა თითმა პირი გამოქლიბაო.
- ცარიელ ჯამში ხელს არაჟინ ჩაჰყოფს.
- ცას არაჟინ შეაბერდება.
- ცაცი ძირს ვერ დადიოდა, ხეზე დაბაჯბაჯვებდაო.
- ცდა ბედის მონახვერეაო.
- ცდება, ვინც ფექრობს, რომ მკვლელის ხსნა შესაძლებელია.
- ცდომილებას ათასი გზა აქვს, ჭეშმარიტებას — ერთი.
- ცეკვას დათვსაც ასწავლიანო.
- ცეტისთვის მუდამ აღდგომააო.

- ცეცხლი თივაში არ დაიმალება.
- ცეცხლს ნუ ეხუმრები, წყალს ნუ ერწმუნებიო.
- ცეცხლს ხელსა ვკიდებდი და გულსა მწვავდაო.
- ცეცხლი ისე ჩააქრე, ბოლი არ აუვიდესო.
- ცეცხლს გამოქცეული, წყალში დაიხრჩობაო.
- ცეცხლი და წყალი — არც ერთი სანდო არ არისო.
- ცეცხლის პატარა ნაპერწკალი დიდ გორას გადაწვავსო.
- ცვარში დახრჩობას ზღვაში დახრჩობა სჯობიანო.
- ცვარი ცვარსა ჰკარ, ზღვად გადაიქცევაო.
- ცვარი წვიმა კი არ არის, მაგრამ მისებრ მარგებელიაო.
- ცვრიან ბალახში თუ ფეხშიშველი არ გავიარე, რაა მამაული.
- ცვილი რვალად არ გამოდგებაო.
- ცვილსა ცეცხლის სიმხურვალე უგავს, ამაღ აენტუბის, მაგრა წყალსა არსით ახლავეს, თუ ჩაფარდეს, და-ცა-შრტების.
- ციფი ღომი — კარამდე, ხინკალი — მთამდეო.
- ციება კაცსა თუ სიცოცხლეში არა, მკვდარს მაინც გაუვლისო.
- ცინგლიანი კაცის მიზეზი ავი დარიაო.
- ცინიკოსი მკვლეელი ათასგზის მკვლეელიაო.
- ცისარტყელას დარი მოსდევს.
- ცის ვალი დედამიწას არ შერჩენია და დედამიწისა — ცასა.
- ციხე ვისიცაა, მინდორიც მისია.
- ციხე შიგნიდან გატყდება.
- ციხეს კარი უნდა, კარს უკან — კაციო.
- ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები.
- ცოდვაა კაცი სუფრასთან, ტყვერება ოხრად და თვრებაო.
- ცოდვა გამჟღავნებული სჯობია.
- ცოდვა კაცს არ მოასვენებს.
- ცოდვით დამძიმებულ მკვლელს მიწაც ვერ ზიდავს.
- ცოდვაჲ, გაანებე კაცს თავი, დაიცა, ჯერ კიდევ პირში სული უდგასო.
- ცოდო კაცს არ დააყენებსო.
- ცოდო — შვილიშვილამდეო.
- ცოდნა გონების ფარია, თუ რომ არავინ არიაო.
- ცოდნა სამოთხეა, არცოდნა — ჯოჯოხეთიო.
- ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა — სიბნელეო.
- ცოლი გყავსო და, — გაღმა კაცსა ჰყავსო.
- ცოლი შერთეს უნდილასო — ეგრე იყო უწინაცო.
- ცოლი — ხალხი არ არის, იგი დიდხანს არ მოგიტმენსო.
- ცოლმა უკეთ იცის, ვის ჰგვანან შვილებიო.

- ცოლს დიდი ცოში უნდაო.
- ცოლს ნუ უწვევ ლაზობასა, არ მოგიშლის ბრაზობასა.
- ცოლსა დიდი ცოში უნდა, ასი ლიტრა საფანელიო.
- ცოლის ამორჩევაში უფრო ყურები მოიშველიე, ვიდრე თვალები.
- ცოლო, ბიჭი გამიჩინე, ტალიკი და ბუთხუნაო.
- ცოლ-ქმრობა ნებიტაო.
- ცოლ-ქმარს შორის ამტყდარ კოცონს, შვილმა ნაუთი არ დაასხას.
- ცოლ-ქმრის ამბავი მარტო ლოგინმა უნდა იცოდესო.
- ცოლ-ქმრის ლაპარაკი რეგვენს გაყრა ეგონა.
- ცოლ-ქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონა.
- ცოლ-ქმრობის საქმე ცაში რიგდებაო.
- ცოტა და კარგი ნახნავი სჯობია, ბევრსა და ხარვეზიანსა.
- ცოტა თქვი, ბევრი გაიგონეო.
- ცოტა ილაპარაკე, ბევრი მოისმინეო.
- ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგნით სიკეთე მიუწვდომელი.
- ცოტა მეძინა, ბევრი მესიზმრაო.
- ცოტა მიწის მხველ-მთესველი ღმერთს ემდურებოდაო.
- ცოტა მოთოხნე — ცოტა მოხოხნეო.
- ცოტა საგზალს კბენით ჭამა უნდაო.
- ცოტა ნახნავი სჯობია ბევრსა და ხარვეზიანსა.
- ცოტა რამ კვერის დამკვერელის ხელშიც არისო.
- ცოტა ყოველთვის დარჩებაო.
- ცოტავ, სად მიხვალ და — ბევრთანაო.
- ცოფიან ძაღლს, სადაც მოჰკლავენ, იქვე დამარხავენო.
- ცოცხალ გენიოსს არაუინ აფასებს, მოკვდება და — ქებად გაიკრიფებიან.
- ცოცხალს არ ეცვა კაბანი, მკვდარსა ჩააცვეს ფარჩანი.
- ცრუ და მუხთალი სოფელი მიწვივ ავისა მქმნელია.
- ცუდად გაზრდილი შვილი დედის სირცხვილია და მამის მწუხარებაო.
- ცუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმსგავსო ნდომანი.
- ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობიანო.
- ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი.
- ცუდი მეზობლის ჭირიმე, კარგი რაღა იქნებაო.
- ცუდი მეზობელიც კი — მეზობლისთვის ამომავალი მზეა და კარგი რაღა იქნებაო.
- ცუდი, უსაქმური კაცი სულ მშიერი იქნებაო.
- ცუდი შემნახავი, მტერზედ უარესიაო.
- ცუდი შემნახველი ქურდზე უარესიაო.

- ცუდი ჩვეულებებისათვის ჭკვიანსაც სულელს დაუძახებენო.
- ცუდ მოყვარეს კარგი მტერი სჯობიაო.
- ცუდ მუშას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო.
- ცუდმა სახლმა, ცუდმა კაცმა, კარგი ავად მაქციაო.
- ცუდმა მჭედელმა თავისი წაადლო.
- ცუდობა და უსაქმობა კაცისათვის დიდი ჭირიაო.
- ცუდს არ მაკადრიანო და კარგს არ მაღირსიანო.
- ცუდს ნუ იფიქრებ და არც იზარალეო.
- ცუდთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნვებს.
- ცული პატარაა, მაგრამ დიდ ხეს წააქცევსო.
- ცულით პატარა ხელი დიდ ხეს მოსჭრისო.
- ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრად გნახეო.
- ცხარე ქოთანი თავის თავს გახეთქავსო.
- ცხარე ძმარი თავის ჭურჭელს გახეთქავსო.
- ცხენი, მარტო მორბენალი, მუხლ მოკლელიც გამაღლების.
- ცხვარი ვის კარზეც დაიბლაგვლებს, იმისიაო.
- ცხვარი შიმშილითა კვდება, თხა — კიკინით გამოვიდაო.
- ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდა ცხარიაო.
- ცხვარი უთხოდ არსად წავაო.
- ცხვარს უთქვამს: ღუმა არ მიშლიდეს, ასეთს გაგიქცევი, ვერავინ დამეწევაო.
- ცხვრადღე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა.
- ცხვრის ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ დარჩებაო.
- ცხენი დაბერდა და თოხარიკი მერე ისწვლაო.
- ცხენი თუ არ ამუშავე — ბატონიაო.
- ცხენი თუ სადავით მიგყავს, სიარულით არ დაიღლებიო.
- ცხენი ჯობს მდგომიარე, ხარი — მწოლიარეო.
- ცხენიდან გადმოვარდნა სჯობს — ვირიდან გადმოვარდნასო.
- ცხენიდან გადმოვარდნილი — ვირმაც არ შეისვაო.
- ცხენიც კი არ წავა უმათრახლო.
- ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირს დაუწყო მტვრევა.
- ცხენს კუდს მოედანზე თუ მოსჭრი, ზოგი გრძელს იტყვის, ზოგიც — მოკლეს და დაგიმაზინჯებენო.
- ცხენს თავისივე ფეხებით იპარავენო.
- ცხენს მისივე ფეხები იპარავსო.
- ცხენსა სჭედღენ და ბაყაყმა ფეხი აიშვირა, მეც ნალი დამაკარითო.
- ცხენზე ვიჯექ, ვირზე შემსვესო.
- ცხენის სიკვდილი ძაღლების ქორწილიაო.
- ცხენის მოლოდინით კაცი სიარულით არ დაიღლებაო.



- ცხენდაფარდნილ კაცს შინ მშვიდობით მისვლის მეტი, რა ეთქმისო.
- ცხვირი პირიდან არ მოიჭრებაო!
- ცხვირი რომ არაა, თვალები ერთმანეთს დასჭამდნენო.
- ცხვარმა თქვა: მთელი მთები რომ მოვიარო, ვერ გავძლები, მაგრამ მწყემსი მეცოდებაო.
- ცხვრის დუმას არა სჭამდნენ, უკან აბიაო.
- ცხვრის ქურქში გახვეული სატანა ზრდილიც არის და თავაზიანიც, ვიდრემდის მსხვერპლს დაიძარტოხელებდეს და სატევარს შიგ გულში ჩასცემდეს.
- ცხოვრება შინაარსით იზომება და არა სიგრძით.
- ცხოვრებაში მშვიდად და ღრმად მხოლოდ მას სძინავს, ვისაც სუფთა აქვს სინდისი, რბილი აქვს ბალიში და ცოლი ჰყავს უღამაზო.
- ცხოვრების ეტლის სადარებელი საცაა გავა მატარებელი.
- ცხრა მთას აქეთ ნაქნარი, ცხრა მთას იქით დაგვხვდებაო.
- ცხრა მექოთნეს ერთმა მტეხელმა აჯობაო.
- ცხრა თვე მუცლით გატარებდი, ვაით გშობე, ვუთ გზარდე და რად გიკვირს, ყველა ქალზედ უფრო, დედას რომ უყვარდე.
- ცხრა პატარძალს ერთი ცოცხი სჯობიაო.
- ცხრა რძალი მოვიყვანე და ცხრა თავი საქმე მომემატაო.
- ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბვერი ფონაო.
- ცხრა ქალის ჭკუა ერთ თხილის ნაჭუჭში ჩაიდება და კიდევ ადგილი დარჩებაო.
- ცხრაჯერ ძველმა გამახარა, ერთხელ — ახალმაო.

## ძ

- დაბუნს თავისი თავი ეჯაფრებაო.
- ძალა აღმართსა ხნავსო.
- ძალა ერთობაშიაო.
- ძალად გატანებული ძალდი ცხვარს არ გამოადგებაო.
- ძალად დასმული კრუხი წიწილებს ვერ გამოჩეკავსო.
- ძალად მაცხონეო.
- ძალად მიდევნებული მწყვარი კურდღელს ვერ დაიჭერსო.
- ძალადობა საპასუხო ძალადობას შობსო.
- ძალადობა და ზეწოლა პიროვნების თავისუფლებას ბორკავს და აკნინებსო.
- ძალა მდგვრისა, გახტომა — ფურირემისაო.
- ძალით მოსული სტუმარი ჭირზედაც უარესიაო.

- ძაღლები წაიჩხუბნენ, მათხოვარს გაუხარდაო.
- ძაღლი ახსენე და ჯოხი გვერდზე მოიგდევო.
- ძაღლი ბოლომდე ერთგულია, ქალი — შემთხვევამდევო.
- ძაღლი გაკრიჭეს და პატრონი გამოჩნდაო.
- ძაღლი დასაქმეს და მანაც — თავისი კუდიო.
- ძაღლი ვინც მოჰკლა, მანვე გადაათრიოსო.
- ძაღლი ისე ვერ დაწვება, მუცელი არ გამოუჩნდესო.
- ძაღლი იყეფებს, იყეფებს, ბოლს კი გაჩერდებაო.
- ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო.
- ძაღლი ლეკვობისას გამოიზრდებაო.
- ძაღლი მყავდა ახარაო, მე მრცხვენია, მას არაო.
- ძაღლი რაც უნდა გაწვრთნა, ყეფას მაინც არ მოიშლისო.
- ძაღლი სადაც სვლუპსო, იქვე ჰყეფსო.
- ძაღლი სამჭედლოდან ვერას გაიტანსო.
- ძაღლი საყასბოს არ მოშორდებაო.
- ძაღლი სხვა ქვეყანაში კუდამოძუებული დადისო.
- ძაღლი ქლიბს ლოკავდა და სარგებელს გამოელოდაო.
- ძაღლი შინ არ ვარგოდაო — სანადიროდ გარბოდაო.
- ძაღლი ჩვენია, მაგრამ საყელო სხვისა უკეთიაო.
- ძაღლი — ძაღლის ტყავს არ დახვესო.
- ძაღლი — ძაღლობას და გველი — გველობას არ მოიშლიანო.
- ძაღლი ძაღლურად მოკვდებაო.
- ძაღლი — ხსენებაზეო.
- ძაღლი ჰყეფს, ქარაჯანი მიდის.
- ძაღლიც კი საწყალ კაცს დაეწევაო.
- ძაღლმა თუ ურემს დაუწყო დევნა, მარხილსაც გაჰყვებაო.
- ძაღლმა რომ კუდით შინ რაიმე მოიტანოს, ისიც ხეირაო.
- ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო.
- ძაღლს დაუმეგობრდი, მაგრამ ჯოხს ხელიდან ნუ გააგდებო.
- ძაღლს თავის კარზე დიდი გული აქვსო.
- ძაღლს რომ გააძღებ — გიკბენსო.
- ძაღლს ქვა ესროლე, პატრონი გამოუჩნდებაო.
- ძაღლს — ძაღლი იცნობს და კაცს — კაციო.
- ძაღლს ძაღლის ნაკბენი არ ეტკინებაო.
- ძაღლს ძვალი ეწუნებოდა და მეორე ძაღლმა წაართვაო.
- ძაღლსა ჰკითხეს: რად იყეფებო? — ნადირსა ვკვლევო; კუდს რა-  
ღად იქნევო? — მეც მეშინიაო.
- ძაღლისა — ყეფაო.
- ძაღლის ბატკანი ვის უნახავსო?

- ძაღლის კუდი თხუთმეტ წელიწადს კალაპოტში იდო, მერე გამოიღეს და — ისევ მოღუნული იყო.
- ძაღლის კუდი არ გასწორდებაო.
- ძაღლის ნაკბენი ძაღლის ბაღანმა უნდა მოარჩინოსო.
- ძერამ წიწილა წაიღო და მელა ნაშოვარ სადილს გაეკიდაო.
- ძეძვებში ფულის ჩამყრელსა, აკრეფა გაუჭირდება.
- ძველთაგან ნაამბობია, ღონესა — ხერხი სჯობია.
- ძველი ბზე ვერცხლია და თივა — ცეცხლიო.
- ძველი გზა და მეგობარი სულ ადვილად იკარგება.
- ძველი თივა ძველდებოდეს, ძველი ბზე კი თათლდებოდესო.
- ძველი კაცის ნათქვამი ხშირად არის მართალი.
- ძველი ჩოხა და ნაბადი ზამთარში მოგეწონებაო.
- ძველმა — ახალი იცისო.
- ძილი სიკვდილის ძმა არისო.
- ძილი ძილის პურის ცომიაო.
- ძილმა — მიპარვა იცისო.
- ძილმა — მოპარვა იცისო.
- ძილს სასთუმალი არ უნდა, შიმშილს — შეჭამანდიო.
- ძილისგუდა ალიონს ვერასოდეს დაქვავაო.
- ძილის წინ სიზმარი ვის გაუგონიაო.
- ძლიერ სიყვარულს — ძლიერი სიძულვილი მოსდევს.
- ძმა რომ ძმასა გაეყრება, ვეღარ დასდგამს დიდსა ძმასა.
- ძმა ძმას არ დაარტყამსო, მაგრამ თუ წყალი წართვა, კეტსაც დასცხებსო.
- ძმა ძმისთვისაო და შავი დღისთვისაო.
- ძმა ძმისთვის დიდი ძალა და ფარიაო.
- ძმასთან განშორება ენით აუწერელი სასოწარკვეთა და ტკივილიაო.
- ძმამ ძმა ვერ იხსნა ჭირისგან, ვერ მოიოხა გულიო.
- ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები იყვნენო.
- ძმას გაეყარე და მტერი გაგიჩნდებაო.
- ძმამ ძმის ვერ იხსნა სიცოცხლე, აჯობა მკვლელის დანამა.
- ძმას შეხედო, პატარა ლუკმა ჩაიღე, ქმარს შეხედო — დიდი ლუკმაო.
- ძმას ძმისა რომ არა სწამდეს, ამით საქმე წახდებისო.
- ძმის დაკარგვით მოგერილ ტკივილს ვერაფერი აყუჩებსო.
- ძმის მოსვლამდე მეზობელმა განწირულს არ მიხედაო.
- ძმის სიკვდილი და-ძმისათვის ჭირზე უფრო ჭირიაო.
- ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი.
- ძმებს სიმიინდი რომ შემოეღევათ, მაშინ გაიყრებიანო.

- ძნა იწვოდა და ულო იცინოდა; მოიცა, ულო, შენთანაც მოვა ცეცხ-ლიო.
- ძნელზე ძნელია ატანა, როცა ზვიმობს სატანა.
- ძროხა, ერთი წლის ბერწობისათვის, არ დაიკვლებაო.
- ძროხამ თქვა: დასაბმელი მიშოვე და დასაწოლს მე ვიშოვიო.
- ძროხა რომ ადრე იბლაგლებს, გვიან მოიწველისო.
- ძროხა ხბოს იგებდა, მოზვერს შიშით გული უსკდებოდაო.
- ძროხას მარილი ატყუებს, კაცს — ენაო.
- ძროხას შეხედე და დო ისე ითხოვეო.
- ძუკნა ძაღლმა სინარბითო, ბრმა ლეკვები დაჰყარაო.
- ძუნწი კაცის პურ-მარილი მეტი იხარჯებოდესო.
- ძუნწი კაცის ჯამშია ლუკმა არ დასველდებაო.
- ძუნწს ხელიდან ქვიშას ვერ დააყრუენებო.
- ძუნწს სახელად ძუნწი ერქვა, არხეინას — ფანტიაო.
- ძუნწის ოქრო — მემკვიდრესო.
- ძუნწმა კაცმა თაფლი გასცა, უკან გაჰყვა ლოკვითაო.
- ძუნწი მდიდარი მათხოვარზე უარესიაო.



- წადი და მოდიო, განა წადი და დაიძინეო.
- წავალ-წავალა სტუმრები, სხედან და არ მიდიანო.
- წავიდა დღე და არა ხიფათიო.
- წამალს, სიგარეტს ზურგი ვაქციოთ, ცხოვრება ღზინად გადავაქ-ციოთ.
- წამხედურმა წაიხედა, წინა ფეხი წაიტეხა.
- წამწამი ისე არ გაიზრდება, რომ წარბს ასცილდესო.
- წარამარა მაგალსო მუცელი ატანს ძაღლასო.
- წარმწყმიდა წახედულობამო.
- წასვლა — იოლი, მოსვლა — გვიანო.
- წასვლა სჯობს წარმაგალისა, არ დაყოვნება ხანისა.
- წაჩხუბებულ ცოლ-ქმარს ლოგინი შეარიგებსო.
- წახდა მამულის პატრონი და არა შვილის პატრონიო.
- წახდა ჩემი ჭირნახული, ვერ მოვიმკე, რაცა ვთესი.
- წელიწადში ერთხელ ნებვიც აყვავდებაო.
- წესია, გული გაჰკრთების ამბავსა გასაკრთობელსა.
- წესი არის მამაციისა მოჭირვება, ჭირთა თმენა.
- წვეთის ცემამ — ქვა გახვრიტაო.

- წვერის დაგლეჯა სჯობია, ავ ცოლის ხელში ყოფნასა.
- წვიმა მოვა, მაგრამ ქვეყანას ვერ გასწვდებაო.
- წვიმა მოვიდა, მაგრამ ქვეყანას ვერ გასწვდაო.
- წვიმას ადვილად დაიჭერ, ვიდრე გასათხოვარ ქალსაო.
- წვიმიან დღეს ქათამი ბევრ წყალს დალევსო.
- წვიმიანი ამბლლება — ყანა მეტად ამბლლდება.
- წვიმის დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე გასათხოვარი ქალისაო.
- წითელ პარასკევს მიწა არ გაიჭრებაო.
- წითელ ღვინოს ჩვენში წამლად იტყვიანო.
- წითელი ძაღლი ტურას ბიძაშვილიაო.
- წვინტლიან კაცს ავდარი მიზეზად მოჰქონდაო.
- წითელი ოქრო შავი დღისთვისო.
- წითელი ცხენი წითელ ტყეში მოკვდაო.
- წითელი ხარი ვერ შესძლებს შავსა კამეჩთან ბრძოლასა.
- წითელო ვაშლო, შენ გესვრი, თეთრო — შენ ჩამოვარდიო.
- წითელო ხარო, ვერ შესძლებ მაგ შავს კამეჩთან ბრძოლასო.
- წინაშე მდგომი მტერი სჯობს, უკან მდგომ მოყვარესაო.
- წინანი უკან და უკანანი — წინაო.
- წინდა სიპატარავემ გაცვითა და პაჭიჭი — სიდიდემაო.
- წინ ნუ გაუსწრებ და უკანაც ნუ ჩამორჩებიო.
- წინ წასული თხაო, უკან ჩამორჩაო.
- წინ წასული ურეში უკან მოღრიჭინობდაო.
- წინ — წყალი, უკან — მეწყერი.
- წინა კაცი უკანასი ზიდაო.
- წისქვილი ორ ჩანახს ფქვაგდა, სამ ჩანახს კი სჭამდაო.
- წისქვილი სჯობია ვენახსა, რაც გინდა ძლიერ როშავდესო.
- წისქვილის ქვა მეორეს თუ არ დაეხმარა, ცალმა რამდენიც უნდა იბრუნოს, ვერაფერს დაფქვავსო.
- წისქვილიც ფქვავს და ენაცო.
- წისქვილი ჯერით ფქვავსო.
- წიწაკის თავს ვინდა ჩივის, როცა თესლიც მწარე აქვსო.
- წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო.
- წკაუწკაუა ძაღლი მგელს მოყვრობას ვერ გაუწევსო.
- წკნელი სანამ წვრილია, მანამ დაგრიხე, გაიზრდება — აღარ დაგ-მორჩილდებაო.
- წმინდა ბერი წმინდად გადაშენდაო.
- წმინდა ბერი წმინდად წაწყმდაო.
- წუთისოფელი შორიდან ყვაუილსა ჰგავს, ახლოდან კი ეკლიანი ჯაგებია.

- წუწკი ღორი სხვებსაც გასვრისო.
- წუწკი ცოლ-შვილის პატრონი უნდა იჯდეს და ოხრაუდესო.
- წყალი თუ სათავეში აიძვრა, ბოლომდე მღვრიედ ივლისო.
- წყალი მიდგება-მოდგება, თავის საგუბარში ჩადგებაო.
- წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო.
- წყალი — უმცროსს და ღვინო — უფროსსაო.
- წყალი უმცროსისააო.
- წყალი შეღმართსა ადგილსა რა შეხვდეს, დაწყნარდებაო.
- წყალი სათავიდან უნდა დაწმინდავდესო.
- წყალზე გასდე ხიდიო, მოისხი მადლი დიდიო.
- წყალსა სწრაფად ნუ დაასხამ ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა.
- წყალსაც ზოგვა უნდა, მისვლა-მოსვლა უნდაო.
- წყალწაღებული, ხავსს ეკიდებოდა.
- წვევლა მაწვევარსაო.
- წვევლამ თქვა: სწორ გზაზე დამაყენე, თორემ უკანვე დაგიბრუნდებო.
- წვლის წვეთი — ქვას გახეთქსო.
- წვლის წვეთმა ქვა გახვრიტაო.
- წყალობა — სიყვარულიაო.
- წვლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს.
- წყალნი წაუღენ და წამოუღენ, ქვიშანი დარჩებიანო.

## ჭ

- ჭადარი მალლა იზრდება, მაგრამ ნაყოფს არ იძლევა.
- ჭამა ერთი დღისა და საყვედური — ასი წლისა.
- ჭამა ქონებაზე ჰკიდაო.
- ჭამა — ძღომამდე და სმა — თრობამდეო.
- ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო?
- ჭამამ რა ქნა, ლოკვამ რა ქნასო?
- ჭამას რომ გადაეჩვია, მაშინ გაფშიკა ფეხიო.
- ჭამაში გამარჯვებული — საქმეში დამარცხებულიო.
- ჭამით უნდა გაძღე და არ გასკდეო.
- ჭამის დროს ძაღლსაც არ გალახავენო.
- ჭამის საზღვარი გაძღომააო.
- ჭამის ჭირს ყველანი ემალებიანო.
- ჭაში ჩახედვით თავს ვერ დაინახავო.
- ჭეშმარიტება დროში გრძელდია, რადგანაც კაცი ჭკუით თხელია.
- ჭიანი კბილი კაკალს ვერ გასტეხსო.

- ჭიანჭველა პატარაა, მაგრამ მთებს ანგრევსო.
- ჭიანჭველას თვალები არ ჰქონდა და ღმერთს ეხვეწებოდა — წამწამები გამომასხიო.
- ჭიანჭველას რომ ფრთები გამოუვა, ღმერთიც მაშინ გაუწერებაო.
- ჭიანჭველა ჯერ თვითონ რა არის და მერე მისი ფილტვ-თირკმელებიო.
- ჭიას რომ ფეხს დაადგამენ, ისიც ხმას ამოიღებსო.
- ჭიას უთქვამს: ისე პურს ვერ მომკი, ჩემი სამყოფი არ დარჩესო.
- ჭიაყელა რომ გველს წაეზმანება, შუაზე გაწყდებაო.
- ჭინჭრაქა გულადმა დაწვა: ცა რომ ჩამოვარდეს, ფეხებით დავიტყურო.
- ჭინჭრაქას ახედ-დახედე და ბარკალი ისე აართვითო.
- ჭინჭრაქას რომ ღმერთი გაუწერება, ხის წვერზე შემოფდებაო.
- ჭინჭრაქას — შვილი შევარდენი გამოუვიდაო.
- ჭინჭრაქა წამოდგა და თავისი ჭირი წამოაგდოო.
- ჭინჭრაქა ჯერ თვითონ რა არის და მერე მისი ქონი რა იქნებაო.
- ჭინჭარი — ჭირის ჭირიაო.
- ჭინჭრის ძირში ჭინჭარი ამოვაო.
- ჭირვეულობა რიგით არისო.
- ჭირი და ლხინი ძმები არიანო.
- ჭირი — ლხინის მოზიარეაო.
- ჭირი — მართალსაო.
- ჭირი — მეზობლის კარსაო.
- ჭირი სიდედრსაო, ლხინი პირთეთრსაო.
- ჭირი — ჭირს გაართობსო.
- ჭირიც აღარ მობრუნდება მეორედო.
- ჭირივით მძულს ლაქუცი და ფეხქვეშ ლიქნით გაგორება.
- ჭირმა შეჩვევაც იცისო.
- ჭირს მოგცემ, ჭირს დაგაგიწყებო.
- ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.
- ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.
- ჭირსაც გაძლება უნდაო.
- ჭირის სუფრასთან მეზობლის მანჭვა-გრება და სიცილი ბოროტებაა, — ღვთისგმობა, უზრდევლობა და სირცხვილი.
- ჭკვიანი ბოროტი გაცილებით საშიში და სახიფათოაო.
- ჭკვიანი ბუზი დოს დააჯდება — ქალაქს გაჰყვებაო.
- ჭკვიანი კაცი ტყეში მრუდე შეშას არ მოჭრის: აქ მე გამაწვალებს და შინ — ჩემს ცოლ-შვილსაო.
- ჭკვიანი მეურნე ერთგულ კაცს აფასებს და კარგადაც უხდისო.

- ჭკვიანი პატრონი ერთგულ კაცს აფასებს, ბრიყვი — ფეხებზე იკიდებსო.
- ჭკვიანი რომ შეცდება, ბრიყვზე უარესიაო.
- ჭკვიანისაგან ძაგება გიჯობს, სულელის ქებასაო.
- ჭკვიანი თავს ადანაშაულებს, სულელი — მეგობარსაო.
- ჭკვიანი კაცი გულს კი არა, გონებას უჯერებსო.
- ჭკვიანი ჩიტი ორთავ ფეხებით გაება მახეშიო.
- ჭკვიან კაცს სისულელე არ დაეღვეაო.
- ჭკვიანურ სიტყვას რეგვის ყურში სძინავსო.
- ჭკვიანს ბევრჯერ თავზე აზის ბრიყვი, ტლუ და საქმის ურგი.
- ჭკვიანს ერიდე ბოროტსა, ხიფათი არის ბოლოსა.
- ჭკვიანს — ჭკუით გადაახტუნებენო.
- ჭკვიანთან ომი გერჩივნოს, სულელთან ლხინსაო.
- ჭკვაზე მოდი, ხიდზე გადიო.
- ჭკუა ხანში კი არა — თავშიაო.
- ჭკუა ბევრსა აქვს, მაგრამ მოხმარება კი ცოტამ იცისო.
- ჭკუა — გონებაზე ჰკიდიაო.
- ჭკუა-გონებას ასპარეზი დიდი და ვრცელი აქვსო.
- ჭკუა გონებასთან ერთადაა ძლიერი და შეუვალიო.
- ჭკუა — გონების საღესავიაო.
- ჭკუა მოჰკითხე ჯეჟელსა, მოსწრება — მოხუცებულსო.
- ჭკუა საქმით გამოჩნდება.
- ჭკუა უნდა გონებასა, მოხმარება — ქონებასა.
- ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.
- ჭკუა ფულზე არ იყიდებაო.
- ჭკუამ მოსჭამა სოფელი — არ ხმაღმა ამოდებულმა.
- ჭკუას — მეზობლებში ვერ ისესხებო.
- ჭკუას მოხმარება უნდაო.
- ჭკუასთან ვინც მწყრალად არის, საკუთარ თავს სჯის და ჰგვემავს.
- ჭკუათამყოფელი გიჟს გარეთ არ გამოუშვებსო.
- ჭორი თქვი და მეჭორე ხელში დაიჭირეო.
- ჭრელი ღორი გინდ ზღვის გაღმა გაიყვა, გინდ — გამოღმა, მაინც ჭრელი ღორიაო.
- ჭრელი გველი ყველაზე საშიშიაო.
- ჭრელ-ჭრელი — გიჟის ლხინიაო.
- ჭურს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო.
- ჭური უძლები არისო.
- ჭერი იმიტომა გაქვს, შენი ნათქვამი სხვამ არ გაიგოსო.



## ბ

- ხაბაზის დამხმარე და ძაღლი — შმიერი დარჩებიანო.
- ხბომ თუ არ დაიბლაჟლა, ჯიქანთან არ მიუშვებენო.
- ხათრიანი კაცი სამოთხეში ვერ შევაო.
- ხათრი — ხათაბალააო.
- ხალხი აგამაღლებს და ხალხივე დაგამაღლებსო.
- ხალხი თუ გამოგეკიდა, წყალში გადაჟარდიო.
- ხალხი თუ გაქებს, მაშინ თქვი: დუშმანი მრავლად მყოლია.
- ხალხი მოგცემს აღმატებას, ხალხი მოგცემს დაღმატებას.
- ხალხი მირბოდეს — გაჰყევი, გაჩერდეს — გაჩერდიო.
- ხალხი ქვევრია: რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.
- ხალხი ღმერთს ეხვეწება და წაღდი — წვევრსაო.
- ხალხის სიყვარულით ბავშვები არ იზრდებიანო.
- ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა.
- ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად.
- ხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს.
- ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.
- ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესადა.
- ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა.
- ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული.
- ხანდაზმულს სიზმარიც დაეჯერებაო.
- ხანი გაივლის, ჭირიც გაივლისო.
- ხან სულ არაო, ხან სულ ვარხალალოო.
- ხანძარს ნაპერწკალი აჩენსო.
- ხარბი რომ სარგებელში შევა, კენესას მოუმატებსო.
- ხარბი სანამ არ გაიფცქენება, არ გაიქცევაო.
- ხარბმა ქორმა იხვიც გაუშვა და ვერც კაკაბი დაიჭირაო.
- ხარბის თვალს მიწა გაამღებსო.
- ხარი — მჭლე, ორმო — მსუქანიო.
- ხარი სანამ დახარდა, პატრონიც გათავდაო.
- ხარი — სხვისა, სახრე — ტყისა.
- ხარი ქირაზე მოკვდება, კოკა წყალზე გატყდებაო.
- ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.
- ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლაგს, თუ მეხრე შემხვდა ღვთიანიო.
- ხარმა ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდლო.
- ხარს მამობით მოსჭამენ და ფურს — დედობითაო.
- ხარს რქები არ ამძიმებსო.

- ხარს რქით დააბამენ, კაცს — ენითაო.
- ხარს უღელი მოუშვეს და ეგონა რომ მოსძვრაო.
- ხარმა იცვალა მხარია, ღმერთო შენ დაგვემხარია.
- ხატის ვალი მირჩევნია კაცისასო.
- ხაფანგში გაბმული მელა იძახდა: თუ მთელი ქათამი არ მომეცით, ბარკალს არ დაუჯერდებიო.
- ხე ერთი შემოკვრით არ წაიქცევაო.
- ხევი მთას ჰმონებს, მთა — ხეესა, წყალნი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ.
- ხე ნაყოფით იცნობაო.
- ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ წამოასხდებიანო.
- ხე სადაც მოიჭრება, ნაფოთიც იქ დაცვიფდებაო.
- ხე ფესვითა დგას, კაცი — მოყვრითაო.
- ხეა, ხეა, ხერაფანდი, ზედ ასხია შარაფანდი.
- ხედნა ცხენსაც რეებს და ყურსაცო.
- ხელი ვითა იქმს ბრძნობასა.
- ხელი ხელსა ჰბანს და ორივე კი — პირსაო.
- ხელი ხელსა, გოჭი მგელსა.
- ხელი ხელსა, მადლი ღმერთსა.
- ხელმა ხელი დაბანა და ორივემ — პირიო.
- ხელოსანი ხელოსნის მტერიაო.
- ხელს თვალზე მოფარებითა — ფარად ვერ აქცევ, ძმობილო.
- ხელს მჯდომი ჩიტი გიჯობდეს, ორ-სამსა, ხეზე მჯდომსაო.
- ხელზე რასაც წამისვამ, პირზეც იმას წავისვამო.
- ხელში ნაჭერი კეთილი — შეგვექნა საქებნელიო.
- ხელით ტარებას, მუცლით ტარება სჯობიანო.
- ხელისუფალს — ყველაფერი, პენსიონერს — არაფერი.
- ხელისუფალს — ლავირება, პენსიონერს — დაპირება.
- ხემა თქვა: ცული რას დამაკლებდა, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო.
- ხემ გამოისხა ხილიო — რაც მამა, ისიც შვილიო.
- ხეს ერთი ვაშლი ება და ისიც ჭიანიო.
- ხეს რა გააცვიფებს, გასკდებაო.
- ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.
- ხეფი — მიწის, გემო — შაქრის.
- ხვალ წვიმა მოვაო და ჭიამ თვალელები დაითხარაო.
- ხვალემ იკითხოს ხვალისო.
- ხვნაზე გარიგება სჯობია, მკაზე გარიგებასაო.
- ხიდი მდინარის ზომა უნდა იყოსო.
- ხიდს ვინც ანგრევს, ნლობას ანგრევს, მტრობას უკმევს გუნდრუკსაო.

- ხიდების ომს კარგი არაგვისთვის მოაქვსო.
- ხილით — ხე იცნობაო.
- ხილი — მეხილესო.
- ხილს რომ ვიხილებთ, მებაღეც ვიკითხოთ და ბაღსაც მივხედოთო.
- ხილს უთქვამს: პირი რომ მქონდეს, ჩემს თავს მე თვითონ შეეჭამდიო.
- ხმამაღლა ყვირის შვილის პატრონი, წელში იხრება წისქვილის პატრონი.
- ხმელი პური და კეთილი გულიო.
- ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი გადგი წინარეო.
- ხმობა უნდა ჟამიერად, სააჯოსა ყოვლსა თხრობა.
- ხოზიკა თან თოხნიდა, თან ტკეპნიდაო.
- ხოხობივით თავსა მალაგს და ბოლოს კი ფართედ შლისო.
- ხოჯას სახლში კაკალი ბევრია, მაგრამ დათვლილიც რომ არისო.
- ხსოვნაა გულის, დარჩენილი სულის საოხად.
- ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასულისა.
- ხსოვნა გარდასულ დროთა უტყუარობის საბუთიაო.
- ხსოვნა ძალაა, მტერ-მოყვარე ანგარიშს რომ უწევსო.
- ხსოვნას ბევრი რამის გადარჩენა შეუძლიაო.
- ხუთი თითი აქვს კაცსა, ხუთივ უთანასწოროო.
- ხუცესი უწინმც წარწყმდებაო.
- ხუცესო და ხუთმუცელო, ხუთი დოქის გამომცლელიო.

## ჯ

- ჯამში დალატს, ომში დალატი სჯობიაო.
- ჯანი ჯანია, განა ბადრიჯანია?
- ჯანდაგი ვირი — თავებთან გმირი.
- ჯარაგ, ჯარაგ — ბზიო; ლამბო, ლამბო — წყდიო; დედამთილის საპერანგვე — ოხრად დამირჩიო.
- ჯარმოყვარეს — ჯარიმტერი სჯობიაო.
- ჯარი წავიდა და თოფები მერე დასცალესო.
- ჯერ არ ვარგა ნაფში ჯდომა, მერე — მენავესთან ბრძოლა.
- ჯერ არ მინდოდა შობა, მერე — სიკვდილიო.
- ჯერ ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო.
- ჯერ გაუშვებს მელასაო, მერე იწყებს სტვენასაო.
- ჯერ გადახტი და ჰოოპ მერე დაიძახეო.
- ჯერ ერთი მუწუკი გამოირწყვე, მერე — მეორეო.
- ჯერ თავო და თავო, მერე — ცოლო და შვილოო.

- ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ემებ გემოვნებასა.
- ჯერ ფონს იკითხავენ და მერე წყალში შესტოპავენო.
- ჯერ — შრომა, მერე — ხტომა.
- ჯერ ჩიტი ნახე და მერე — მისი მხარ-ბარკალიო.
- ჯერ ცხენი მიაბი და მერე — ღმერთს მიანდო.
- ჯერ ძილი, მერე — სიზმარი.
- ჯერ ხილი იხილე, მეხილე მერე იკითხო.
- ჯერის დაკარგვას, ლუკმის დაკარგვა სჯობიაო.
- ჯინიანი და ახირებული, ღმერთმა ყველა გვაშოროსო.
- ჯინიანი კაცი წინ ვერ წაიწვესო.
- ჯინიანი საკუთარი ლოგიკის მძევალიაო.
- ჯინიანს სიმართლეს ვერ დაუმტკიცებო.
- ჯინიანს მხოლოდ საკუთარი სიმართლისა სჯერაო.
- ჯინიანს საკუთარი ლოგიკა აქვსო.
- ჯინიანობა — ჭკუამოკლეობის ნიშანიაო.
- ჯიუტი თხები წყალმა მორაჯულა, ჯიუტი კაცები — ვერც ღვი-  
ნომო.
- ჯიუტი თხების მორაჯულებას მხოლოდ მდინარე შეძლებსო.
- ჯიუტსა და ჯორზაქარას სინანული გასჩენიყო, მაგრამ უკვე გვიან  
იყო, არაფერი შეეღებო.
- ჯიუტს — ჯოხი, კუზიანს — სამარეო.
- ჯიში და ჯილაგი რა ვთქვი, შენო.
- ჯიშსა და ჯილაგს არ ედალატებო.
- ჯიშსა და ჯილაგსა კაცი ჭინჭილით უტარებია.
- ჯიხემა თქვა: ჩემს ზემოთ მართო ღმერთიაო.
- ჯიხვს რქებით იცნობენო.
- ჯოხს რომ აიღებ, ქურდი კატა მაშინვე გაიპარებო.
- ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო.
- ჯოჯოხეთში ძახილია, გაგონება კი — არა.

### ჰ

- ჰა, ბარი და ფიწალიო, ყანის მოვლას ისაწავლიო.
- ჰაბარდა და სტარანეცაო.
- ჰა, ბურთი — ჰა, მოედანიო.
- ჰა, დათვი — ჰა, კვალიო.
- ჰაკერობა გერჩივნოს, კომპიუტერის გარეშე დარჩენასო.
- ჰა, პირი და ჰა, პურიო.

- ჰა, შორსწასული და ჰა, შინმოუსვლელიო.
- ჰა, წიგნი და კალამიო, წერა-კითხვას გასწავლიო.
- ჰა ხუცესო, ხუთმუცელიო, ხუთი პურის შემცუცნელიო.
- ჰაი გიდი, რა ორშაბათი მიცდებაო.
- ჰაი-ჰუი — ოხრობასო, ამისთანა მოყვრობასო.
- ჰაი-ჰუი, ტუდა-სუდა, აქეთ-იქით, ჩორტ პობერი, კაცო.
- ჰაი-ჰარად, ალაღბედზე, სახლი არ აშენდებაო.
- ჰარალო, ბიჭო გოგია, მოჰხან და ბეერი მოგიფა.
- ჰარამი ლუკმა არაგის შეერგებაო.
- ჰარი, ბიჭო, ჰარაღეო, ბასრი დანა დამაღეო; ვინძლო ხელი არ წაგიცდეს, რაღა დღეს და რა ზვალეო.
- ჰაცე, ვირო, მე მკიდია, შენ ხომ არაო.
- ჰაცე, ვირო, შე მართლა ვიროო.
- ჰაცე, ვირო, არტაანელო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა ამოვა და მოძოვეო.
- ჰგავს უხორთუმო სპილოსა ჭკვიანი კაცი, ბრიყვია.
- ჰკა გარეულს, მოასწარი, შინაური სად წაგიფა?
- ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს.
- ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო, არ გავახაროთ მტერიო.

**ვაჟა ჩხენკელი**, ვის ხსოვნასაც ეძღვნება ქართული ანდაზების წინამძღვარე კრებულის გამოცემა, მრავალმხრივ განათლებული, მაძიებელი ბუნების შემოქმედი ადამიანი გახლდათ, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურს შეაღია, მაშინაც, როცა მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ საწარმოში ინჟინერ-კონსტრუქტორად მუშაობდა და მაშინაც, როცა ალტერნატიული მედიცინის (უკონტაქტო მკურნალობის) სფერო ამოირჩია სამოღვაწეოდ.

იგი ზედმიწევნით ერკვეოდა საყოფაცხოვრებო ტექნოლოგიებში,



(1944 – 2008)

ელექტრობასა და რადიო-ტელემექანიკაში. ერთსა და იმავე დროს იყო სამკერვალო წარმოების ჩინებული სპეციალისტიცა და დარგის მანქანა-დანადგარების მატერიალური ნაწილის კარგი მცოდნე, მაღალი კონდიციის კონსტრუქტორი, ახალგაზრდათა ტექნიკური შემოქმედების საკავშირო კონკურსების ვერცხლისა და ბრინჯაოს (ორგზის) მედლების ლაურეატი (1966, 1967, 1972 წ.წ.) საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი (1985), დიზაინ-

ერი, მრავალი საინტერესო იდეის ავტორი და რეალიზატორი.

განსაკუთრებით კარგად ფლობდა ბ-ნი **ვაჟა** ადამიანის, როგორც განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგარი ბიოლოგიური და, იმავედროულად, ღვთაებრივი ფენომენის მრავალმხრივ შესაძლებლობებს, მათ შორის ბიო და ინტელექტუალურ ენერგეტიკას და ამ ენერგიების ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენების ურთულეს ტექნიკას, რასაც თავისი, შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის ორი ათეული წელი (1988 – 2008) შესწირა და ადამიანის მრავალმხრივ შესაძლებლობებათა დიაპაზონში ბევრი საგულისხმოც დააფიქსირა.

ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის მიწურულს, პირადად ჩემს მიერ ორგანიზებული სპეციალური კურსების გავლის შემდეგ მიღებული სერტიფიკატის საფუძველზე, ბატონი **პაშა** შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას. და მან, დიდი მონღომების, არაორდინარული აზროვნების, დასახული მიზნისაკენ დაუოკებელი ლტოლვის, შესაშური ნებისყოფისა და განწყობის წყალობით იმდენი მოახერხა, რომ ჩვენს მიერ მიცემული ტესტის შესაბამისად, მონაზა ყველასგან განსხვავებული საკუთარი გზა-სავალი, წარმატებით გაიარა იგი და ცინცხალი გონებისა და ორიგინალური ხედვის ბაზაზე შეიმუშავა მთელი კონცეფცია საკუთარი მუშაობის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რის საფუძველზეც, მომდევნო ორი ათეული წლის განმავლობაში არაერთი გამარჯვება მოიპოვა სხვადასხვა დაავადებათა ბიო, ინტელექტუალური და პლანეტარული ენერგიებით მკურნალობისა და ამ ენერგიებით სიკეთის დამკვიდრებისათვის ზღვარდაუდები მანიპულირების სფეროში.

კონსტრუქციული აზროვნებისა და მოყვასისადმი სასიკეთო ქმედებათა მიმართ პრინციპულად ერთგული, მთელის არსებით გამოდიოდა ნებისმიერი დესტრუქციის წინააღმდეგ. იგი თავისი მდიდარი, ორიგინალური შესაძლებლობების დიაპაზონში არსებული, მხოლოდ მისთვის ცნობილი და კარგად აპრობირებული მეთოდებით ებრძოდა, წარმატებით ეტოქებოდა და ამარცხებდა ე.წ. „შავ ძალებს“.

**პაშა** ადამიანებთან ურთიერთობებშიც ერთობ გამორჩეული გახლდათ. ყველასთან დამოკიდებულების იმგვარ მოდელს აგებდა, რომლის ფარგლებში თავადაც ისურვებდა ყოფნას, რამეთუ საურთიერთო პარამეტრი უპირველესი, ამ და ყველა სხვა შემთხვევაში, იქნებოდა და იყო მხოლოდ გულწრფელობა, სიმართლე და პიროვნების პატივისცემა, არაფერი სხვა და არაფერი სიკეთისა და ქრისტესმიერი სიყვარულის გარდა...

შეიძლება ითქვას, რომ **პაშა ჩხენკელის** პროფესიული ყურადღების მიღმა, არ დარჩენილა საკითხი, პრობლემა თუ ჰიპოთეზა, რომელთა მიმართაც არ ექნებოდა ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია, დამოკიდებულება, ხედვა.

მისთვის, სხვა დანარჩენთან ერთად, თანაბრად საინტერესო გახლდათ ისეთი გლობალური საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად:

**ცოცხალი პლანეტის** (ცნობისათვის: მიუღებლად მიიხწვედა, ზოგადად, ბუნების ცოცხალ და არაცოცხალ ნაწილებად დანაწევრებას) **მაჯისცემა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, მათ შორის:**

– **პლანეტაზე ტემპერატურის მატებასთან მიბმული კლიმატური ცვლილებები;**

– **სამხრეთ პოლუსის თავზე ოზონის შრის თანდათანობითი და საგანგაშო გაიშვიათება;**

– **პლანეტაზე ყინულის საფარის, ამჯერად უკვე ინტენსიურად მიმდინარე დნობისა და მსოფლიო ზღვის დონის ნიშნულის მატების საგანგაშო პერსპექტივები;**

– **ადამიანის სამეურნეო საქმიანობა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პრობლემები, აგრეთვე დედამიწის ქერქის ტექტონიკურ რხევათა აქტიურობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მატების სულ უფრო მზარდი ტენდენციები და მათი შემაკავებელი ფაქტორების ძიების მიმართულებებზე საკვლევი აქცენტების გადანაწილების აუცილებლობაზე ფიქრი;**

– **სამყაროსა და კოსმოსთან, აგრეთვე უზენაეს გონთან ( შემოქმედთან) ენერგეტიკული და სულიერი კავშირების ჰარმონიზაციის კრილში (სრულად ესადაგება და ჯდება ქრიტიანული აღმსარებლობის ჩარჩოებში) დამატებით გასააზრებელ საკითხთა წრე და მრავალი სხვ.**

შესაძლოა ვინმეს გაზვიადებულადაც ეჩვენოს ერთობ ძუნწად და სქემატურად შემოთავაზებული მისეული ფიქრებისა და ინტერესების ეს არასრული ჩამონათვალი, მაგრამ, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია ბედნიერება – გასაუბრებოდა ბ-ნ **მაშას** და დაკვირვებოდა მისი სააზროვნო არეალის სიღრმეებსა და საკვლევ პრობლემატიკაში მისეული ჩაღრმავების ლოგიკას, დაგვეთანხმება, რომ მისი როგორც პროფესიული თვალსაწიერი, ისე მრავალმხრივი და მრავალპლანიანი ინტერესების სფერო, უაღრესად ფართო და ვრცელი გახლდათ, ხოლო მიდგომები – მეტად ორიგინალური, უჩვეულო და ყველასგან განსხვავებული...



**პაშა ჩხენკელი** ამ სფეროშიც ისევე, როგორც ძირითად პროფესიაში, თავისი წონადი სიტყვა თქვა და ბევრი საინტერესო მიგნება და აღმოჩენის, ამ ჭეშმარიტად ღვთაებრივი ქმნილების, შესაძლებლობათა უზარმაზარი პოტენცია დააგროვა...

რომ არა ბოროტმზრახველის ხელით უკიდურესი სისასტიკით მისი მოკვდინება, **პაშა ჩხენკელი** უსათუოდ მოახერხებდა ბევრი საინტერესო სიახლის, იდეის და არაორდინარულ მიგნებათა სრულყოფილად დაფიქსირებასა და კაცობრიობის სამსახურში მათ ჩაყენებას.

ეს ყველაფერი და მრავალი სხვაც საგანგებო მსჯელობის საგანი გახლავთ, რომელთა შესახებაც უპრიანი იქნებოდა ცალკე და სხვა ფორმატში საუბარიცა და მსჯელობაც...

**ბიან სულაქველიძე**, ვაიიი, ჯუნა ღვთისაფილის სახელობის ალტერნატიულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნოზელის პრემიის ლაურეატ ალბერტ შპინცერის სამკვლევო მემლო ფონდის ოქროს მედლის კავალარი მედიცინაში



**P.S.** **პაშა ჩხენკელის** ფენომენური შესაძლებლობები არატრადიციული მედიცინის სფეროში საყოველთაოდ დამკვიდრებულ მიდგომათა ლოგიკის მკვეთრად საპირისპირო გახლდათ და, ამდენად, ბევრისთვის გაუგებარიც. და რამდენადაც ყოველგვარი მიუწვდომლისა და გაუგებარისადმი უნდობლობის სინდრომი უაღრესად საგრძნობი და მტკივნეული იყო, იმდენად მაღალი იქნებოდა, ალბათ, ტრადიციონალისტთა წინააღმდეგობრივი რეაქციაც. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება — **პაშა ჩხენკელის** ფენომენმა აშკარად გაუსწრო დროს. და მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად დადგება დრო, როცა **პაშასული** მიდგომები არატრადიციული მედიცინის დარგში საყოველთაო ღირებულებათა ნუსხაში ჩაიწერება როგორც დიდი, წინგადადგმული ნაბიჯი ტრადიციულ მედიცინასთან თანაარსებობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის მიმართულებით. ეს ყველაფერი, მომავალში, აუცილებლად გამორიცხავს ყოველგვარი პოზიტიურისადმი და პროგრესულისადმი მკვეთრი დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის ნებისმიერ შესაძლებლობას.

(რედ.)